ეროვნული ეკლესიის ერთგული

ნაძღვილი ამბავი ვამბოს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროსი გოხილაშვილი

ნამეცადი ამბავი ვამბობ

ამბერული
2021

udc (უაკ) 821.353.1-94
გ-224

რედაქტორი
ნინო გედენიძე

კორექტორი
თეა შუბითიძე

ტექნიკური უზრუნველყოფა
შალვა პაპალაშვილი

ფოტოები ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოარქივიდან.

ავტორის ორთოგრაფია და პუნქტუაცია დაცულია.

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021

ISBN 978-9941-9750-5-9

წინასიტყვაობა

1997 წლის ერთ-ერთ შაბათ დღეს აღმაშენებლის გამზირზე ბუკინისტების მაღაზიაში შევედი. ხანში შესული ქალბატონი ეკითხებოდა მაღაზიის თანამშრომელს – „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ჩაბარება მინდა და რა თანხა ეღირებაო, ყურები დავცქვიტე (ეს გამოცემა ჩემს კოლექციაში არ მქონდა). მაღაზიიდან გამოსულ ქალბატონს გავყევი და ვთხოვე, გამოცემა ენახებინა. ამიყვანა ჩეჩელაშვილის ქუჩაზე და ერთ ორსართულიან სახლში შემიყვანა. კედელზე სიმპატიური ჩოხოსანი კაცის პორტრეტი ეკიდა. იგრძნო ამ ქალბატონმა ჩემი დაინტერესება ამ პორტრეტით და მითხრა – საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კირიონ მეორის ფერწერული პორტრეტია, ჩემი მამამთილის და მისი ოჯახის უახლოესი პიროვნება იყოო. აღმოჩნდა, რომ ცნობილი საზოგადო მოღვაწის – დავით გარსიაშვილის ოჯახში ვიმყოფებოდი. ეს „ვეფხისტყაოსანიც“ ბატონი დავითის ნაქონი იყო, თუმცა შელახული.

ამავე ოჯახში დავათვალიერე დავით გარსიაშვილის და მისი შვილის, გიგლას არქივი. არქივი და კირიონ მეორის პორტრეტი შევიძინე და ეროვნულ ბიბლიოთეკას გადავეცი. დაიწყო ამ არქივის დამუშავება – ეროვნული ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილმა, უსათნოესმა ქალბატონმა მანანა ყვავილაშვილმა დაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა დავით გარსიაშვილის არქივის აღწერილობა; აღნიშნული ნაშრომი ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა. არქივში იყო დაცული ძალზე საინტერესო მოგონება. ავტორი იყო დავით გარსიაშვილის ვაჟი, არჩილ გარსიაშვილი. ეს მოგონება არ იყო სრული, ფაქტიურად იყო მოგონებათა მცირე ნაწილი, იმდენად მცირე, რომ ქალბატონმა მანანამ არც ჩათვალა საჭიროდ ამ მოგონების წიგნისათვის დართვა. სამაგიეროდ, დაურთო დავით გარსიაშვილის ქადაგებები.

გავიდა წლები.

ერთ საღამოს საბურთალოზე, ქუჩაში მიმავალმა დავინახე ნაგვის ბუნკერში ჩაყრილი წიგნადი გამოცემები. სტუმრად მივდიოდი გამოპრანჭული, ხელში საჩუქრით. რა უნდა მექნა? დავიწყე ამ გამოცემათა ამოლაგება, წიგნებთან ერთად რვეულიც ვიპოვნე ჩანაწერებით.

ქუჩაში ცოლ-ქმარი მიდიოდა. ცოლი ეუბნება ქმარს – Посмотри, бродяга как хорошо одет!

გამეცინა. სახლში მისვლის შემდეგ ეს რვეული გავაშრე (სველი იყო წვიმისაგან), ყდა იმდენად დასველებული იყო, რომ ვერ მოხერხდა მისი შენარჩუნება; ღამე დავიწყე კითხვა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა – ეს იყო სწორედ არჩილ გარსიაშვილის მოგონება – გადაწერილი თავდაპირველი ვარიანტისგან. ბიბლიოთეკაში დაცული ამ მოგონებების ნაწილი ავსებდა ამ რვეულს. ყველაზე საოცარი ამბავი შემდგომ მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ხელმძღვანელმა – ომარ თუშურაშვილმა შემომთავაზა ჩემი პაპის, მიხეილ თაქთაქიშვილის დაპატიმრების და საგამოძიებო მასალების ტომის ნახვა, ისიც დასძინა – იშვიათი საქმეა და საამაყოო. მიხეილ თაქთაქიშვილი 1923 წელს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისათვის და 1925 წელს გაანთავისუფლეს. ამ მასალებით ირკვევა, რომ იგი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში სწორედ გიგლა გარსიაშვილმა მიიღო. გიგლა გარსიაშვილი 1924 წლის რეპრესიებს შეეწირა.

ეს მოგონება, ვფიქრობ, საინტერესო დოკუმენტი უნდა იყოს საბჭოთა რეპრესიების ისტორიის მკვლევართათვის.

ალბათ, განგებამ დამაკისრა ვალდებულება გიგლა გარსიაშვილის, ამ გულანთებული მამულიშვილის, მისი მამის და, საერთოდ, მათი ოჯახის ისტორიის ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გადარჩენისა, რაც, ჩემი აზრით, ღირსეულად შევასრულე.

დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია გარსიაშვილების არქივი, კირიონ II-ის ახალგაზრდობის დროინდელი ფერწერული ტილო, აწ უკვე რესტავრირებული და გიგლა გარსიაშვილის ფერწერული პორტრეტი, შესრულებული ქეთევან მაღალაშვილის მიერ.

ლევან თაქთაქიშვილი

ერთ დღეს, დილით, 1917 წელს, უფროსმა ძმამ, გიგლამ, მოსული გაზეთი („საქართველო“) გაშალა და განცვიფრებულმა შეჰკივლა, გაზეთში დიდი ასოებით ეწერა: „ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოვიდა“. ასე მშვიდობიანად შემოვიდა რევოლუცია ჩვენს ოჯახში, ჩვენს აღტკინებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთბაშად თბილისში ცხოვრება თავის ბუდიდან ამოვარდა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა, დემონსტრაციები, მიტინგები, რევოლუციური სიმღერები. ვრცელდება დაბეჭდილი პამფლეტი რასპუტინზე. ყველას პირზე ეკერა:...пучина наследника рождения причинаю, О, Григорий великий скверiотвоче[1] და სხვ. ძველი რეჟიმის მომხრენი თავის გულისწყრომას ვერ მალავენ, განზე დგანან, იბღვირებიან, იმედი აქვთ ისტორიის ბორბლის შემობრუნებისა. მორწმუნენი ღვთისმშობლის და სხვა ხატის წინ დაჩოქილი ლოცულობენ, ევედრებიან, სდგება უბნის ბიუროები, რომელთა წევრებად უმთავრესად მენშევიკები და კომუნისტებია, თავი უბნის მესვეურებად მოაქვთ. მსჯელობენ, კამათობენ, რაზე? რაც მათ ეხებათ, ან არ ეხებათ, არსდება უბნის სახალხო უნივერსიტეტები. ლექტორებად უმთავრესად საშუალო სკოლის მასწავლებლებია. ძველი რეჟიმის მომხრენი თავის გულისწყრომას, გაბოროტებას ვერ მალავენ; აი, ერთი მათგანი ჩვენ, მოზარდებს, რომელთაც ყველას გულმკერდზე წითელი ნიშნები (ბანტები) გვაქვს გაკეთებული, მოგვმართავს ამ სიტყვებით: „Дети, снимите ети красные значки (банты), разве красный цвет так приятен? куда лудше и нежнее голубой цвет“.[2] მას ხშირად ვხედავთ ეკლესიაში ღვთისმშობლის

1 ...пучина наследника рождения причина, О, Григорий великий скверiотвоче – 1917 წელს გავრცელებული პანფლეტი რასპუტინზე, მის ავტორად ასახელებენ შლიაპნიკოვს.

2 Дети, снимите ети красные значки (банты), разве красный цвет так приятен? куда лудше и нежнее голубой цвет – ბავშვებო, მოიხსენით ეს წითელი ნიშნები (ბაფთები), განა წითელი ფერი ასეთი სასიამოვნოა? უმჯობესი და უფრო ნაზია ცისფერი

ხატის წინაშე დამხობილს, მლოცველს, მავედრებელს. რუსი შავ-რაზმელი მღვდლები ეკლესიებში ისევ წარმოთქვამენ ლოცვებს იმპერატორის და მისი ოჯახის წევრების სადღეგრძელოდ. ყველა-ფერზე ეტყობათ, რასაც ხედავენ, დროებით მოვლენად მიაჩნიათ. იმედი აქვთ ისტორიის ბორბლის უკან შემობრუნებისა. ამიერკა-ვკასიის ფრონტი დაიშალა. ხალხში მითქმა-მოთქმაა. ლაპარაკო-ბენ აფხაზავას ჯავშნიან მატარებელზე, რომელიც თითქოს მთა-ვრობისგან გამოყოფილია იმისათვის, რომ განაიარაღოს უკან წამოსული ჯარი და მოსახლეობას განსაცდელი ააცდინოს. თან-დათან ცხოვრება მოიშალა. დაირღვა დისციპლინა სკოლებში, ჯარის ნაწილებში. გაისმის ქალაქში სროლა კანტი-კუნტად, ჯგუ-ფურად. აი, კოჩუბეის ქუჩით მივდივარ პლეხანოვის გამზირისკენ. გაისმის ბათქი თოფებისა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, შეშინებული ქალი უკან მორბის ოფიცრის თანხლებით, შეცვივდნენ ერთ-ერთ მახლობელი სახლის ეზოში, მეც მათ მივდევ, ვერ მოვასწარი ეზოში შესვლა, რომ მიხეილის (პლეხანოვის) გამზირზე რახრა-ხით გაიარა ტრამვაიმ, გაჭედილმა თოფებით შეიარაღებული ჯარისკაცებით; ჰაერში ისვრიან, ბათქი თოფებისა ერთი მეორეს სცვლის. აი, ასეთ პირობებში და ვითარებაში შესდგა მოხალისე მოწაფეთა ბატალიონი, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება იყო სანიმუშო დისციპლინით ჯარისკაცებზე გავლენა მოეხდინა და მათში დისციპლინა განემტკიცებინა. ბატალიონი სამი ასეული-საგან შესდგებოდა. ამ ასეულების მეთაურებად იყვნენ ჩინჩა-ლაძე, პოზუშკო, ადამია. ბატალიონის უფროსად დანიშნული იყო კაპიტანი ჯაფარიძე. ამ ბატალიონში მოხალისედ ჩაირიცხა ჩემი უფროსი ძმა გიგლაც, მაშინ მე-2 გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფე, 17 წლისა, ჩარიცხული იყო ადამიას მე-2 ასეულში. ბატალიონი მოთავსებული იყო იუნკერების სასწავლებლის შენობაში, მიხეი-ლის (ეხლა პლეხანოვის) გამზირზე. სათანადო წვრთნის გავლის შემდეგ, ხშირად გამოჰყავდათ ბატალიონი თბილისის მთავარ ქუჩებში მარშით, სიმღერით. ხშირად მღერიან „მოდი ვნახო ვე-ნახს“, რადგან ფეხის ასაწყობად შესაფერი სიმღერა არისო, ამ-ბობდნენ. მათი მწყობრად, ტაქტით სიარული, ლარივით სწორი

რიგები, ხელში და მხრებზე მიბჯენილი თოფებით, ტროტუარზე ყოველი გამვლელი ოფიცრისათვის სამხედრო სალმის მიცემით, მაშინდელი უდისციპლინო და დარღვეული ჯარის ნაწილების ფონზე მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ერთხელ, მახსოვს, ბატალიონი მიდის ვერის დაღმართზე, მღერიან „მოდი, ვნახო ვენახს“, გამოჩნდება მოხუცი გენერალი, ტროტუარზე მიმავალი, გაისმის ბრძანება, სიმღერა წყდება. ყველა, როგორც ერთი კაცი, პირს მიაბრუნებს გენერლისაკენ და ისე ჩაუვლის მას. „молодцы грузины“[3] მისძახის გენერალი. იუნკერების სასწავლებლის შენობაში მოწაფეთა ბატალიონის გარდა, მოთავსებული იყო 27-ე პოლკიც, რომელიც ქართველი ჯარისკაცებისაგან იყო შემდგარი. დისციპლინა ამ პოლკში მთლად დარღვეული იყო. ოფიცრებს არ ემორჩილებოდნენ, განაწესს არ ასრულებდნენ. ერთხელ ერთ ოფიცერს ეთქვა: „არა გრცხვენიანთ, ბავშვები ყარაულში დგანან, ყოველ სამხედრო სამსახურს ასრულებენ, ოფიცრების ბრძანებას სიტყვა შეუბრუნებლად ემორჩილებიან, თქვენ კი ფეხი ფეხზე გაქვთ შემოდებული და ჭამის მეტს არაფერს აკეთებთო“. ამ სიტყვებს ისეთი გავლენა მოეხდინა, რომ მოეთხოვათ ყარაულში მათი დაყენებაც, ისიც კი მოეთხოვათ, რომ ყარაულში მოწაფეთა ბატალიონიდან არავინ დაეყენებინათ ჩვენს გარდაო. იუნკერების სასწავლებელთან მტკვრის პირას საწყობი იყო, რომელსაც თავს ესხმოდნენ გაძარცვის მიზნით მძარცველები. ისინი ღამით, მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან ნავებით გადმოდიოდნენ მარცხენა ნაპირზე. ამ საწყობის დაცვაც მოწაფეთა ბატალიონს ჰქონდა დავალებული. ერთხელ, გვიამბო ჩემმა უფროსმა ძმამ გიგლამ, ერთ ღამეს მეთაურმა ბატალიონის რომელიღაც ჯარისკაცი (გვარი აღარ მახსოვს) საწყობთან ყარაულში დააყენა და ეთქვა: თუ ვინმე შენიშნე ან თავს დაგესხა, თოფის გასროლით ნიშანი მოგვეცი, მაშინვე შენთან გავჩნდებითო. ჯარისკაცი შეჰხვეწნოდა მეთაურს სროლის ხმა გაიგოთ თუ არა, შენი ჭირიმე, ჩქარა მომეშველენითო. ამ ღამესაც, როგორც ყოველთვის ფხიზლად ვიყავით. გაისმა სროლა, წამოვცვივდით, ოფიცერი მირბის საწყო-

3 молодцы грузины – ყოჩაღ, ქართველებო

ბისაკენ, ჩვენ უკან მივდევთ, სანამ საწყობამდე მივიდოდით, დავინახეთ ჩვენკენ მორბის უთოფოდ, ბღვრიალით ყარაული – что такое?[4] – ეკითხება ოფიცერი – человека убил[5] – ბღვრიალებს – где ружье? – там бросил[6] – განაგრძობს ბღვრიალს, – идем скорее[7]. გავიქეცით, მივირბინეთ. თავს წავადექით მფეთქავს, მომაკვდავ ადამიანს. ქუჩებში ექსცესების წინააღმდეგ საბრძოლველად, ქუჩების პატრულირებისათვისაც იყენებდნენ ბატალიონს. ერთხელ, გვიამბობს გიგლა, ქუჩაში ეტლში მსხდომ ოფიცრებს ჯარისკაცები დანებით პაგონებს აჭრიდნენ. ჩვენმა ოფიცერმა გვიბრძანა – оцепить[8]. ჩვენც ალყა შემოვარტყით. ერთი ჯარისკაცი თავზე გადაგვახტა და გაიქცა, დანარჩენი დავაპატიმრეთ. ფრონტის ხაზიდან, ერევნის რკინიგზით წამოსული ჯარი თბილისისათვის რომ აეცილებინა, მთავრობამ ნავთლუღის ქვემოდან ერევნის რკინიგზა ბაქოს რკინიგზასთან შეაერთა დამატებითი რკინიგზის შტოს გაყვანით, ასე რომ, მატარებელი ამ ჯარით ნავთლუღში არ ჩამოჰყავდათ, არამედ ამ დამატებით შტოზე გავლით ბაქოს რკინიგზაზე გადაჰყავდათ და მატარებელს შეუჩერებლად ბაქოს მიმართულებით გზავნიდნენ; მაგრამ თბილისის უშიშროების დამატებით უზრუნველსაყოფად მოწაფეთა ბატალიონს პოზიციები დააკავებინეს ნავთლუღთან, იმ შემთხვევისათვის, თუ უკან წამოსული ჯარი გამოიჭრებოდა თბილისისაკენ. როგორც ჩანს, მთავრობას იმ ჟამად სხვა საიმედო ჯარის ნაწილი არ ჰყავდა და თბილისის დაცვის ეს მძიმე ამოცანაც მოწაფეთა ბატალიონს დააკისრა. საბედნიეროდ, ამ ჯარის ნაწილების გადაყვანამ სრულიად მშვიდობიანად ჩაიარა; ასე რომ, მოწაფეთა ბატალიონს ამ ჯარის ნაწილებთან არავითარი შეტაკება არა ჰქონია.

იმ ხანებში, ბაქოში ბოლშევიკური ხელისუფლება შეიქმნა. მათმა ჯარებმა აჯიქაბულამდე მიაღწიეს. მათ წინააღმდეგ მოქმე-

---

4 что такое – რა ხდება?

5 человека убил -კაცი მოვკალი

6 где ружье? – там бросил – იარაღი სად არის? – იქვე დავაგდე

7 идем скорее – წავიდეთ სწრაფად

8 Оцепить – ალყა შემოარტყით

დებდა აზერბაიჯანის ე. წ. „дикая дивизия“ [9]პოლკოვნიკ მაღალაშვილის სარდლობით. და, აი, თბილისში მთავრობამ გადაწყვიტა მათ დასახმარებლად გაეგზავნა მოწაფეთა ბატალიონი; არ ვიცი რა იყო აზრი და მიზეზი ამ გადაწყვეტილების მიღებისა. ერთ ბატალიონს, ისიც მოწაფეთაგან შემდგარს, რომელთაც არავითარი საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდათ, განა შეეძლო ბრძოლაში რაიმე გარდატეხის შეტანა? იქნებ ეს მხოლოდ სიმბოლური დახმარება იყო, აზერბაიჯანელ მებრძოლთა რიგებში სიმხნევის შესატანად და სულიერი განწყობილების ასამაღლებლად? ბატალიონის ფრონტზე გამგზავრების წინ მივედით იუნკერების სასწავლებელში დედა, მე, და და უმცროსი ძმა. ბატალიონი ეზოში გამოეყვანათ, ავარჯიშებდნენ. მარშით სიარულის დროს მღეროდნენ „ნინას ჰყავდა ერთი შაშვი“, აქვე შევნიშნავ, რომ სიმღერის შესასწავლად მათთან დაიარებოდა და სიმღერას ასწავლიდა ცნობილი მუსიკის მცოდნე ია კარგარეთელი. გამოვიდა პოლკოვნიკი, თუ გენერალი (გვარი აღარ მახსოვს) და ბატალიონს სიტყვით მიმართა. სიტყვის შინაარსი აღარ მახსოვს, მხოლოდ ერთი წინადადება დამახსოვდა: არ შეშინდეთ, ბრძოლაში მხნედ იყავითო. ყველა მხნედ გამოიყურებოდა და ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელ სულისკვეთებას ამჟღავნებდა, მხოლოდ ერთის გარდა. ეს იყო ვლადიმერ (ლადო) ყანდარელი, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფე. წლოვანებით იგი რამდენიმე წლით უფროსი იყო დანარჩენებზე და გარეგნობით მაღალი, ფართომხარბეჭიანი, ახოვანი; თავისი სიმაღლის გამო ბატალიონის მწკრივში სულ თავში იდგა. იმავე დღეს, მისულიყვნენ ბატალიონის უფროსს, კაპიტან ჯაფარიძესთან თვითონ ლადო ყანდარელი, მისი დედა და ეთხოვათ, რომ იგი ფრონტზე არ წაეყვანა და თბილისში დაეტოვებინა. კაპიტან ჯაფარიძეს მაშინ ასეთი პასუხი მიეცა: „я на фронт беру вот этих, почти детей, а

9 дикая дивизия – ველური დივიზია; რუსეთის საიმპერატორო არმიის საკავალერიო დივიზია, რომელიც ჩამოყალიბდა 1914წ. და შედგებოდა ჩრ. კავკასიელი და ამიერკავკასიის მოხალისე მუსულმანებისაგან

вашего сына оставлю здесь? никогда“[10]. მაგრამ იმავე, თუ მეორე დღეს იმავე თხოვნით მისულიყვნენ კაპიტან ჯაფარიძესთან ისევ ისინი და თან მიეყვანათ თავიანთი ნათესავი და ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი ეკატერინე (კატო) ყანდარელი-გაბელაშვილი. ამჯერად ლაპარაკი ბატალიონის კანცელარიის მეზობელ ოთახში მიმდინარეობდა. თავდაპირველად, კაპიტანი ჯაფარიძე აქაც დიდ უარზე იყო, მაგრამ როცა ლადო ყანდარელს ტირილი დაეწყო, ჯაფარიძეს კანცელარიის კარი გაეღო, ხელი კისერში წაევლო ლ. ყანდარელისათვის, შეეგდო კანცელარიაში და ეთქვა „сидите злесь в канцелярии, все равно там вы будете только мешать“[11]. ამის შესახებ გვიამბო ეკატერინე ყანდარელ-გაბელაშვილმა: „დავიწვი სირცხვილისაგან, სონა, – ეუბნებოდა დედაჩემს – როდესაც ამოდენა კაცმა ტირილი დაიწყო“. ეს ის ლადო ყანდარელია, რომელმაც შესძლო მენშევიკური მთავრობის სტიპენდიანტად გერმანიაში წასვლა უმაღლესი ცოდნის შესაძენად. მანამდე მილიციაში მსახურობდა, მოიპარა დიდი პარტია თუნუქის ფურცლებისა, ქურდობა გამომჟღავნდა, გამოძიება დაინიშნა, მაგრამ გერმანიაში წასვლით გადაურჩა დაპატიმრებას; საქმე წარმოებით მოისპო. საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლისას და კომუნისტური ხელისუფლების დამყარებისას (1921წ.) იგი ჯერ კიდევ გერმანიაში იყო, გადაუდგა მენშევიკებს (იგი მენშევიკური პარტიის წევრი იყო), ჩაეწერა გერმანიის კომპარტიაში, მენშევიკური ემიგრანტების მიერ მძიმედ იყო დაჭრილი, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა. ლადო ყანდარელი საშუალო სასწავლებელშიც ცუდად სწავლობდა, რამდენჯერმე დარჩა კიდეც სხვადასხვა დროს კლასში, ამიტომ საეჭვო იყო, რომ მას საფუძვლიანი ცოდნა შეეძინა საზღვარგარეთ და კარგ სპეციალისტად დაბრუნებულიყო. მენშევიკური მთავრობის სტიპენდიის დანიშვნა მას მოუხერხა მოიჯარადრე მშენებელ-ტექნიკოსმა. პლატონ სულაქ-

10 я на фронт беру вот этих, почти детей, а вашего сына оставлю здесь? Никогда – მე ფრონტზე ესენი, თითქმის ბავშვები მიმყავს და თქვენს შვილს დავტოვებ აქ? არასოდეს

11 сидите злесь в канцелярии, все равно там вы будете только мешать – იჯექით აქ, კანცელარიაში, სულ ერთია იქ მხოლოდ ხელს შეგვიშლით

ველიძე იყო მენშევიკური პარტიის წევრი და როგორც ჩანს, მიდგომა ჰქონდა გავლენიან პირებთან. ლადო ყანდარელი გერმანიაში სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე იყო შესული. თბილისში ჩამოსვლისას იგი მოეწყო სამსახურში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, მცირე ხნით მსახურობდა ტყიბულში წარმოების დირექტორად. პროფ. ივანე (ვანცა) ყიფშიძე წინადადებას აძლევდა ლექციები ეკითხა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ მან ამ წინადადებაზე უარი თქვა, ასე რომ მასზე დახარჯული ფული წყალში გადაყრილად უნდა ჩაითვალოს. ნაძალადევი სიკვდილი, რომელსაც იგი მუდამ გაურბოდა, მაინც არ ასცდა. 1937 წ. კომუნისტური ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული და დახვრეტილი იყო თბილისში. მასზე ზედგამოჭრილი იყო სიტყვები: „იგი ჰყიდდა ყველას, ვინც მას ყიდულობდა“. მის დაპატიმრებამდე ერთი კვირით ადრე ვნახე „ზემელზე“; მთლად დალეულიყო, წინად ბრგე და ახოვანი მოყვანილობისა ჩია კაცი დამდგარიყო. ხორცი მთლიანად დაეყარა. ნერვული აშლილობისაგან კაცის ასე დალევა პირველად ვნახე.

ამ მოყოლილი ამბის შემდეგ, მეორე დღეს ბატალიონი დილით მივიდა რკინიგზის სამხრეთ პარკის ბაქანზე და მატარებელში მოთავსდა. ჩვენი ოჯახის წევრები ყველა გავედით გიგლას გასაცილებლად. მოვიდნენ მისი მეგობრებიც, აგრეთვე ავჭალის აუდიტორიის თვითმოქმედი თეატრალური დასის ზოგიერთი წევრიც (გიგლა ამ დასის ერთ-ერთ წამყვან სცენის მოყვარედ და ხელმძღვანელად იყო). გიგლა და ყველა მისი ამხანაგი მხნედ და მხიარულად იყვნენ, თითქოს ომში კი არა ლხინში მიემგზავრებოდნენ. ნაწილი ოფიცრებისა ერთ, პირველი კლასის ვაგონში მაგიდასთან შემომსხდარიყვნენ და ღვინოს სვამდნენ. კაპიტანი ჯაფარიძე სადგურის ბაქანზე ბოლთასა სცემდა. „გიგლა“ – ეუბნება მას დასის ერთ-ერთი წევრი – „დღეს წარმოდგენა ჩაგვეშლება, ვინაიდან მთავარ როლს ასრულებ და შენ თუ არ იქნები შემცვლელი არა გვყავს, მოდი, სთხოვე კაპიტან ჯაფარიძეს დღეს აქ დაგტოვოს და ხვალ კი გაემგზავრები და შეუერთდები ისევ ბატალიონს, ამით რა დაშავდება? – მაგას ვერ ვიზამ“ უპასუხა გიგ-

ლამ, „იფიქრებს, რომ მინდა თავი ავარიდო ფრონტზე გამგზავრებას – მაშინ ჩვენა ვთხოვთ – თქვენ იცით“. სთხოვეს „Вы просите невозможное“[12] უთხრა ჯაფარიძემ – баталион отправляется на фронт и я не могу освободить ни одного солдата не только на одинь день, даже на одинь час“[13]. გიგლასთან ვაგონში სხვებთან ერთად სიმონ (ხუხუ) ხოფერიაც (კ. გამსახურდიას დისწული) იყო, მეტად ოხუნჯი. შემჯდარიყო ზევით თაროზე, მუხლები მოეკეცა, ფადიშაჰს ანსახიერებდა. გამოვიდნენ ჯარისკაცები ძახილით „გარსიაშვილი, გარსიაშვილი“, გიგლას ეძახდნენ. გიგლა შეიყვანეს, ხუხუ ხოფერიას – ფადიშაჰს და გიგლას – მის მხლებელს შორის გაიმართა იმპროვიზირებული დიალოგი. გარსშემოხვეული ჯარისკაცები იცინიან, ხარხარებენ. შემდეგ ხუხუმ ღვინო მოიტანა და დაიწყო სმა. გიგლა იცინოდა, სად დაუთრევია ეს ტიკიო? ამბობდა. მთელი დღე იქ ვიყავით და დაღამებისას წამოვედით. იმ ღამეს წასულიყვნენ, რადგან მეორე დღეს მისვლისას მატარებელი იქ აღარ დაგვხვდა.

აჯიქაბულში ჩასვლისას ბატალიონი გაიყვანეს ბრძოლაში. ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელად დანიშნული იყო მოწაფეთა ბატალიონის უფროსი, კაპიტანი ჯაფარიძე, საერთო ხელმძღვანელობას კი „дикая дивизия“-ს უფროსი, პოლკოვნიკი მაღალაშვილი ახორციელებდა. ფრონტის ხაზი გადიოდა ქ. აჯიქაბულის სიახლოვეს, ქალაქის აღმოსავლეთით. როგორც გიგლა გვიამბობდა, ბოლშევიკების ჯარი ომის ვეტერანებისაგან შედგებოდა, მასში ყოფილი ჯარისკაცები და მატროსები იყვნენო. მათი არტილერია, ქვემეხების გადმოუტვირთავად, პირდაპირ ვაგონების ბაქნებიდან ისროდაო. იერიშზე გადმოვიდნენ გაშლილი ფრონტით, წელში გამართულნი. მიუხედავად დანაკლისისა შეუჩერებლად, მტკიცედ მიიწევდნენ წინ, მოწაფეთა ბატალიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო წუთებამდე იგი არ შემ-

12 Вы просите невозможное – თქვენ შეუძლებელს მთხოვთ

13 баталион отправляется на фронт и я не могу освободить ни одного солдата не только на одинь день, даже на одинь час – ბატალიონი ფრონტისკენ მიდის და მე არ შემიძლია არც ერთი ჯარისკაცის გათავისუფლება, არა თუ ერთი დღით, ერთი საათითაც კი

დრკალა, პანიკას არ მისცემია და ბატალიონის უფროსის, კაპიტან ჯაფარიძის ყველა განკარგულებას უსიტყვოდ ასრულებდა. როცა ბრძოლა გაჩაღდა და ბოლშევიკებმა ფლანგებიდან დაიწყეს შემოვლა „дикая дивизия“ შეკრთა და გაიქცა. ამის შემდეგ, მოზღვავებული ჭარბი ძალების წინაშე ჯაფარიძეს ისღა დარჩა, რომ ებრძანებინა ბატალიონისათვის უკან დახევა. „Бегом“[14] გასცა ბრძანება ჯაფარიძემ. „დაიძრა კავალერია“ იოხუნჯა ხუხუმ და ჩვენც გამოვიქეცით, გვიამბობდა გიგლა. ბრძოლაში ორი ამხანაგი მოგვიკლეს: ჩიქოვანი და სარიშვილი. ერთ-ერთი მათგანი უკან დახევისას ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რადგან გამოქცევისას დაგვიძახა: „მიშველეთ“. შემდეგ, როცა ბოლშევიკებს უკან დააბრუნეს, მშობლებმა მათი ცხედრები ჩამოასვენეს და თბილისში დამარხეს. ბოლშევიკებს ისინი არ დაემარხათ, მშობლებს მიწაში ჩაფლული ენახათ ყელამდე, თავები კი მიწის ზედაპირზე ყოფილა, ხოლო პირისახე ფრინველისაგან მთლად დაკორტნილი ჰქონიათ. ჩვენი მატარებელი იმ ადგილას არ დაგვხვდა, სადაც დავტოვეთ და კიდევ 2 კილომეტრის გარბენა დაგვჭირდა, სანამ მატარებლამდე მივაღწევდითო. როგორც შემდეგ გამოირკვა, მატარებლის სიახლოვეს ქვემეხის ჭურვი გამსკდარიყო და იქ მყოფი ბატალიონის ცეიხჰაუზის[15] უფროსი, ნიკო გარსიაშვილი, ისიც მოწაფე, შეშინებული ერთ-ერთი ვაგონის ქვეშ შემძვრალა, მაგრამ როცა მატარებლის სიახლოვეს რამდენიმე ჭურვი გამსკდარა კიდევ ზედიზედ, ეს ვაიმებრძოლი ინტელიგენტი ისე დამფრთხალა, რომ მემანქანისათვის ეყვირა: „машинист, назад, назад“[16], მემანქანესაც ფრონტის ხაზიდან უკან დაეწია მატარებელი 2 კილომეტრით, შემდეგ კაპიტანმა ჯაფარიძემ ნიკო გარსიაშვილს ბევრი უყვირა, მაგრამ საქმეს რაღა ეშველებოდა.

თუ ეს ვაიმებრძოლი, ცეიხჰაუზის უფროსი, შორეული ბრძოლის გამოძახილზე ასეთ პანიკურ შიშს ეძლეოდა, სამაგიეროდ უცხო და უპატრონოდ მიგდებული ქონების მიტაცებაზე მეტად მარდი იყო და დიდ უნარს იჩენდა. ბატალიონის აჯიქაბულის ფრო-

14 Бегом – სირბილით

15 ცეიხჰაუზი – სამხედრო საწყობი

16 Машинист, назад,назад – მემანქანევ, უკან, უკან

ნტზე ყოფნის პერიოდში მან შესძლო მიტაცება და თბილისში გადმოგზავნა საკმარისი რაოდენობა სპირტისა, ჯაგლაგა ცხენისა, ორსახნისიანი გუთნისა. მაგრამ თბილისში მასზე უფრო გამოცდილი და „ჭკვიანი“ ქურდი იმყოფებოდა: ლადო ყანდარელი. მან ეს ყველაფერი მიიღო და ჩაიბარა, მაგრამ შენახვის მაგიერ ამ ქონების რეალიზაცია ამჯობინა. რასაკვირველია, აღებული ფული მიითვისა. ასე რომ, ჩამოსულ ვაიმებრძოლ, ცეიხჰაუზის უფროსს რქები და ჩლიქებიც აღარ დახვდა. ასე ისახელეს ნიკო გარსიაშვილმა იქ, აჯიქაბულში, ხოლო ლადო ყანდარელმა აქ, თბილისში.

ბატალიონმა სრული წესრიგით, ყოველგვარი პანიკის გარეშე, უკან დაიხია თავის პირვანდელ პოზიციებზე ერთის, კალე მისაბიშვილის გარდა, რომელიც ყველაზე წინ უთოფოდ ტირილით გამორბოდა. ეს ფაქტი დაადასტურა პენსიონერმა, საქენერგოს ყოფილმა თანამშრომელმა ინჟინერმა, ჩვენ მეზობლად, საქარის ქუჩაზე მცხოვრებმა გიორგი წერეთელმა, რომელმაც 1979 წლის საღამოს, შეხვედრისას, ჩემთან ლაპარაკში გაიხსენა წარსული, ჩემი ძმა გიგლა და, სხვათა შორის სთქვა, რომ მოწაფეთა ბატალიონში მეც ვიყავი და აჯიქაბულთან ბრძოლაში მეც ვიღებდი მონაწილეობასო. უკან დახევისას ყველანი მხნედ ვიყავით, ვიხევდით მწყობრად, თოფებით ხელში, კაპიტან ჯაფარიძის ყოველი განკარგულების მიხედვით. მხოლოდ კალე მისაბიშვილი ტირილით, უთოფოდ გამორბოდაო. ეს ის კალე მისაბიშვილია, რომელსაც შემდეგ 1922 თუ 1923 წელს, დანამდვილებით თარიღი არ მახსოვს, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გამცემლობისათვის სიკვდილი მიუსაჯა და ტერორისტ მ. კოღუაშვილის ხელით მოკლა. მაგრამ ამას უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით, როცა მის შესახებ მექნება საუბარი.

დახევის შემდეგ პოლკოვნიკ მაღალაშვილს შენიშვნა მიეცა კაპიტან ჯაფარიძისათვის — „зачем отступили? — противник начал обходить нас с флангов — ეპასუხნა ჯაფარიძეს — я хотел послать для прикрития „дикую дивизию“, а она уже в панике отступала перед

численно превосходящим противником, у меня другого выхода не было как отступать“[17]

ამის შემდეგ, ჯაფარიძე უჟინებდა თურმე პოლკოვნიკ მაღალაშვილს რათა მოწაფეთა ბატალიონი მოეხსნა ფრონტიდან და თბილისში დაებრუნებინა, მაგრამ მაღალაშვილი ამაზე არ თანხმდებოდა, მაშინ ჯაფარიძემ ასეთ ხერხს მიმართა: დროგამოშვებით, თითო ან ორ-ორ ჯარისკაცს შვებულებას აძლევდა, ხოლო წასვლის წინ ეუბნებოდა მათ, რომ აღარ დაბრუნებულიყვნენ. ასე გამოაპარებს ყველას, გვეუბნებოდა გიგლა, როცა თვითონაც ჩამოვიდა თბილისში „შვებულებით“, შემდეგ მოახსენებს მაღალაშვილს, რომ ბატალიონიდან ჯარისკაცებმა იდეზერტირეს და ამნაირად ბატალიონი შესწყვეტს არსებობასო. ასე მიიღო გიგლამ პირველი სამხედრო ნათლობა და ასე დასრულდა მისი პირველი სამხედრო სამსახური.

ამის შემდეგ გიგლა სკოლაში არ დაბრუნებულა და თელავში მოხალისედ, სხვა ამხანაგებთან ერთად, ჯარის ნაწილში ჩაირიცხა. ამ ჯარის ნაწილის (პოლკის) უფროსი იყო პოლკოვნიკი თავაძე. პოლკი ებრძოდა კახეთში მოთარეშე ყაჩაღთა ბანდებს. დანამდვილებით ვიცი, რომ თელავში გიგლასთან ერთად იყვნენ სიმონ (ხუხუ) ხოფერია, ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე, ირაკლი ძოძუაშვილი, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფე, სასულიერო სემინარიის მოწაფე ნიკო გარსიაშვილი. უნდა ვიფიქროთ, რომ მათთან ერთად იქ იქნებოდნენ მოწაფეთა ბატალიონის სხვა ჯარისკაცებიც, თუ ყველა არა, უმეტესობა მაინც. ამ პოლკში გიგლას ყოფნის პერიოდიდან მახსოვს მის მიერ ნაამბობი ორი ეპიზოდი: ღამით, საყარაულოს წინ ყარაულში დგას ხუხუ ხოფერია, დანარჩენებს საყარაულოში სძინავთ, როგორც ჯარისკაცებს, ისე ოფიცერს. მოსულიყო შესამოწმებლად პოლ-

17 зачем отступили? – пративник начал обходить нас с флангов – ეპასუხნა ჯაფარიძეს – я хотел послать для прикрития „дикую дивизию“, а она уже в панике отступала перед численно превосходящим противником; у меня другого выхода не было как отступать – რატომ დაიხიეთ უკან?- მოწინააღმდეგემ დაიწყო ფლანგებიდან შემოვლა – მე მსურდა „ველური დივიზიის“ გაგზავნა ჩასაკეტად, მაგრამ ის უკვე პანიკურად იხევდა უკან რიცხვობრივად უმეტესი მოწინააღმდეგის წინაშე

კოვნიკი თავაძე, ხუხუ გასჭიმოდა თავაძეს. თავაძე ხმადაბლა მისალმებია ხუხუს, ხუხუს ყვირილით ეპასუხა თავაძესათვის: „Здравствуйте, господин полковник“[18], საყარაულოში ჯარისკაცები და ოფიცერი ამ ყვირილზე წამომხტარან. საყარაულოში შესვლისას თავაძეს წასდგომია ოფიცერი პატაკით. თავაძეს გაუღიმია და უთქვამს: „Видел что все спали, но во время получил рапорт“[19]. წასვლისას, თავაძეს ხელი დაუკრავს ხუხუსთვის და უთქვამს: „ყოჩაღ!“

„ერთხელ – გვიამბობს გიგლა – გარდაბნიდან მივიღეთ ცნობა, რომ თათრები ჯანდარაში ძნებს იპარავენო. გავეშურეთ ჯანდარისკენ. თათრები ნავებში სხდებიან და გარბიან. დავდგი ტბის პირას ჩემი „მაქსიმეს“ ტყვიამფრქვევი და ავაკაკანეო. თათრები ტყაპატყუპით წყალში ცვიოდნენ ვაის ძახილით“. გიგლა კახეთში დიდხანს არ დარჩენილა, მალე დაბრუნდა. მიიღო მონაწილეობა ყველა ომში, რომელიც კი ჰქონია საქართველოს დამოუკიდებლობის ჟამს 1918-1921 წწ.: სომხეთთან, კომუნისტურ ოსეთთან, მათი ბოლშევიკების წაქეზებით აჯანყებისას და, რასაკვირველია, რუსეთთან, მე-11 არმიასთან. სომხეთის ომში გიგლასთან მხარდამხარ იბრძოდა მისი გიმნაზიის ამხანაგი სოსო ბერელაშვილი, რომელიც მოკლული იყო გიგლას თვალწინ. მისი სიკვდილი გიგლამ დიდად განიცადა. ისინი სკოლის ახლო ამხანაგები და მეგობრები იყვნენ. მაღალი, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, კარგად ვარჯიშობდა ტანვარჯიშულ იარაღებზე. მისი უფროსი ორი ძმა ოფიცრები იყვნენ, ზურაბი და გაიოზ ბერელაშვილები; გაიოზი აგრეთვე კარგი ტანმოვარჯიშე იყო.

დასაწყისი სომხეთთან ომისა ქართველებისათვის წარუმატებელი იყო, რადგან სომხები ომის გამოუცხადებლად, ერთბაშად დაესხნენ თავს საზღვარზე მდგარ ქართულ ჯარს და მოახერხეს ნაწილი საქართველოს ტერიტორიის დაკავება; მაგრამ ამის შემდეგ ქართველებში აღტკინება ისეთი დიდი იყო, ქართველები მოხალისეებად იმდენი მოაწყდა, რომ მალე სომხებმა პირი (იბრუნეს) უკუ-

18 Здравствуйте, господин полковник – სალამი, ბატონო პოლკოვნიკო

19 Видел что все спали, но во время получил рапорт – დავინახე, რომ ყველას გეძინათ, მაგრამ დროულად მივიღე რაპორტი

იქციეს და პანიკურად გარბოდნენ. ქართველები სიცილით მიჰკიოდნენ თურმე, დაიცადეთ სომხებო, ესე სწრაფად ნუ გარბიხართ, ვერ გეწევითო. თბილისში კი ამ დროს ხშირად გაიგონებდით სიმღერას ქუჩებში „Гюрджи, гюрджи (быстро) наступают, взяли Садахло, а армяне отступают с ГЕНЕРАЛОМ Дро“[20], ამას მოჰყვებოდა მინამღერი.

ასეთ დროს ნგრევა და ძარცვა აუცილებელი თანამგზავრია ომისა. ერთ სოფელში გიგლას მიეგნო სავსე მურაბის ქილისათვის, მოეხსნა მისთვის პირი და ჭამა დაეწყო. ამ დროს ოფიცრებს გაევლოთ, დაენახათ ეს სურათი, გადაეხარხარათ და ეთქვათ: ერთი შეხედეთ, გარეთ რა ამბავია, აქ კი, გიგლა თავის თავს არ ღალატობს და მურაბას მადიანად შეექცევაო. ოსეთში აჯანყების ჩაქრობისას გიგლას ბევრი საგარეჯოელი დახვდა, მათ შორის იაშა ანუაშვილი, საგარეჯოს თეატრის ენთუზიასტი, მისი გაჭირვების ტალკვესი, მისი სული და გული; როგორც სცენის მოყვარე სრულიად უნიჭო, თავის თავზე დიდი წარმოდგენისა, როგორც კომიკური როლების ნიჭიერ შემსრულებელზე, და კიდევ კოლა ქურდოვანიძე, საგარეჯოში ძია კოლად წოდებული, კომიკური როლების ნიჭიერი შემსრულებელი; ეს ორი მზარეულებად იყო იქ მოწყობილი. ყველა შენიშვნაზე იაშა გაიძახოდა თურმე: „პახოდობაა“[21] და მაშ, დასაშვებია. ეს ტერმინი იაშამ საგარეჯოშიც გადმოიტანა და ყველა შენიშვნაზე, რაც წარმოდგენას შეეხებოდა, უპასუხებდა „პახოდობაა“, რაც საერთო სიცილს იწვევდა.

გიმნაზია გიგლამ დაამთავრა 1919 წელს 18 წლისამ. დამთავრებისას მოეწყო ლიტერატურული საღამო, პროგრამაც კი დაბეჭდინეს. შინაარსიანი საღამო იყო. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ საღამოს მოწყობაში მიხეილ აბრამიშვილი და ვახტანგ კოტეტიშვილი. პირველი, გიმნაზიაში ქართული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელი იყო, მეორე კი საქართველოს ისტორიისა. ამ საღამოს პროგრამა დავკარგეთ, როგორც ბევრი სხვა საბუთიც. საღამოს შემდეგ გაიმართა ბანკეტი. ბანკეტის

20 Гюрджи, гюрджи (быстро) наступают взяли Садахло а армяне отступают с ГЕНЕРАЛОМ Дро – გურჯები, გურჯები (სწრაფად) გვიტევენ, აიღეს სადახლო, სომხები კი უკან იხევენ გენერალ დროსთან ერთად

21 პახოდობაა (რუს.) – ლაშქრობაა

თამადად, მოწაფეთა წინადადებით მიხეილ აბრამიშვილი იყო. დამთავრდა მოწაფეობის ხანა, ასეთი ტკბილი, მღელვარე და შფოთიანი. გაეხსნა გიგლას ფართო ასპარეზი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რას უქადდა იგი მას?

გიგლამ და მისმა ამხანაგებმა შექმნეს ჯგუფი, რომელიც სამსახურის გარდა, მოღვაწეობდა სხვადასხვა მიმართულებით: ლიტერატურული (სცემდნენ ჟურნალს, იწვევდნენ მწერლებს და მართავდნენ საჯაროდ მათ გამოსვლებს საკუთარი ლექსების კითხვით), დრამატული (მართავდნენ წარმოდგენებს სხვადასხვა კლუბში, ავჭალის აუდიტორიაში, სახალხო სახლში), გასაბჭოების შემდეგ ჩაებნენ მთავრობის საწინააღმდეგო არალეგალურ მუშაობაში და სხვ.

ამ ჯგუფში შედიოდნენ გიგლა, აკაკი ხორავა, მიხეილ ღვამიჩავა, ვანო კანდელაკი, სიმონ (ხუხუ) ხოფერია, ხათუნა ჭიჭინაძე (შემდეგ რუსთაველის თეატრის მსახიობი, გადასახლებული იყო 1937 წ. იმავე წელს დახვრეტილი იყო მისი ქმარი, ყურულაშვილი), მალიკო მრევლიშვილი (შემდეგ რუსთაველის თეატრის მსახიობი), კოტე რატიშვილი, მიტო ჯავახიშვილი, საშა ბურთიკაშვილი, ნინა ბაქრაძე, დიმიტრი მჟავია (შემდეგ რუსთაველის თეატრის მსახიობი), ეს ყველა ახალგაზრდა იყო. ხანდაზმულთაგან დავით თედეშვილი (მშენებელი – სამუშაოთა მწარმოებელი), გიორგი ნუკრაძე – რკინიგზის მოხელე. ორივე ამხანაგები იყვნენ, თავდაპირველად, ბაქოში სამსახურის პარალელურად საზოგადოებრივ საწყისებზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრეში – პირველი, როგორც ორგანიზატორი, მეორე, როგორც მსახიობი სცენის მოყვარე. უკანასკნელი ერთხანობას მსახურობდა ჭიათურის ხაზზე, მარტოთუბნის სადგურის უფროსად 1912-1913 წლებში. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი მუშაობა საზოგადოებრივ საწყისებზე ზესტაფონის თეატრში ხელმძღვანელად და მსახიობად. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მითხრა: ზესტაფონის თეატრის მსახიობი – სცენის მოყვარე, გვარი დამავიწყდა, შემხვდა და მითხრა, შენი სურათი ზესტაფონის თეატრში ჩამოვკიდეო, როგორც ამ თეატ-

რის მოამაგისაო, ჩამოდი ზესტაფონში, გვინახულეო, ახალ კოსტუმს ვაკერინებ და მისი შეკერვის შემდეგ ვაპირებ წასვლასო. არ დასცალდა ეს წასვლა, გარდაიცვალა 1942 წელს, 65 წლისა, დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გიგლა თბილისის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა და დაიწყო ამავე დროს სამსახური სასამართლოში. იყო სასამართლო პალატის მდივნად. მანამდე საოლქო სასამართლოში დაიწყო მუშაობა. სასამართლო პალატის უფროსად გელოვანი იყო. ამავე დროს გიგლა თანამშრომლობდა გაზეთ „საქართველოში“ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო); იგი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მიემხრო და მისი წევრი გახდა. წერდა მოკლე წერილებს გაზ. „საქართველოში“, სადაც სასამართლოს საქმიანობას ეხებოდა – „ური“[22]-ს ფსევდონიმით. ერთხელ „გარეშეს“[23]-ს ფსევდონიმით წერილი გაუშვა მენშევიკურ გაზეთ „ერთობა“-ში საშა ბურთიკაშვილის მეოხებით (დახმარებით?), სადაც ეხებოდა მეტად მტკივნეულ საკითხს (მგონი სასამართლოში ქართული ენის ხმარებას), რამაც ერთი ალიაქოთი გამოიწვია, რადგან სასამართლოს მესვეურთა დადგენილი კურსის საწინააღმდეგო იყო; გელოვანს დაებარებინა გიგლა და შეჰკითხებოდა: შენი დაწერილი ხომ არ არისო, რაზედაც გიგლას უარით უპასუხნია, ჩემი როგორ იქნება მე „საქართველოში“ ვთანამშრომლობო. სასამართლოში მსახურობდა მიშა ღვამიჩავაც, მხოლოდ გასაბჭოებამდე იგი იქ არ იყო, აკაკი ხორავა და მიშა ღვამიჩავა (ისინი ამხანაგები იყვნენ) რევოლუციამდე, მათი თქმით, რუსეთში იყვნენ სტუდენტებად სამედიცინო ინსტიტუტში და რევოლუციის შემდეგ ჩამოვიდნენ საქართველოში, ისევე როგორც საშა ბურთიკაშვილი. გასაბჭოების შემდეგ მიშა ღვამიჩავა უკვე სასამართლოშია, რადგან ამ დროს გიგლა და მ. ღვამიჩავა ოპოზიციაში არიან ხელისუფლების ღონისძიებათა მიმართ, თანამშრომელთა კრებებზე საწინააღმდეგო სიტყვებით გამოდიან,

22 ური – გიგლა გარსიაშვილის ფსევდონიმი

23 გარეშე – გიგლა გარსიაშვილის ფსევდონიმი

რამაც ის გამოიწვია, რომ გიგლაც და მ. ღვამიჩავაც წერილობითი ბრძანებით დათხოვნილი იყვნენ სამსახურიდან, მაგრამ ამას უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით. როგორც აღვნიშნე, ეს ჯგუფი დაკავშირებული იყო ერთმანეთთან გარდა იმისა, რომ ამხანაგები და მეგობრები იყვნენ, აგრეთვე თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით, განსაკუთრებით სასცენო მოღვაწეობით. დგამდნენ წარმოდგენებს ავჭალის აუდიტორიაში, პლეხანოვის კლუბში, პლეხანოვის გამზირზე, ქალთა გიმნაზიაში – ბებუთოვის ქუჩაზე და საბოლოოდ ნაწილი ამ ჯგუფისა, მას შემდეგ რაც ამ ჯგუფიდან ბევრი აქეთ-იქეთ გაიფანტა, სახალხო სახლში, სადაც მათმა საქმიანობამ პროფესიული სახე მიიღო. თავდაპირველად ეს ჯგუფი წარმოდგენებს მართავდა უფრო პლეხანოვის კლუბში – პლეხანოვის გამზირზე. ზამთრობით შიგნით, სცენაზე, ზაფხულობით ღია ესტრადაზე, ბაღში. ამ კლუბს ჰყავდა თავისი გამგეობა, რომლის წევრები უმთავრესად ყოფილი მენშევიკები იყვნენ. ამას მათქმევინებს შემდეგი გარემოება: ჯგუფსა და გამგეობას შორის უთანხმოება წარმოიშვა, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ ჯგუფმა შეწყვიტა იქ წარმოდგენების გამართვა. ეს ეხება გასაბჭოების პირველ, 1921 წელს. რა იყო საბაბი ამ უთანხმოებისა არ ვიცი, თუ არ მახსოვს, ისე კი ჯგუფში ამბობდნენ, რომ ეს საშა ბურთიკაშვილის ფარული ინტრიგის შედეგიაო, გამგეობაში მისი ყოფილი პარტიული ამხანაგები არიანო. თავდაპირველად, მოკლე ხნით, რეჟისორად და მთავარი როლების შემსრულებლად საშა ბურთიკაშვილი იყო, მაგრამ, რადგანაც მისი რეჟისორობა და მსახიობობა ჯგუფის წამყვან წევრებს არ აკმაყოფილებდა, მალე მთავარი როლების შესრულებას ავალებდნენ აკაკი ხორავას, ხოლო რეჟისორობა მიშა ღვამიჩავას ხელში გადავიდა, რომელიც ნიჭიერი რეჟისორი და მსახიობი სცენისმოყვარე იყო. წამყვანი დრამატული როლების შესრულებას ავალებდნენ აგრეთვე გიგლას. ქალთაგან ნიჭიერ მსახიობებად ითვლებოდნენ ხათუნა ჭიჭინაძე და მალიკო მრევლიშვილი. საშა ბურთიკაშვილმა, მას შემდეგ, რაც ჩამოერთვა რეჟისორობა, შეწყვიტა აგრეთვე სცენაზე გამოსვლა და ბოლოს, როგორც აღვნიშნე,

ჯგუფის საწინააღმდეგო ფარული ინტრიგის ქსელში გაეხვია. იწვევდნენ მწერლებსაც, რომელთაც აკითხინებდნენ წარმოდგენის დამთავრებისას საკუთარ ლექსებს. მახსოვს, მაგალითად, სდგავდნენ ქალთა გიმნაზიაში, ბებუთოვის ქუჩაზე პიესას „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. მაშინ მოიწვიეს გალაკტიონ ტაბიძე და ხარიტონ ვარდიაშვილი, რომლებმაც წაიკითხეს საკუთარი ლექსები. გალაკტიონ ტაბიძემ წაიკითხა ორი ლექსი, ერთი მათგანი იყო „მთაწმინდის მთვარე“, მეორე რომელი იყო, აღარ მახსოვს. პიესის მიმდინარეობისას მათ გაუმასპინძლდნენ ფოიეში საუზმით, გადაუხადეს რაიმე საფასური თუ არა, აღარ მახსოვს. ჯგუფი გასაბჭოებისას, 1921 წელს, გიგლამ მიიწვია საგარეჯოში პიესის დასადგმელად. დადგეს პიესა „ბურუსი“. მთავარ როლებს ასრულებდნენ აკაკი ხორავა და გიგლა. აკაკი ხორავა ასრულებდა დავითის როლს. საშა ბურთიკაშვილმა არ მიიღო წარმოდგენაში მონაწილეობა. ჩვენ საგარეჯოში სახლი გვქონდა სამი ოთახისგან შემდგარი; ამათგან დიდი ოთახი მაშინ დაკავებული ჰქონდათ საგარეჯოში განლაგებულ საარტილერიო ბატარეიის ოფიცრებს, დარჩენილ ერთ-ერთ, უფრო მოზრდილ ოთახში მოვათავსეთ ქალები ხათუნა ჭიჭინაძე, მალიკო მრევლიშვილი და ნინა ბაქრაძე. უკანასკნელ ყველაზე მომცრო ოთახში და შუშაბანდში ჩვენ, ოჯახის წევრები მოვთავსდით. აკაკი ხორავა და კოტე რატიშვილი წაიყვანა საშა ბურთიკაშვილმა თავის ნათესავთან (იგი თვითონ პატარძეულელელი იყო). სულ სამი დღე დარჩნენ ისინი. უკანასკნელ დღეს, საღამოთი გავმართეთ ვახშამი. ძალიან მხიარულად ჩაიარა ამ ვახშამმა. მომღერლები ბევრი იყო, სიმღერა სიმღერას მისდევდა. გვინდოდა ოფიცრების მოპატიჟება, მაგრამ ადგილი არ იყო, სად დაგვესხა, მაგიდის გარშემო სკამები მთლად დაკავებული იყო. კარები ოთახისა, სადაც აფიცრები იყვნენ, გამოდიოდა შუშაბანდში, სადაც ვახშამი იყო მოწყობილი. კარები ფართო მინიანი იყო. ვახშამი მათ თვალწინ მიმდინარეობდა. მოხდა ერთი ინციდენტი. აფიცერმა მანუჩარ ჯანდიერმა, ნასვამმა, კარების მინის ზედა კუთხეში, ისროლა რევოლვერი, მინა გაიხვრიტა, არ გატეხილა, ხოლო, როცა ვახშამი დასრულდა და ყველა სუფრი-

დან წამოიშალა, კიბეებზე ძლიერ ნასვამი მ. ჯანდიერი ამოვიდა და შუშაბანდში შემოსვლა სცადა. დედამ შემოიპატიჟა იგი, ამ დროს გაჩნდა ბატარეიის მეთაური კ. პ. ქავთარაძე (ისიც იმ ოთახში ცხოვრობდა) და მეტად აღელვებულმა მიმართა ჯანდიერს: „Манучар, Вы меня позорите, Вы мне голову режете[24]“, ხელი წაავლო და წაიყვანა. ამით დასრულდა ეს ინციდენტი. მეორე დღეს ბატარეის მეთაური იბოდიშებდა დიდად.

გიგლას ინიციატივით და აკაკი ხორავას მონაწილეობით 1921 წელს საგარეჯოს სცენაზე პიესა „ბურუსის“ დადგმასთან დაკავშირებით, მახსენდება ამავე სცენაზე წინა წლებში, ზაფხულში, გიგლას ინიციატივით და მისი აქტიური მონაწილეობით დადგმული სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“, რომელიც მსახიობთა შემადგენლობით, დადგმის გაფორმებით, სამსახიობო შესრულების მაღალი დონით, ჩემის აზრით, საუკეთესო წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს, რომელიც კი დადგმულა საგარეჯოს სცენაზე ადგილობრივი ინტელიგენციის უკანასკნელი თაობის სასცენო მოღვაწეობის პეიროდში, გასაბჭოებამდე. წარმოდგენის მხატვრულ მაღალ დონეს განსაზღვრავდა ის გარემოებაც, რომ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა გარდა პროფესიული მსახიობები – საგარეჯოს მკვიდრნი, დასასვენებლად მშობლიურ სოფელში ჩამოსულნი და საგარეჯოს სცენის ვეტერანები – ნიჭიერ მსახიობებად აღიარებულნი ადგილობრივ სცენის მოყვარეთა შორის. წარმოდგენის რეჟისორი და დამდგმელი იყო რევაზოვი, პროფესიული მსახიობი, პროფესიულ ქართულ თეატრში წარმოდგენა „ღალატში“ სულეიმან ხანის როლის შემსრულებელი. ამჯერადაც გარდა იმისა, რომ იგი წარმოდგენის რეჟისორი და დამდგმელი იყო, იგი იყო სულეიმან ხანის როლის შემსრულებელიც. როლები შემდეგნაირად იყო განაწილებული:

სულეიმან ხანი – რევაზოვი, პროფესიული მსახიობი

ოთარ-ბეგი – რეზო ჯაბადარი, საგარეჯოს სცენის ვეტერანი

24 Манучар, Вы меня позорите, Вы мне голову режете – მანუჩარ, თქვენ მე მარცხვენთ, თქვენ მე თავს მჭრით

ბესო – კოლა ქურდოვანიძე (ძია კოლა) კომიკური როლების შემსრულებელი

ზეინაბი – დარია მაისურაძე, საგარეჯოს სცენის ვეტერანი

რუქაია – ნინო მჭედლიშვილი (ნინონი), პროფესიული მსახიობი

ერეკლე – გიგლა გარსიაშვილი

დათო – ბიძინა გულისაშვილი

გაიანე – კირა გარსიაშვილი, შემდეგში მარჯანიშვილთან მცირე ხნით იყო მსახიობად, თავისი ნებით გაანება მსახიობობას თავი

საბა – ვანიჩკა მჭედლიშვილი, საგარეჯოს სკოლის მასწავლებელი

ანანია – ნიკა ქურხული

ყარა იუსუფი – ნიკო გარსიაშვილი

ისახარი – ლიზა ვაშაკიძე

საგარეჯოს მკვიდრ კოლა საგინაშვილს თბილისიდან ჩამოატანინეს წარმოდგენისათვის საჭირო ტანისამოსი; იგი ათხოვა ქართულმა პროფესიულმა თეატრმა საგარეჯოს თატრს; ამ წარმოდგენისათვის დეკორაციები დაახატვინეს თბილისის მე-8 კლასის გიმნაზიელს, საგარეჯოს მკვიდრს, ნიჭიერ მხატვარს (გვარი დამავიწყდა). წარმოდგენის მხატვრულ დონეზე ისიც მეტყველებს, რომ წარმოდგენის მსვლელობის დროს, საგარეჯოს თეატრის ჩვეულებრივ ხმაურიან დარბაზში ისეთი სიწყნარე იყო, რომ როგორც იტყვიან, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით. წარმოდგენის მე-4 მოქმედების მსვლელობისას, რუქაიას და ერეკლეს გამოსვლის დროს, მოხდა ერთი, მე ვიტყოდი, ხულიგნური საქციელი. მოკარნახე გიორგი გარსიაშვილმა შეწყვიტა კარნახი. ამის საბაბად გ. გარსიაშვილმა ის დაასახელა, რომ ფურცლები წიგნში ამოხეული აღმოჩნდაო! შემდეგ გამოირკვა, რომ ამის ჩამდენი თვით გ. გარსიაშვილი იყო. მისივე აღიარებით, ეს მოიმოქმედა იმის გამო, რომ მე-4 მოქმედების დაწყებამდე ვიღაცის მოტანილი მოხარშული ქათამი უჭამიათ და მისთვის არ უჭმევიათ, თუმცა ყველა მიუპატიჟებლად ჭამდა და არც მისთვის არავის უარი

არ უთქვამს ასევე მოქცეულიყო. მე-4 მოქმედების ფარდა დაეშვა ამ მოქმედების დაუმთავრებლად. ამ უმსგავსო საქციელით აღშფოთებულმა რევაზოვმა ტანისამოსი გაიძრო, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მე-5 მოქმედება აღარ შედგებოდა. ეს გამოუცხადა მაყურებლებს რეზო ჯაბადარმა. რეზო ჯაბადარის სიტყვები მთელი დარბაზის საპროტესტო შეძახილებმა დაფარა. ეს ის გარსიაშვილია, რომელსაც მიაწერდნენ გიგლაზე ყალბ დაბეზღებას თბილისის ჩეკაში, რაც გიგლასთვის საბედისწერო გამოდგა. მაგრამ ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

ამ ჯგუფმა იწყო ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა. ეს უფრო ადრინდელ პერიოდს, 1920 წელს ეკუთვნის. ჩანაფიქრით ეს ჟურნალი ყოველთვიური უნდა ყოფილიყო. სახელწოდება ამ ჟურნალისა იმ თვისა უნდა ყოფილიყო, რომელშიც გამოვიდოდა. გამოვიდა ორი ნომერი: „თებერვალი“ და შემდეგ მაისში სახელწოდებით „მარტი-აპრილი-მაისი“. ამით ჟურნალმა შეწყვიტა არსებობა უსახსრობის გამო. იმისათვის, რომ წარმოდგენა შეექმნას კაცს ჟურნალის მხატვრული დონის შესახებ, მოვიყვან ორ ლექსს: პირველ ჟურნალში დაბეჭდილს კოტე რატიშვილის „თებერვალს“ და მეორე ჟურნალში დაბეჭდილს, მიტო ჯავახიშვილის Marche funebre

თებერვალი

ვსტირი. მზეო მალე... თვალი დაიცალა.
ყინვა ვერ დავძლიე, ჩემთვის მოიცალა.
თეთრი თებერვალი გიჟმაჟობს და ჰბერავს.
ზევით ვიღაც ქალი თეთრეულებს ჰკერავს...
აგერ მოკვდა ბუზი, ფრთები შეეყინა,
ღაწვებზედ ბუსუსი ფეხზე შემიყენა
ჰყინავს თებერვალი...ცხვირიც გამილურჯა...
ნეტავ ვიყო მთვრალი, გავაჭენო ლურჯა...
მივდივარ სოფელში, ვერ ვამჩნევ ბილიკებს,
მუნჯი ჩემი ქსანი თოვლ-ქვეშ მილივლივებს.

სუდარებში მკვდრები თვალთ მელანდებიან,
ორღობეში ხმები... ძაღლნიც ჰყეფდებიან...
ჩურჩხელა და ჩირი. ჩამიჩი და ტყლაპი...
ხარ-კამეჩის ჭირი – ბევრი არის ლაფი,
ახ, ძველო ბუხარო! ძლივს მოგკარი თვალი,
ვერას მიზამ ქარო... გმინავს თებერვალი...

Marche funebre

(ბაბეტას)

შავი ხის ჯვრები, მთელი ტყე ჯვრების,
გადათხრილ ბორცვებს ჰფარავენ შავად...
ხალხთა გოლგოთა, სავანე მკვდრების,
და მუნ ყვავილები ავობენ ავად?...
ჩუმი ხის ჯვრები. უდაბნო მწარე.
სიცარიელე, ნანგრევთ დუმილი,
სიკვდილის სუნთქვით დამჭკნარი მხარე,
დაშლილ ჩონჩხების ცივი ღიმილი
ცეცხლში დამწვარი მწარედ გულები.
მიწა ვერ იტევს თვის შვილთა კვნესას...
სადღაც ყორნებთან უშნო სულები
სისხლზედ იხდიან საშინელ მესას...
შავი ხის ჯვრები... კუბო ახდილი,
გახრწნილ ველებზედ, ტყეებზედ ალი!...
ხეზედ ვიღაცის გვამი გახდილი,
მომაკვდავ ვარდთა სუნი დამპალი!...
ყვავნი ყორანნი ცივ ნანგრევებზედ!
ზუზუნებს ქარი. ნამქერი, ცივა...
და გამწკრივებულ ობლად ხის ჯვრებზედ
ფიფქი თოვლისა სცვივა და სცვივა!...

ჟურნალ „თებერვალში“ დაიბეჭდა გიგლას 3 მინიატურა. ამ ჟურნალის შესახებ გამოქვეყნდა ივანე გომართელის რეცენზია. კ. რატიშვილს „თებერვალს“ უწუნებდა, ნაძალადევიაო, დასამტკიცებლად მოჰყავდა ამ ლექსში ხმარებული წინადადება: „ძაღლნიც ჰყეფდებიან“, დამახინჯებული ქართულიაო. ჟურნალში იყო ერთი პატარა ლექსი, „გრიშა თუთას“ ფსევდონიმით. მასზე წერდა, გრიშა თუთას შეუძლია თუთა ჭამოს, მაგრამ ვურჩევთ ლექსების წერაზე ხელი აიღოსო და სხვ. ერთი რეცენზია ამ ჟურნალზე დაიბეჭდა გაზეთ „ერთობა“-ში. ზევით, როგორც აღვნიშნე, საშა ბურთიკაშვილი გაზეთ „ერთობ“-ის ტექნიკური თანამშრომელი იყო. რადგან ამ რეცენზიაში ჟურნალში მოთავსებულ მასალაზე დადებითი და უარყოფითი აზრი იყო გამოთქმული, საშა ბურთიკაშვილს გაეცნობებინა ამ რეცენზიის შინაარსი ჯგუფის წევრებისათვის და შეჰკითხებოდა: დავაბეჭდინო თუ არა ეს რეცენზიაო? დადებითი პასუხი მიეცათ, რადგან რეცენზია ჟურნალზე დაწერილი გაამახვილებდა მკითხველის ყურადღებას ჟურნალისადმი. რეცენზია დაიბეჭდა. შემდეგ საშას ოთახში მისი საწერი მაგიდის უჯრაში ნახეს ამ რეცენზიის შავი, საშას ხელით დაწერილი (და ხელმოწერილი). გამოირკვა საშას არაგულწრფელობა ჯგუფისადმი.

დადგა 1921 წ. თებერვალი. ბოლშევიკური მე-11 არმია მოადგა საქართველოს და გადმოლახა მისი საზღვრები. საქართველოს ჯარი უკან იხევდა გენერალ ოდიშელიძის მეთაურობით. მე-11 არმია მოადგა თბილისის მისადგომებს. სამი დღე-ღამის განმავლობაში თბილისში გაისმოდა ზარბაზნების გრიალი. გიგლა და მისი ჯგუფის ამხანაგები – სიმონ (ხუხუ) ხოფერია, მიშა ღვამიჩავა და სხვ. მაშინვე მოხალისეებად ჩაეწერნენ ქართულ ჯარში და კოჯრის ფრონტზე იბრძოდნენ. გიგლა მაშინ გამოცდილი მეტყვიამფრქვევე იყო. იჯდა მაქსიმეს ტყვიამფრქვევზე პირველ ნომრად, მასთან ერთად იბრძოდნენ სიმონ (ხუხუ) ხოფერია და მიშა ღვამიჩავა, მათთან ერთად ჯარში ჩაეწერა და ფრონტზე გაემგზავრა აგრეთვე მიტო ჯავახიშვილი, მაგრამ გზაში ცუდად გამხდარიყო (როგორც ზევით ვთქვი, იგი გულით ავადმყოფი იყო, სისხლს იღებდა) ფრონტამდე ვერ მიეღწია და იძულებული იყო

უკან დაბრუნებულიყო. თბილისთან ბრძოლების დროს გენერალი ოდიშელიძე გადაყენებული იყო და ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი კვინიტაძე. სამი დღე-ღამის განმავლობაში ბრძოლები არ შემწყდარა და თბილისში გაისმოდა ზარბაზნების გრიალი. ამ ბრძოლებში თავი ისახელეს იუნკერების სამხედრო სასწავლებლის განაყოფებმა თავისი გმირული და მაღალი ბრძოლისუნარიანობით. ამ განაყოფმა ჯარებთან ერთად უკან დაიხია ბათუმამდე, იქიდან გადაგზავნილი იყო ჯერ სტამბოლში, შემდეგ პოლონეთში, სადაც, როგორც ამბობდნენ, გაანაწილეს ოფიცრებად პოლონეთის არმიის ნაწილებში. დადგა 25 თებერვალი, საქართველოსთვის საბედისწერო დღე. გენერალ კვინიტაძის განკარგულებით ჯარებმა უკან დაიხიეს ახალ პოზიციებზე. ამის შესახებ დაწვრილებით აქვს მოთხრობილი გენერალ მაზნიაშვილს თავის მოგონებებში. ამ დროისათვის საქართველოში უკვე მოედინებოდა ჯარის შესავსებად მოხალისენი თუ მობილიზებულნი. საგარეჯოდან (ჩემი სოფელია) ვაზიანში იყო უკვე თბილისში მომავალი 100 კაცი (მათში ჩემი ბიძაშვილი, იერემია გარსიაშვილი, აფიცერი, ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1937 წელს), ვაზიანში გაიგეს ჯარის უკან დახევის ამბავი, უკანვე წავიდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო დაიწყო დეზერტირობა, ყოველ შემთხვევაში, როგორც ამბობდნენ თავის სეხლამდე მისვლისას სახლში რჩებოდნენ. ჯარმა დაიხია ბათუმამდე დიდად შემცირებული რაოდენობით. გიგლა თავის მეგობრებთან ერთად ბოლომდე დარჩა თავის სამშობლოს ერთგულ დამცველად და ბოლომდე მივიდა ბათუმამდე, მიიღო მონაწილეობა თურქების წინააღმდეგ თურქთაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში და დაბრუნდა სახლში, როცა ჯარი დაიშალა. ჯერ კიდევ ლოგინში ვიწექით, როცა გიგლა მოვიდა. დედა ამ ხნის განმავლობაში გიგლას ლოგინში წვებოდა ხოლმე. გადაეხვია და უთხრა: „შენზე ფიქრით შენს ლოგინს არ მოვცილებულვარ“. დედას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ომშიც და ყველა წინა ომებში, სადაც გიგლა უცვლელი მონაწილე იყო, მიუხედავად დიდი დაძაბულობისა და მღელვარებისა, მის თვალებზე შინა-

ურებს ცრემლი არ გვინახავს. მამაც აგრეთვე, როცა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას ფრონტიდან დაბრუნდა (იგი 1914 წელს მღვდლად მობილიზებული იყო სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე) და გიგლა სამხედრო ტანისამოსში დახვდა, გიგლას განმარტების შემდეგ უთხრა: ფრონტზე წასვლისას ბავშვი დაგტოვე, დავბრუნდი და ვაჟკაცი დამხვდიო. ბავშვებს ყოველთვის გვინერგავდნენ სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავგანწირვას საჭიროების ჟამს. ასეთივე დარჩნენ, როცა საჭირო გახდა ასეთი სიყვარულის, ასეთი თავგანწირვის გამოჩენა.

გვარდიელების უდისციპლინობამ თბილისის მისადგომებთან საბედისწერო როლი შეასრულა ომის მსვლელობაზე. ამან მომაგონა საქართველოს პარლამენტში 1920 წელს ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერის სპირიდონ კედიას გამოსვლა, რომელიც 2 საათს გაგრძელდა, იგი მოითხოვდა გვარდიის დაშლას, რადგან შეუთავსებელია რეგულარული ჯარის პარალელურად უდისციპლინო გვარდიის არსებობაო. ძირითადად სამხედრო სამსახურის ტვირთს ზიდავდა რეგულარული არმია, ხოლო გვარდია ყოველმხრივ პრივილეგირებული ჯარი იყო ჩაცმით, კვებით და სხვ. ეს იწვევდა ანტაგონიზმს რეგულარულ ჯარსა და გვარდიას შორის. გვარდიის არსებობას აზრი ჰქონდა რევოლუციის პირველ წლებში, ამბობდა სპირიდონ კედია, როცა რეგულარული ჯარი დაიშალა, დაირღვა დისციპლინა, მაშინ გვარდიამ, კედიას სიტყვით, შეასრულა დადებითი როლი, ეხლა კი რეგულარული არმიის არსებობისას, გვარდიის არსებობამ დაკარგა აზრი და იგი უნდა დაიშალოსო. პარლამენტის უმრავლესობამ (მაშინ პარლამენტში მენშევიკები უმრავლესობა იყო) უარყო ეს წინადადება. რამდენად დროული და მართებული იყო კედიას აღნიშნული წინადადება ამას ქვემოთ მოყვანილი ფაქტიც ცხადყოფს. თბილისში რუსის ჯარის შემოსვლისას, ჯარისკაცები დადიოდნენ ეზო-ეზო და მოსახლეობას პურს თხოვდნენ. ჩვენც მოგვადგა ასეთი ჯარისკაცი, როცა ჩვენი ბინის კიბეებზე ამოდიოდა, კიბის ზედა საფეხურზე გაჩერდა, აივნის წინ, დედამ შიშისაგან ჩვენი ბინის დერეფნის კარები და დარაბები მიუხურა, მამამ

უთხრა დედას: „რას სჩადიხარ“, – გამოაღო კარი და ჰკითხა ჯარისკაცს: „Что Вам угодно ? хлеба батюшка[25]“ – იყო პასუხი. პური გამოუტანეს. „А Вы нас напугали“[26] – უთხრა დედამ. ჯარისკაცმა უპასუხა – „Разве русского человека надо пугаться?“[27] როგორც ხალხში ხმა დადიოდა, მათ ხელმძღვანელობას მიაწერდნენ შემდეგ სიტყვებს „В боях всегда они побеждали нас, а отступали они а не мы“[28]. აი, ასეთმა მშიერმა და ტიტველმა არმიამ დაიპყრო საქართველო. ამასაც ამბობდნენ: როცა ქართულმა ჯარმა თბილისიდან უკან დახევა დაიწყო, რუსებს მოსკოვიდან მიღებული ჰქონდათ ბრძანება საქართველოდან უკან დახევის შესახებ. თბილისში რუსის ჯარის შემოსვლის პირველ დღესვე სიტყვაში საჯაროდ, მგონი მიხა ცხაკაიამ განაცხადა: „თბილისი ისე ავიღეთ, რომ ერთი თოფიც არ გავარდნილაო“. ყველა გაოცებული იყო ასეთი თავხედური, უსირცხვილო ტყუილის გამო თბილისისათვის გააფთრებული ბრძოლების მომსწრე თბილისის მოსახლეობის წინაშე. ბოლშევიკების ასეთ ცინიკურ ქცევას ხალხი, რასაკვირველია, ჯერ მიჩვეული არ იყო.

კოჯორთან ბრძოლების დროს, ერთხელ, გვიამბო გიგლამ, ტყვიამფრქვევის წინ (როგორც ზევით ვთქვი, ტყვიამფრქვევის გუნდში გიგლა პირველ ნომრად გამოდიოდა) ცხადად ღვთისმშობელი გამომეცხადაო. ამხანაგებში ამის შესახებ არაფერი ვთქვი არ დამცინონო. მამამ უთხრა: შენი მფარველი ღვთისმშობელი ყოფილა. ეხლა აღარ მიკვირს, თუ რატომ ამდენ ბრძოლებში გამოვლილს არაფერი შეგემთხვა, უბრალო გაჩხაპნილიც, არაფერი გაგეჩხაპნაო.

გიგლამ ერთი სასაცილო ამბავი გვიამბო: „მიშა ღვამიჩავას ჰქონდა ჩაბარებული ყუთები ტყვიებით. ამ ყუთებს გვაწვდიდა ხოლმე. დანარჩენ დროს მიწაზე იწვაო. მოვიდოდა თუ არა ბრძა-

25 Что Вам угодно ? хлеба батюшка – რა გნებავთ? პური, მამაო

26 А Вы нас напугали – თქვენ ჩვენ შეგვაშინეთ

27 Разве русского человека надо пугаться – განა რუსი ადამიანის უნდა გეშინოდეთ

28 В боях всегда они побеждали нас а отступали они а не мы – ბრძოლას ყოველთვის ისინი იგებდნენ, უკან კი ისინი იხევდნენ და არა ჩვენ

ნება უკან დახევის შესახებ, პირველი მიშა წამოხტებოდა, დასწვდებოდა ყუთებს და გარბოდა. ჩვენ აღარ გვიცდიდა. ყუთები ყველაზე მსუბუქი იყო. ხუხუ ხოფერიამ დაიქადნა: დამაცადეთ, მე მაგას ოინს ვუზამო. ერთ-ერთ გახურებულ ბრძოლის დროს ხუხუმ მიშას ფეხი შეუმჩნევლად ტყვიამფრქვევს მიაბა. მოვიდა ბრძანება უკან დახევის შესახებ, მიშამ წამოიწია, მაგრამ უკანვე დაეცა მიწაზე, ვეღარ ადგა. ამჯერად მიშას მოუხდა უფრო მძიმე ტვირთის ტარება“.

გიგლამ ომიდან (ბათუმიდან) დაბრუნების შემდეგ ისევ უმაღლეს სასამართლოში დაიწყო მუშაობა. კადრების სიმცირის გამო წინადადებას აძლევდნენ ძველ მოსამსახურეებს განაგრძოთ ისევ სამსახური. ასევე სამსახური განაგრძო უმაღლეს სასამართლოში მიშა ღვამიჩავამაც. პარალელურად იგი ადგილკომის თავჯდომარეც იყო. იუსტიციის კომისარიატის ღონისძიებათა კრიტიკით (რას ეხებოდა, ეს აღარ მახსოვს) გამოვიდნენ საერთო კრებაზე გიგლა და მიშა. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ გიგლა და მიშა იუსტიციის კომისრის, ქავთარაძის წერილობითი ბრძანებით, დათხოვნილი იყვნენ სამსახურიდან (ბრძანება გამოკრული იყო უმაღლეს სასამართლოში). გიგლა ამის შემდეგ სამსახურში მოეწყო მე-5 ვაჟთა გიმნაზიაში (ავლაბარში) საქართველოს ისტორიის მასწავლებლად. მაგრამ აქაც ხანმოკლე გამოდგა მისი სამსახური, რადგან აპენდიციტის შეტევის გამო ხანგრძლივად მოუხდა ლოგინში წოლა და ავადმყოფობის გამო პირადი წერილობითი განცხადებით განთავისუფლებული იყო სამსახურიდან. ამ გიმნაზიის დირექტორი იყო ჯიშკარიანი. ამ გიმნაზიაში მასწავლებლად მისვლისას გიგლას დახვდა მისი ყოფილი ფიზიკის მასწავლებელი და მე-2 გიმნაზიის, სადაც გიგლა სწავლობდა, ყოფილი დირექტორი ი. ი. მელიუშენკო. შეხვედრა მეტად გულთბილი იყო, რაც ორიოდე წლის წინ მერხიდან ამდგარი ყოფილი მოწაფე თავისი ყოფილი მასწავლებლისა და ინსპექტორის კოლეგა გახდა.

1921 წლის ზაფხული ჩვენმა ოჯახმა მშობლიურ სოფელ საგარეჯოში გაატარა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ სოფელში მშვე-

ნიერი სამოთახიანი სახლი გვქონდა, შუშაბანდით, სარდაფით, მამას აშენებული. ფასადის მხარეს, ქუჩის მხრიდან სახლი სიღრმეში იყო დაწეული, ასე რომ ფასადის მხარესაც პატარა ეზო იყო, ხოლო ფასადის საწინააღმდეგო მხარეს, შუშაბანდის წინ ეზო იყო პატარა, მაგრამ წინა ეზოზე გაცილებით მოზრდილი, სადაც დარგული იყო სხვადასხვა ნამყენი ხეხილი: სხვადასხვა ჯიშის ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, კომში, ბალი, ალუბალი, გარგარი; ხილს სარდაფში ვინახავდით გვიან შემოდგომამდე, სარდაფი მშრალი იყო, ხილი კარგად ინახებოდა. ეზოში ხეხილს შორის ვთესავდით კიტრს, სარის (ნიკა) ლობიოს, პომიდორს, ბადრიჯანს, ყოველნაირ მწვანილს, ეზოში მოედინებოდა სათავიდან წყაროს რუ; ასე რომ სარწყავი წყლის ნაკლებობას არ განვიცდიდით. გვქონდა მამაპაპეული პატარა ვენახიც, სადაც ვაზის გარდა, დარგული იყო რამდენიმე ძირი კაკალი, ადგილობრივი ჯიშის ატმები, მსხალი და სხვ. ეს ხეხილი მოზრდილები იყო. ვენახს უვლიდა უფროსი ბიძა ისიდორე, რომელიც საგარეჯოში ცხოვრობდა. ყურძენს არ ვწურავდით, რადგან მისი რაოდენობაც მცირე იყო, და საამისო მოვლაც აკლდა, სამაგიეროდ საჭმელად ყურძენი მთელ ზაფხულს გვყოფნიდა. ვენახში ვთესავდით ლობიოს, კარტოფილს. ეს დამხმარე მეურნეობა დიდ შეღავათს აძლევდა ოჯახს. ამას დაერთო 1921 წელს ერთი გარემოება: ბოლშევიკები ეხლად შემოსულები იყვნენ, იქმნებოდა ახალი დაწესებულებები და მათთან ერთად დაარსდა საგარეჯოს სამხედრო კომისარიატი. სამხედრო კომისრად დანიშნული იყო საგარეჯოში მცხოვრები, პროფესიით სამხედრო ინტენდანტი, ალექსანდრე (საშა) მჭედლიშვილი, მამას ახლო მეგობარი. საშა მჭედლიშვილმა მამას შესთავაზა სამხედრო კომისრის მოადგილის თანამდებობა. მამა დათანხმდა. ტექნიკურ თანამშრომლებად დანიშნეს გიგლა და მამას ბიძაშვილი იერემია გარსიაშვილი (დახვრიტეს 1938 წლის თებერვალში). მათთვის ამ საქმის გაძღოლა იოლ საქმეს წარმოადგენდა, საქმეს სწრაფად ასრულებდნენ, დანარჩენ დროს მთელ დღეს ისხდნენ მაგიდასთან და ჭადრაკს თამაშობდნენ. წასულიყო თბილისში დაბეზღება: კომისრის მოადგილედ ზის ანაფორიანი მღვდელი,

ხოლო ტექნიკური თანამშრომლები არაფერს აკეთებენ ჭადრაკის თამაშის გარდაო. ერთ დღეს გიგლას და იერემიას, ჭადრაკის თამაშში გართულებს, თავს წაადგა კონუსური ფორმის ქუდიანი სამხედრო პირი, რომელმაც სამხედრო კომისარი და მისი მოადგილე იკითხა, რომლებიც საერთო ნაცნობის დასაფლავებაზე იყვნენ წასულები. მოვიდნენ მამა და საშა მჭედლიშვილი. დაბეზღება დადასტურდა. დაიწყო რევიზია. რევიზიის დამთავრებისას რევიზორმა დიდი მადლობა გადაუხადა საშა მჭედლიშვილს და მამას საქმის სანიმუშოდ დაყენებისათვის. საშა მჭედლიშვილმა შესჩივლა რევიზორს, რომ კომისარიატს არა აქვს საჭირო სათავსო და ამ მხრივ დიდ გასაჭირშია. რევიზორმა მიუთითა ჩვენს სახლზე, რომელიც შენიშნული ჰქონდა, რადგან ჩვენი სახლი მთავარ ქუჩაზე გამოდიოდა, მაგრამ საშა მჭედლიშვილის პასუხის შემდეგ, რომ ეს სახლი მამას ეკუთვნის გაჩუმდა და აღარაფერი უთქვამს. მალე ამის შემდეგ საშა მჭედლიშვილი გადაიყვანეს ქართული მსროლელი დივიზიის, რომელიც მაშინ ჩამოყალიბდა, მომარაგების სამმართველოს უფროსად. ამ დროსვე ეკუთვნის აგრეთვე მამას წერილობითი განცხადება კომისრის მოადგილის თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ. წამოვიდნენ სამხედრო კომისარიატიდან გიგლაც და იერემიაც. საგარეჯოში ყოფნისას გიგლა ხშირად წარმოდგენებს მართავდა ადგილობრივ თეატრში. იყო დასის რეჟისორი და თვითონაც ასრულებდა მთავარ როლებს, ამჯერადაც დაიდგა წარმოდგენა, წარმოდგენის შემდეგ გამოვიდნენ ლექსების კითხვით, გიგლამ საკუთარი ლექსი წაიკითხა, რომელიც მიმართული იყო ეხლად დამკვიდრებული ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ადგილობრივი ხელისუფლებიდან წარმოდგენას ესწრებოდნენ ვინმე ბეჟანიშვილი და გოგიშვილი. მათ გიგლას მოსთხოვეს, რომ ლექსი დაწერილი მათთვის გადაეცა (გადასცა ლექსი შესწორებული, შერბილებული სახით) და გაჰყოლოდა მათ დაწესებულებაში (რა დაწესებულება იყო არ ვიცი, მოთავსებული იყო ანუაშვილის სახლში). ამ ამბავმა გიგლასთვის მშვიდობიანად ჩაიარა. გიგლას წინააღმდეგ არავითარი რეპრესიები არ ყოფილა მიღებული. სა-

მხედრო კომისარიატიდან წამოსვლის შემდეგ გიგლა საგარეჯოს სასამართლოში მოეწყო მდივნად (სასამართლოს მოსამართლე იყო ჩერქეზიშვილი, უპარტიო). სასამართლოს პირველი სხდომა, რომელიც საორგანიზაციო საკითხებს ეხებოდა, ის-ის იყო უნდა გამართულიყო, რომ გიგლა თბილისიდან ჩამოსულმა ჩეკისტებმა დააპატიმრეს და თბილისის ჩეკაში წაიყვანეს. დაპატიმრების საბაბი იყო საგარეჯოდან წასული ყალბი დაბეზღება. იმ ხანად გიგლა არალეგალურ ორგანიზაციასთან არ იყო დაკავშირებული და არავითარ არალეგალურ საქმიანობას არ ეწეოდა. დაბეზღება უბრალო პირადი მტრობის გამოვლინება იყო. დამბეზღებლად ასახელებდნენ ჩვენს ბიძაშვილს გიორგი გარსიაშვილს. ეს დაბეზღება გიგლასათვის საბედისწერო გამოდგა. მამამ დახმარებისათვის მიმართა საგარეჯოელ პეტრე აღნიაშვილს, რომელსაც კომუნისტურ პარტიაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოსტი ეკავა. მისი შუამდგომლობით გიგლა მაშინვე გაანთავისუფლეს, მაგრამ როცა განთავისუფლების შემდეგ გიგლა აქტიურად ჩაება არალეგალურ მუშაობაში, იგი დაპატიმრებული იყო 1924 წლის პირველ თებერვალს, მძიმე ბრალდება ჰქონდა წაყენებული და საჭირო იყო გავლენიანი პირის დახმარება; პეტიკო აღნიაშვილმა მამას უარი უთხრა დახმარებაზე იმ საბაბით, რომ გიგლამ ჩეკასთან შეარცხვინა იგი, რადგან ხელმეორედ დაიწყო არალეგალური მუშაობაო. მამა რამდენჯერმე იყო მასთან და ზოგჯერ არც ეჩვენებოდა სახლში მას. გიგლა დახვრეტილი იყო 1924 წელს პირველ სექტემბერს საქართველოში მომხდარი აჯანყების დროს, დახვრეტების უკანასკნელ, მე-3 დღეს შვიდი თვის პატიმრობის შემდეგ, ასე რომ, აჯანყებასთან უშუალო კავშირი არ ჰქონია.

ჩეკადან განთავისუფლების შემდეგ გიგლა დაკავშირდა ნაციონალურ-დემოკრატიულ პარტიის არალეგალურ ორგანიზაციასთან და მისი აქტიური წევრი გახდა. 1922 წლის შემოდგომაზე მამა გადაიყვანეს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიიდან ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდლად; ეკლესია იდგა სასაფლაოზე, რომელიც მაშინ მოქმედი იყო (ამჟამად იმ ადგილას ვერის კიროვის პარკია გაშენებული). ჩვენი ოჯახი გადავიდა ამ ეკლესიის

კუთვნილ შუშაბანდიან სახლში, რომელიც სასაფლაოს დასაწყისში იყო მოთავსებული (იქ, სადაც ამჟამად კიროვის პარკშია შესასვლელი მარტის ქუჩიდან) და დაიკავა სამი ოთახი. აქ გატარებული წლები ჩვენი ცხოვრების მანძილზე ჩვენთვის ყველაზე უფრო მძიმე, მღელვარე, გაჭირვებული იყო, განსაკუთრებით დედასთვის. გიგლასთვის ხომ იგი მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები გამოდგა. გადავედით 1922 წლის შემოდგომას და მისი გულის ფეთქვა შეჩერდა 1924 წლის 1/IX-ს, შუაღამისას დახვრიტეს 23 წლის (იგი დაიბადა 1901 წელს გიორგობისთვეს) ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, დიდი იმედების მომცემი, საქართველოსთვის 4 დიდი ომისა და მცირე ომების გადამტანი ახალგაზრდა. დაპატიმრების მომენტში სახალხო სახლის (ამჟამად მარჯანიშვილის თეატრია იქ მოთავსებული) დრამატიული დასის დირექტორი და რეჟისორის თანაშემწე, სახალხო სახლის საიუბილეო კრებულის (1923 წ.) რედაქტორი (ხელმოუწერავია), საიუბილეო კრებულში წამძღვარებული სახალხო სახლის ისტორიის შემდგენელი (ხელმოუწერავია) – [ამ ისტორიის შედგენისათვის, როცა მას გაეცნო, სახალხო სახლის გამგეობის თავჯდომარემ ახვლედიანმა გიგლას საავადმყოფოში (მაშინ გიგლა მიხეილის საავადმყოფოში იწვა, გრ. მუხაძისაგან აპენდიციტის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, რასაც მძიმე გართულება მოჰყვა, მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ამჯერად გადარჩა;) ლეო კანდელაკის ხელით გაუგზავნა 5 ჩერვონეცი. საიუბილეო კრებულში გიგლას სამსტროფიანი ლექსია მოთავსებული, ყოველი სტროფი სახალხო სახლის თვითოეული ათწლეულის გამომსახველი. აი ის ლექსიც

პროფილში

(30 გაზაფხულისათვის)

გველის წივილი... სიბნელე-ქარი
ცრემლები... დენა ნიაღვარების –
მუნჯი ქანება... მგზავრობა ჩქარი...
ავი ძახილი ათას გვარების...

მოციქულობა ტრიბუნის ღმერთის:
ჩამონგრეული ქოხის ჩონჩხები –
ზღვაში დაღუპვა გემი „იმედის“,
ლოთი „ქრისტინე“-ს ხორცის ძონძები...

და ოცდაათი გაზაფხულისთვის –
სალომეიას ვნების ფრაგმენტი
ოჰ! „მე გაკოცებ იოქანაან!“ –
აქ თუ ვიხილე ლედი მაკბეტი...

„სახალხო თეატრი“ საიუბილეო კრებული 1893-1923 გვ. 32

სახალხო სახლის იუბილესადმი მიძღვნილი საიუბილეო ერთდროული გაზეთის რედაქტორი (ხელმოუწერელი), შალვა დადიანისადმი მიძღვნილი საიუბილეო გაზეთის (1922 წ.) რედაქტორი (ხელმოუწერელია); ამ გაზეთში გიგლას ლექსია დადიანისადმი მიძღვნილი, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება[29]

– საწყალი დედა! მუდმივ თავისი შვილის მოლოდინში, ხშირად ეტყოდა ხოლმე გიგლას: „შვილო, საშიშ საქმეში ხარ ჩაბმული, რა გვეშველება!“ – ნეტა რა გულმა გაუძლო ამდენ შიშს, მწუხარებას, ავის მოლოდინს!

დღისით სამსახურში იყო (მაშინ მორტრანში – морской транспорт[30] მსახურობდა) საღამოთი ან სახალხო სახლში (რეპეტიციაზე, წარმოდგენაზე), ან არალეგალურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმეზე იყო წასული. უკანასკნელ შემთხვევაში იგი ყოველთვის იგვიანებდა. მოდიოდა სახლში არა უადრეს 12 საათისა. ერთხელ ღამის 3 საათზე მოვიდა. დედა მის მოლოდინში ყოველთვის ფხიზლად იყო, იდგა ნაპირა ოთახის ფანჯარასთან, რომელიც გადიოდა ჭიშკრის სიახლოვეს და ელოდებოდა მას, სანამ არ მოვიდოდა. გაიგონებდა თუ არა მის ფეხის ხმას ღამის სიჩუმეში, მაშინვე გაიქცეოდა მოპირდაპირე მხარეს, ბინაში შემოსასვლელი კარისკენ და კარში დახვდებოდა ხოლმე. და ეს

29 ხელნაწერს ლექსი არ ეხლავს
30 морской транспорт – მორტრანი (საზღვაო ტრანსპორტი)

ყოველ წუთს, ყოველ დღე, თვეობით, წლობით! არ ჩაუარა დედას უბრალოდ ამდენმა მღელვარებამ, ამდენმა შიშმა და მწუხარებამ. იგი გარდაიცვალა 1963 წელს სკლეროზისაგან 89 წლისა. „მეცოდება ეს ადამიანი“, გვითხრა ერთხელ მისმა მკურნალმა ექიმმა გ. მხეიძემ, იღუპება სკლეროზისაგან მაშინ, როდესაც მისი ყველა ორგანო ჯანსაღია, იგი ჯერ კიდევ დღეგრძელი იქნებოდა, რომ სკლეროზი არ დამართოდაო. ჩემ მხრივ დავუმატებ, რომ დედა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მწოლიარე ავადმყოფი არ ყოფილა, თუ შეუძლოდ იგრძნობდა თავს, ზეზეურად გადაიტანდა ხოლმე მას.

მეც ჩავები სტუდენტთა არალეგალურ საქმიანობაში, ჩვენ რიგითი სტუდენტები ათეულებად ვიყავით დანაწილებული. გვყავდა ათეულის მეთაური, პერიოდულად იმართებოდა ათეულის სხდომები, სადაც პოლიტიკურ მოხსენებათა გარდა, იკითხებოდა მოხსენებები ჩვენი და ცენტრიდან გამოგზავნილი პირის მიერ სხვადასხვა თემაზე, სისტემატურ მეცადინეობას ვატარებდით მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინის შესასწავლად, უმთავრესად პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიისა, თემა ჩვენი მოხსენებებისა ამ გავლილი შესწავლილი მასალიდან იყო შერჩეული ხოლმე, ვასრულებდით აგრეთვე დავალებებს, რომელიც არალეგალურ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული; პირველად ასეთი დავალების შესრულება მომიხდა 1922 წლის ზაფხულში. ერთ დღეს გიგლას შეატყობინეს, რომ გადაწყდა ჩვენ ბინაზე მოეწყოს სტუდენტთა არალეგალური კონფერენცია; ეს შეატყობინეს კონფერენციის დაწყებამდე ორი საათით ადრე; მე მევალებოდა ჩემი ათეულიდან გამომეყო ხუთი კაცი სამეთვალყუროდ, თუ შეიქმნებოდა საეჭვო ვითარება, უმალ შემეტყობინებინა კონფერენციის მონაწილეთათვის. კონფერენციის დაწყებისას მონაწილენი მოდიოდნენ კუკიის სასაფლაოს შესავალ კარებთან, თითო-თითო გარკვეული ინტერვალებით, აქ ვხვდებოდი მე, ხან გიგლა და ჩვენი თანხლებით მიგვყვანდა ჩვენი ბინისაკენ, აივანზე, კიბის ზემო საფეხურზე ხვდებოდა დედა და შეუძღვებოდა ხოლმე ზალაში. კონფერენციამ საერთოდ მშვიდობიანად ჩაიარა,

ერთი ეპიზოდის გარდა. მიუხედავად მიღებული სიფრთხილისა, მონაწილეთა რიცხვი და მათი დინება შეუმჩნეველი არ დარჩა და სასაფლაოს დარაჯმა მიშა ლეონტუევმა ხმამაღლა ლაპარაკი მორთო: ხალხი უწყვეტად მოედინებაო, მაგრამ მალე ჩაჩუმდა, როცა მივედი და ვუთხარი, რა მოგდის მიშა, გიგლას ამხანაგები დაპატიჟებული ჰყავს-მეთქი.

1923 წელს (თვე არ მახსოვს) სტამბის თანამშრომელმა მ. გ-მ ჩვენ ბინაზე მოიტანა გიგლასათვის გადასაცემად კარგად შეფუთული შეკვრა სტამბის ნაწილების. გიგლას დავალებული ჰქონდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციისათვის სტამბის მოწყობა. მე ეს შეკვრა შევინახე ტახტში, რომელიც იქვე შუშაბანდში გვედგა. სამი დღის შემდეგ მ. გ-მ უკანვე წაიღო ეს ნაწილები, რადგან მასვე დაავალეს ამ სტამბისათვის სათავსოს შოვნაც. ამ სტამბაში სხვადასხვა ფურცლები იბეჭდებოდა მოსახლეობაში გასავრცელებლად. ერთ ხანობას განიზრახეს არალეგალური გაზეთის გამოშვებაც, მაგრამ ეს განზრახვა არ განხორციელდა, რა მიზეზით, არ ვიცი. სხვა ფურცლებთან ერთად ამ სტამბაში დაიბეჭდა ერთი ფურცელიც, მიმართული მღვდლების ერთი დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც კათალიკოს ამბროსის წინააღმდეგ იყო სიძულვილით განწყობილი; ამ დაჯგუფების სათავეში იყვნენ მღვდლები ჩიჯავაძე, ბენიამინ კანდელაკი და ქრისტეფორე ციცქიშვილი. ჩიჯავაძე კერძო ცხოვრებაში თავისი ამორალურობითაც იყო ცნობილი. ეს სამი პირი აშკარად თანამშრომლობდა ჩეკასთან, მათი საშუალებით ჩეკა ცდილობდა თავს მოეხვია სამღვდელოებისათვის კათალიკოს ამბროსის კათალიკოსობიდან გადაყენება. მიზეზი ამისა ცნობილია: კათალიკოს ამბროსის ხელმოწერით ერთა ლიგის გენუის კონფერენციას [31]გაეგზავნა მემორანდუმი საქართველოს შესახებ. ამისათვის მას კომუნისტურმა მთავრობამ თავდაპირველად შინაური პატიმრობა მიუსაჯა. ამავე ხანს

31 ერთა ლიგის გენუის კონფერენცია – გენუის კონფერენცია 1922 წ. საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე, მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე, მონაწილეობდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი.

ეკუთვნის საკათალიკოსო საბჭოს უხუცესი წევრების დაპატიმრებაც და მათი მეტეხის ციხეში მოთავსება. ფორმალური მიზეზი საკათალიკოსო საბჭოს წევრების იმხანად დაპატიმრებისა იყო ის, რომ მან წერილობით უარი შეუთვალა მთავრობას დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა გადაეცა მისთვის სამხედრო სობოროს გასაღები. ეს გასაღები დეკანოზ ანტონ თოთიბაძეს მისი დაპატიმრების ჟამს ჯიბეში უპოვნეს. იგი იყო ამ სობოროს წინამძღვარი.

სანამ კათალიკოსი ამბროსი შინაურ პატიმრობაში იყო, მის წინააღმდეგ მიიტანეს მძლავრი იერიში ჩეკას მიერ მოგზავნილმა მღვდლებმა: მოითხოვდნენ მისგან კათალიკოსობიდან გადადგომას. იერიში ისეთი დიდი იყო, რომ საცემრადაც კი გაიწიეს საკათალიკოსო საბჭოს წევრ გ. გამრეკელზე (იგი დაპატიმრებული არ ყოფილა), რომელიც მათ წინ აღუდგა. 1923 წელს (თვე არ მახსოვს) დილაადრიან (ჩვენ ჯერ კიდევ ლოგინებში ვიწექით) ჩვენთან მოვიდა ნატალია თოთიბაძე, დეკანოზ ა. თოთიბაძის მეუღლე (ა. თოთიბაძე დაპატიმრებული იყო სხვებთან ერთად) და გვითხრა, რომ ჩემთან იყო კათალიკოსის ქალიშვილი, მან მითხრა, რომ მამაჩემი აპირებს კათალიკოსობიდან გადადგომასო, გადაათქმევინეთ როგორმეო. მამა მაშინვე წავიდა კათალიკოსთან, გიგლამ უკმაყოფილოდ დაიწყო ჩაცმა. რას გვიშვება ეს კაცი, ამბობდა გიგლა, რა არის ასეთი უნებისყოფობა, ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში ვართ, ეს გვინდოდა ეხლა ჩვენა! გიგლა იმ დღეს სახლში არ გამოჩენილა. გადაწყდა (გადაწყვიტეს, გადაეწყვიტათ) მათ გასანეიტრალებლად ფურცლის გამოშვება და არალეგალური ორგანიზაციის სახელით მღვდლებთან თითო კაცის მიგზავნა. ფურცელში თავდაპირველად ჩამოთვლილი იყო ყველა მოწინააღმდეგე მღვდლის გვარი: ხახუტაშვილი, ფხალაძე, ჩიჯავაძე, კანდელაკი, თალაკვაძე, ციცქიშვილი; შემდეგ ყველა ესენი გიგლამ ამოშალა და დასტოვა მხოლოდ ჩიჯავაძე და მგონი, ბენიამინ კანდელაკი. ეს ორი კაცი მათ შორის ყველაზე მავნეა, დანარჩენებზე სთქვა, ესენი უფრო გაბრიყვებულები არიან, უშუალოდ ჩეკასთან კავ-

შირი არ უნდა ჰქონდეთო. გიგლამ კანდელაკს გაუგზავნა დგებუ-აძე, ხახუტაშვილს – კოჭლამაზაშვილი. კურცხალია კანდელაკზე ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად იძახდა თურმე, თუ გამიბედა წინააღმდეგობა, მაგრად ვცემო. გიგლა გამრეკელ-თან მივიდა გამხნევების მიზნით და არალეგალური ცეკას სახე-ლით მადლობის სათქმელად და კათალიკოსის და ქართული ეკლესიის ინტერესების დაცვისათვის. გამრეკელს რომ მოესმინა გიგლასთვის, ეთქვა: „გიგლა, საცემრად გამოიწიეს ჩემსკენ, სა-ცემრად“. ამაზე გიგლას ეთქვა „ამას ცეკას მოვახსენებო. – არ არის საჭირო ამის თქმა – ეთქვა გამრეკელს, – მე შენ გითხარი, შენ იცოდე მხოლოდ – როგორც გენებოთ – ეთქვა გიგლას – არ ვიტყვი“. კოჭლამაზაშვილს ეთქვა ხახუტაშვილზე: პირველად წი-ნააღმდეგობა გამიწია, შემდეგ კი გაგიხარიან, მოიღუნა და თვი-ნიერი გახდაო. ამ ხნის განმავლობაში მთელ თავისუფალ დროს მამა კათალიკოსთან იყო. კათალიკოსს ეთქვა მამასთვის: მე ხომ მემორანდუმს არ უარვყოფ, მე მხოლოდ კათალიკოსობაზე უარს ვამბობო, „თქვენო უწმინდესობავ“, ეპასუხა მამას, მემორანდუ-მის დაცვის პირველი, მეტად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ეტაპი სწორედ ეს არის; კათალიკოსობაზე უარი რომ სთქვათ, თქვენ, როგორც კერძო პირს, ისე მოგექცევიან, თქვენ მიმართ მიიღებენ სასტიკ რეპრესიებს და მემორანდუმზე უარს გათქმევი-ნებენო, არ გადადგათ ეს ნაბიჯი არავითარ შემთხვევაში“. ცოტა მოგვიანებით არალეგალური ორგანიზაცია ფეხზე იყო დაყენე-ბული. სამ-სამ კაცს უგზავნიდნენ კათალიკოსს. ესენი ეცნობოდ-ნენ მას, როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონის წარმო-მადგენლები და უცხადებდნენ მას ამ რაიონის მოსახლეობის სახელით სოლიდარობას და მხარდაჭერას. არ მეგონა, ეთქვა კათალიკოსს მამასთვის, თუ ქართველი ხალხი ასე ერთსულო-ვანი იყო ჩემს მიმართ. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, თა-ვში არც გავივლებ გადადგომასო. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ კათალიკოსი მოათავსეს მეტეხის ციხეში სხვებთან ერთად. ასე დასრულდა ჩეკასთან ბრძოლის პირველი ეტაპი, მე ვიტყოდი ბრძოლისა მემორანდუმისათვის.

კათალიკოსის მოწინააღმდეგე დაჯგუფება არა ცხრებოდა. დაიწყო ბრძოლის მეორე ეტაპი, ბრძოლისა ეკლესიის მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდებისათვის.

1923 წელი. კათალიკოსი მეტეხის ციხეშია, საკათალიკოსო საბჭოც. ჩეკას გაგებით, უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ეკლესია თავმოკვეთილია; კათალიკოსის მოწინააღმდეგე მღვდლების დაჯგუფების მიერ მოწვეული იყო თბილისის სამღვდელოების კრება, რომელიც გაიმართა სანთლის ქარხნის შენობაში ხახუტაშვილის თავჯდომარეობით. მამა ამ კრებაზე დაგვიანებით მოვიდა. მამას მოსვლამდე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ მთავრობის მიმართ აღეძრათ შუამდგომლობა საეკლესიო ყრილობის მოწვევის ნებართვის გაცემის შესახებ. მისვლისთანავე მამა სიტყვით გამოსულიყო. ხახუტაშვილი ნერვიულად ხელების ქნევით გაიძახოდა თურმე: მოვიდა რომ საქმე ჩაგვიშალოსო. მამას ეთქვა: „მთავრობა, რომლის მიმართ აპირებთ შუამდგომლობის აღძვრას, ურწმუნოთა მთავრობაა, სარწმუნოების მტერია, ურწმუნოთა მიმართ აპირებთ შუამდგომლობის აღძვრას. განა ის ეკლესიის საკითხების მოსაწესრიგებლად საეკლესიო ყრილობის მოწვევის ნებას მოგცემთ? და თუ მოგცათ, ამას გააკეთებს იმ მიზნით, რომ ეს ყრილობა გამოიყენოს ეკლესიის ინტერესების საზიანოდო. გარდა ამისა, ეს ყრილობა ვინ უნდა მოიწვიოსო? საეკლესიო ყრილობის მოწვევის უფლება მხოლოდ კათალიკოსს აქვს, მხოლოდ მას და სხვას არავის. კათალიკოსი კი დაპატიმრებულია. ამიტომ საეკლესიო ყრილობის მოწვევა უკანონო იქნება და ყველა დადგენილება იმ ყრილობის მიერ გამოტანილი უკანონო. ამიტომ, თუ განიზრახავთ ყრილობის მოწვევას, საჭიროა ვეცადოთ კათალიკოსის განთავისუფლებას. ამისათვის საჭიროა მთავრობას ვთხოვოთ, კი არ ვთხოვოთ, მოვითხოვოთ მთავრობისაგან პირველ რიგში კათალიკოსის განთავისუფლება და შემდეგ, თუ დააკმაყოფილა ეს ჩვენი მოთხოვნა, ვთხოვოთ დაგვრთოს ნება ყრილობის მოწვევისა, რომელსაც მოიწვევს ყრილობის მოწვევის უფლებამოსილი პირი – კათალიკოსი“. ამაზე ხახუტაშვილს უპასუხია: „ჩვენ კათალიკოსის გათავისუფლების

საკითხს არ აღვძრავთ, იგი ღირსია საქართველოდან გასახლებისა და უნდა გასახლდეს კიდეც“. ამაზე მამას ეთქვა: ასეთ შემთხვევაში მე არავითარი საქმე არა მაქვს ამ კრებასთან და მას ვტოვებ პროტესტის ნიშნადო და წამოსულა. მამას გამოჰკიდებია მღვდელი ბენიამინ კონტრიძე: „დათიკო – მეძახა მან – დაიცადე ნუ მიდიხარ, ეგ რა კარგი რამ სთქვი, ნუ მიდიხარ“. მამა არ მიბრუნებულა. მამას წამოსვლის შემდეგ, კრებაზე ამტყდარიყო ერთი ალიაქოთი. სამღვდელოების უმრავლესობას მოეთხოვა პირველ რიგში კათალიკოსის განთავისუფლების საკითხის დასმა. კრების მოწვევის ინიციატორთა წინააღმდეგობის გამო კრება ისე დაშლილიყო, რომ არავითარი დადგენილება არ გამოეტანათ. ჩაიშალა ჩეკისტი მღვდლების პირველი ცდა მიმართული საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წინააღმდეგ. მალე ამის შემდეგ ამ დაჯგუფების ინიციატივით ქუთაისში გაიმართა სამღვდელოების კრება. რა ფირნიშით, როგორი შემადგენლობით, რა საკითხები განიხილეს – ჩემთვის უცნობია. ვიცი მხოლოდ ის, რომ იქიდან დაბრუნების შემდეგ ეპისკოპოსი ქრისტეფორე ციცქიშვილი მოგვევლინა კათალიკოსის მოსაყდრის სახელწოდებით. ეს ის ქრისტეფორე ციცქიშვილია (სემინარიაში მამას ერთკლასელი იყო), რომელიც შემდეგ, როდესაც დამბლადაცემული და ლოგინად ჩავარდნილი კათალიკოს ამბროსის წინააღმდეგ მძლავრი იერიშები იყო მიტანილი, ეს თვითმარქვია კათალიკოსის მოსაყდრე მამას ეუბნებოდა: ჩეკამ თავის ქსელში გამაბა, მისგან თავი ვერ დამიღწევია, შემიბრალეთო. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებლად, ამ ეკლესიის წინამძღვრის, ანტონ თოთიბაძის განთავისუფლებამდე მამა იყო დანიშნული ეკლესიის სამრევლო საბჭოს მიერ. 1924 წლის გაზაფხულზე ამ თვითმარქვია მოსაყდრის მოწერილობით ხელში მამას გამოეცხადა ეპისკოპ. ფხალაძე, რომელმაც განაცხადა, რომ დანიშნულია ეკლესიის წინამძღვრად. შესაფერი პასუხის მიცემის შემდეგ იგი წავიდა, აღარ დაბრუნებულა. მალე ამის შემდეგ, მსგავსი მოწერილობით ხელში, მამასთან გამოცხადდა მღვდელი ნიკიტა თალაკვაძე, რომელმაც იგივე განუცხადა მამას.

შემიძლიან მიგიღოთ, როგორც რიგითი მღვდელი, არა როგორც წინამძღვარი, უპასუხა მამამ. მაგრამ რადგან მეორე დღეს ეკლესიის წინამძღვარი განთავისუფლებული იყო პატიმრობიდან, იგი აღარ გამოჩენილა ფხალაძის მსგავსად. 1924 წლის აპრილში გასამართლებული იყო კათალიკოსი ამბროსი და მასთან ერთად საკათალიკოსო საბჭოს წევრები, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მიერ. გასამართლება მიმდინარეობდა პლეხანოვის სახ. კლუბში, ეხლანდელ ოქტომბრის პროსპექტზე. კათალიკოსს იცავდა ორი ვექილი ოსიკო ბარათაშვილი და კირილე ნინიძე. პირველი, იურიდიული თვალსაზრისით, მეორე პოლიტიკურით. ოსიკო ბარათაშვილი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ კათალიკოს ამბროსის თავის მემორანდუმში არაფერი აქვს ნათქვამი საქართველოს მთავრობაზე, იგი რუსეთის მთავრობას სდებს ბრალს, რომ მან აგრესია ჩაიდინა საქართველოს მიმართ, ჯარი შემოიყვანა საქართველოში და დაიპყრო იგი. ამიტომ საქართველოს უმაღლეს სასამართლოს არ ექვემდებარება მისი გასამართლებაო. კირილე ნინიძე შეეხო ბოლშევიკების ბრალდებას დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიმართ, თითქოს მან დასავლეთის იმპერიალისტებს ხელში ჩაუგდო საქართველო, მოჰყავდა მაგალითად სპარსული თქმულება უდაბნოში მიმავალ ცოლ-ქმარზე, რომელთაც თავს დაესხნენ ყაჩაღები, ქმარი გაიქცა, ცოლი გააუპატიურეს. ყაჩაღების წასვლის შემდეგ მობრუნებულმა ქმარმა ცოლს დაუწყო ლანძღვა იმისათვის თუ რატომ დანებდა იგი ყაჩაღებს მიუხედავად იმისა, რომ ცოლმა თავის დასაცავად ყველაფერი იღონა, რაც კი შეეძლო, იგი ძალით დაიმორჩილეს. კირილე ნინიძე ამბობდა, დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობამ ყველაფერი იღონა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად, განა შეიძლება მას ბრალდება წაუყენონ ბოლშევიკებმა, თუ ეს მთლიანად ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური რუსეთი ანარქიამ მოიცვა, ბოლშევიკური რუსეთისაგან საქართველო ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული? კლუბის ლოჟები დაკავებული იყო კომკავშირლებით, რომლებიც წარმოსთქვამდნენ მორიგეო-

ბით კათალიკოსის საწინააღმდეგო შეძახილებს; კირილე ნინიძე მიუბრუნდა კათალიკოსს და სთხოვა მოეყოლა პილატესაგან ქრისტეს გასამართლების ამბავი, როგორც ეს საღვთო წიგნებშია მოთხრობილიო. „რას უყვიროდა გარსმყოფი ხალხი პილატეს?“ – შეეკითხა იგი – „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ“ – უპასუხა კათალიკოსმა – „პილატემ? – მე ამ კაცის მოქმედებაში დანაშაულებრივს ვერაფერს ვხედავ“. გამოატანინა წყალი და ხელები გადაიბანა – „მე ხელები დამიბანია, მე უბრალო ვარ ამ კაცის მიმართ“. კირილე ნინიძის სიტყვის დასასრულს დარბაზში იგრიალა ერთსულოვანმა ტაშმა. როგორც ეტყობოდა, დარბაზში წინასწარ განაწილებულები იყვნენ ჩეკისტები, რადგან ამის შემდეგ ყოველი მხრიდან დაიძრნენ ისინი და დაიწყეს ტაშის ცემაში შენიშნულთა დაპატიმრებანი. საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ კათალიკოს ამბროსის მიუსაჯა 5 წლით პატიმრობა. განთავისუფლებული იყო ვადამდე მიხ. კალინინის წინადადებით სსრკ-ს ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) სესიის მიერ, რომელიც გაიმართა თბილისში 1925 წლის აპრილში. ამ ცოტა ხნის წინად (1978-1979 წწ.) ამერიკის ხმამ ქართულ ენაზე გადმოცემაში აღნიშნა გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნის წლისთავი. მე ეს გადმოცემა არ მომისმენია, ამხანაგისგან ვიცი. ქებით ახასიათებდნენ კათალიკოს ამბროსის, როგორც მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს. გამახსენდა საწყალი გიგლა, საწყალი მამაჩემი, გიგლას ამხანაგები, რომლებიც თავდაუზოგავად, თავგანწირვით იბრძოდნენ საქართველოსათვის, მემორანდუმისათვის, რომელთაც დაიცვეს კათალიკოს ამბროსის სახელი და დიდება. საუკუნოთ იყოს ხსენება მათი! გამახსენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიკოსი, აწ განსვენებული მაქსიმე ბერძნიშვილი (მამას შორეული ნათესავი იყო), რომელმაც ერთხელ მითხრა (აღვნიშნავ მისი სიტყვების შინაარსს, არა თვით სიტყვებს): ისტორიაში ხშირად (ზოგჯერ?) რჩება იმ პირთა სახელები, რომელნიც თავის თანამდებობით (მდგომარეობით) ისტორიული მოვლენის სათავეში იყვნენ, ხოლო ის პირნი, რომელნიც ამ მოვლენის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ,

რომელთაც ამ მოვლენასთან დაკავშირებით მთელი სიმძიმე და სიდუხჭირე თავიანთ ზურგზე გადაიტანეს, ხშირად ჩრდილში მოექცევიან ხოლმე, და ან სრულიად უცნობი ხდება მათი სახელები ისტორიისათვის. მაგალითისათვის მომიყვანა ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრების ამბავი: ამ ბოლო ხანს გამოირკვა ვახტანგ VI-ის თანმხლებ პირთა სახელები (მათი რიცხვიც დაასახელა 5 თუ 6, აღარ მახსოვს), რომელნიც ამ ბოლო დრომდე სრულიად უცნობნი იყვნენ და რომელთა ზურგზე გადატანილი ყოფილა ამ გამგზავრების მთელი სიმძიმე. მე სწორედ ასეთ უცნობ პირთა გამოვლინებას ვცდილობო. მისი დავალებით მამიდამ, მარიამ გარსიაშვილმა, გადასცა მას გარსიაშვილების და გულისაშვილების გენეალოგია. გარსიაშვილის გენეალოგია ჩვენ ხელთ არის (მან იგი გადმოგვცა მის შესავსებად, ისე გარდაიცვალა, რომ ხელთ შეგვრჩა, დაბრუნებული არ ყოფილა).

1923 წელს მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი: ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციის გადაწყვეტილებით მოკლული იყო პარტიის არალეგალური ორგანიზაციის აქტიური წევრი კალე მისაბიშვილი. მკვლელობამდე იგი დაპატიმრებული იყო ჩეკას მიერ. ჩეკადან განთავისუფლების შემდეგ, იგი სახლში ჩაიკეტა, ხალხს თავისთან იბარებდა. დაიბარა გიგლაც ორჯერ. პირველ დაბარებისას გიგლა წავიდა მასთან, მეორედ არ წასულა: გაფრთხილებული იყო, მკვლელობის დღეს მიეღოთ ცნობა საღამოს გაზეთ „Вечерный Тбилиси“-ის რედაქციიდან, რომ ისტამბება მეორე დღეს გაზეთში გამოსაქვეყნებლად კალე მისაბიშვილის სტატია. გადაწყვიტეს: ტერორისტული აქტი განხორციელდეს აუცილებლად ამ სტატიის გამოქვეყნებამდე. მიუგზავნეს ახლო ამხანაგი, რომელსაც დაავალეს მისი გარეთ გამოტყუება. მოკლული იყო მისი ბინის სადარბაზოს შესასვლელთან ტერორისტ კოღუაშვილის და მისი თანმხლები პირების მიერ. სროლის გაგონებისას, ცოლს ბინაში ეკივლა, კალე მოკლესო. დასაფლავება მეტად სავალალო იყო. ჩვენი ბინის ნაპირა ოთახის ფანჯარა გამოდიოდა სასაფლაოს კარის სიახლოვეს, ასე რომ მიცვალებულს ჩვენი ფანჯრის წინ გამოატარებდნენ ხოლმე.

კალე მისაბიშვილის კუბოს მხოლოდ ათიოდე კაცი მისდევდა. კუბოს საფლავამდე ჩვენი უმცროსი ძმა შოთა გაჰყოლოდა. მან გვითხრა, რომ არავინ ტიროდაო, დედაც კი, გამოთხოვებისას დედას მიცვალებულისათვის გულზე ხელი დაედო და ეთქვა: შვილო, ჭკვიანი მეგონე და ეგ რა ჩაიდინეო. კალე მისაბიშვილის სიდედრს (იგი დასაფლავების შემდეგ მცირე ხნით თავის ქალთან ერთად ცხოვრობდა იმავე სახლში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით) დედაჩემისათვის ეთქვა: არც ერთი ნათესავი არ დაესწრო დასაფლავებას, ისე ჩავფალით დაუტირებელიო. კალე მისაბიშვილის მაგალითზე ერთხელ კიდევ დასტურდება უდავო ჭეშმარიტება სიტყვებისა: ძალა უნდა შესწევდეს ქადილსა. კალე მისაბიშვილმა ერთხელ ხომ გამოსცადა თავისი თავი, როგორც სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანმა, რომელმაც დიდი სიმხდალე გამოიჩინა აჯიქაბულთან ბოლშევიკებთან შეტაკების დროს, რაც მე ზევით აღვნიშნე და არ უნდა შესჭიდებოდა ხელმეორედ ისეთ საქმეს, რომელიც მისი შესაძლებლობის გარეთ იყო. იგი ამხანაგებში ცნობილი იყო როგორც ნიჭიერი, თეორიულად დიდად მომზადებული, ფილოსოფიის ზედმიწევნით მცოდნე ახალგაზრდა.

მკვლელობა რომ მზადდებოდა, ადრევე ვიცოდით. ერთხელ გიგლამ მითხრა: კალე მისაბიშვილს თავს დასტრიალებენ, მისი მოკვლა სურთო. კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მისი გამცემლობა არ უთქვამს, მეც არ შევეკითხე. ვიცი უბრალოდ ერთი ფაქტი ამის შესახებ. ერთხელ გიგლამ მითხრა: იასონ ჯავახიშვილს (ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარე, საქართველოს პარტიული კომიტეტის წევრი) ბინა სურს შეიცვალოს, ამის შესახებ მას აგრძნობინა ბინის პატრონმა, გამოუძებნე შესაფერი ბინაო. მე მივმართე მამიდაჩემს, მასწავლებელ მარიამ გარსიაშვილს, რომელსაც ერთი ოთახი ეჭირა ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე 45 სახლში, მეორე სართულზე. ეს სახლი ეკუთვნოდა სკოლას, სადაც იგი მასწავლებლობდა და მოთავსებული იყო სკოლის ეზოშივე. ამავე სართულზე ცხოვრობდნენ სხვა მასწავლებლებიც: ნიკო მერაბიშვილი და მარიამ ჩორბაძე (ცოლ-ქმარი, ეჭირათ ორი ოთახი), ეთერ რაზიკაშვილი (თედო

რაზიკაშვილის ქალიშვილი), ნებიერიძე ...მათი ოთახის კარებები საერთო დერეფანში გამოდიოდა. ყველა ესენი, დიდი ხნის ნაცნობები და მეგობრები, დაკავშირებულნი ერთმანეთთან საერთო მიზანსწრაფვით, მტკიცე კოლექტივს წარმოადგენდა. დათქმულ (დანიშნულ) დროს მივედი გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე სახლში, იასონ ჯავახიშვილის ბინაზე. წამოსვლისას დიასახლისი ჩაით გაგვიმასპინძლდა, მაგიდასთან სხვებთან ერთად იჯდა მიხა ზანდუკელიც. ბაასი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მიხ. ზანდუკელი ამბობდა: „У грузинских комунистов нет государственного мужа“[32], რასაც არ ეთანხმებოდა იას. ჯავახიშვილი. ასეთ კაცად ის ასახელებდა ს. ორჯონიკიძეს. გზაში, როცა მივუახლოვდით ვერის ხიდს, იას. ჯავახიშვილმა მითხრა: ყველაზე საშიში ადგილი ჩვენთვის ხიდია, ჩვეულებრივ ჩეკისტები აქ გვიდარაჯებენ ხოლმეო. სირბილი სწრაფი ვიცი, თუ გავექცევი ვინმეს, ჩემი დამწევი არავინ არისო. სწორედ ამ ლაპარაკში გაიხსენა კალე მისაბიშვილი, მასთან დათქმული იყო, ამბობდა ჯავახიშვილი, რომ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს ჭავჭავაძის და სასამართლოს ქუჩების მარცხენა კუთხეში. რუსთაველის გამზირიდან რომ შევუხვიე ჭავჭავაძის ქუჩისკენ, გავიხედე მარცხენა კუთხისაკენ, სადაც ატუზული ჩეკისტი შევნიშნე, ნაბიჯს არ ავუჩქარე, იმავე სვლით წავედი, როგორითაც მივდიოდი. მივედი თუ არა გრიბოედოვის ქუჩასთან, სწრაფად შევუხვიე მარჯვნივ და მოვკურცხლე. მაშინვე მომესმა გამოდევნებული კაცის ფეხების დრაგუნიო. იასონ ჯავახიშვილმა მამიდასთან დაჰყო გიგლას დაპატიმრებამდე, 1924 წლის 1 თებერვლამდე (1/II-მდე). თავდაპირველად იგი მამიდასთან ცხოვრობდა, შემდეგ გადავიდა მერაბიშვილთან, რადგან მას ოროთახიანი ბინა ჰქონდა. მთლად კარჩაკეტილი არ იყო. ხალისით გამოდიოდა სტუმრებთან, თუ ისინი სანდოდ მიაჩნდა. (მაგ. კორნელი კეკელიძე მეუღლითურთ). მისმა იქ ყოფნამ მშვიდობიანად ჩაიარა, გარდა ერთი ეპიზოდისა, რომელმაც მას დიდი მღელვარება მოუტანა. ერთ დღეს მოსულიყო თელასის ინკასა-

32 У грузинских комунистов нет государственного мужа – ქართველ კომუნისტებს არ ჰყავთ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი

ტორი, რომელთანაც დავა მოსვლოდათ აივანზე, რის შედეგად ინკასატორს ყვირილით დაეწყო ლაპარაკი. იასონ ჯავახიშვილს ყვირილით მოლაპარაკე ჩეკისტად წარმოედგინა, რომელიც ლამობდა ბინაში შესვლას და არ უშვებდნენ, და ერთი თვალის დახამხამებაზე სხვენში აჭრილიყო. რადგან სხვენში ასასვლელთან არაფერი იდგა, რაზედაც შეიძლებოდა ფეხის შედგმა და სხვენის მიწვდენა, გაურკვეველი დარჩა, თუ როგორ მოახერხა იასონ ჯავახიშვილმა სხვენში ასვლა. მაგრამ გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.

გიგლა დააპატიმრეს, როგორც აღვნიშნე, 1924 წ. 1 თებერვალს, სახლში სამსახურიდან მომავალი მარტის ქუჩისა და მარტის შესახვევის კუთხეში. არალეგალური ორგანიზაციის მიერ ადრევე ყოფილა გაფრთხილებული (ეს ჩვენ შემდეგში გავიგეთ), რომ ორდერი უკვე გაცემულია მისი დაპატიმრების შესახებ; წინადადება მიუციათ გადასულიყო არალეგალურ მდგომარეობაში, თანაც უცნობებიათ, რომ დაბეზღებულია მთელი ოჯახიო. ამ უკანასკნელ გარემოებას ბიძგი მიუცია მისთვის იმისათვის, რომ ხელი აეღო არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლაზე იმის შიშით, რომ დაგვაპატიმრებდნენ მე და მამაჩემს. ეს საბედისწერო გადაწყვეტილება, გამოტანილი მისგან ჩვენთან მოუთათბირებლად, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ეს მისი უხეში შეცდომა იყო, რადგან ჩვენი დაპატიმრების შემთხვევაში ჩვენდამი ბრალდება გაცილებით მსუბუქი იქნებოდა, ასე რომ ჩვენ სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ შეექმნებოდა. ჩვენმა ახლო ნაცნობმა ეკატერინე ურთმელიძემ (კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის მთავრის, მამაჩემის თანამოსამსახურის სპირიდონ ურთმელიძის ქალიშვილმა) გვირჩია, რომ დახმარებისათვის მიგვემართა ვექილ ივანე პოლუმორდინოვისათვის, რომლის დისწული ზუბოვი გიგლას გამომძიებელი იყო ჩეკაში. თანაც გაგვაფრთხილა, რომ იგი საშინელი მექრთამე არისო, უქრთამოდ არაფერს აკეთებსო. ამის ნათელსაყოფად მოგვიყვანა ერთი ფაქტი: იგი ერთ-ერთი ჟაკტის თავჯდომარე ყოფილა, იმ ჟაკტის სახლის სარდაფის ოთახში ცხოვრობდა მისი უნივერსი-

ტეტის ამხანაგი, რევმატიზმით და გულით მძიმედ დაავადებული, რომლისათვის აუცილებელი იყო ჯანსაღ ბინაში გადასვლა. ამ სახლში განთავისუფლებულა ზემო სართულის ბინა, რომელიც კანონითაც, ჯანმრთელობის მდგომარეობითაც პოლუმორდინოვის უნივერსიტეტის ამხანაგს, ნესტიანი სარდაფის ოთახში მცხოვრებს ეკუთვნოდა. პოლუმორდინოვმა ქრთამი სხვისგან აიღო და ეს ბინა თავის ამხანაგს გამოსწირა (არ არგუნა). ეს მისი ამხანაგი ამ ნესტიან ოთახში გარდაიცვალა, თანაც უმატებდა, რომ ის ყოვლის შემძლეა. ჩემი ქმარი, ამბობდა ის თუთბერიძე, რომელსაც გადასახლება ჰქონდა მისჯილი, მატარებელში მჯდარი გადასახლებაში მიმავალი, ვაგონიდან გადმოაყვანინა და გაანთავისუფლებინაო. ეს ორ სეხლად დაგვიჯდაო, დასძენდა ის. პოლუმორდინოვი ამავე დროს ჩეკას იურისკონსულტი იყო (ეს ჩვენ შემდეგში გავიგეთ). საქმეს აადვილებდა ის გარემოება, რომ პოლუმორდინოვი ჩვენი ოჯახის ძველი ნაცნობი იყო. ჩვენ ოჯახში დაიარებოდა უწინ; დედა იცრემლებოდა, ეუბნებოდა მამას და მამიდას, გავყიდოთ საგარეჯოს სახლი, იმ ფულით დავიხსნათ გიგლა. ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო მამიდა, ეს საჭირო არ არისო. პოლუმორდინოვი ისედაც გაგვიკეთებს საქმეს, გარდა ამისა, იგი ჩვენი ძველი ნაცნობია, როგორ უნდა შევბედოთ მას ქრთამის მიცემაო. ეხლა, როცა ამდენი ქარტეხილი დაგვატყდა თავს, ამდენი გამოცდილება დაგვიგროვდა, ადამიანები უკეთ გავიცანით, ეს სიტყვები სასაცილოდ არ მყოფნის. მიმართეს დახმარებისათვის მამამ და მამიდამ პოლუმორდინოვს, დაპირებები ბევრი იყო, დამაიმედებელი სიტყვები ბევრი, ერთხელ ისიც ეთქვა, რომ ზუბოვი (გიგლას ჩეკას გამომძიებელი) ეხლა ჩემთან სტუმრად არის, მეზობელ ოთახშია, მაგრამ საქმეს არა ეშველა რა. სწორი გამოდგა კატუშას სიტყვები, უქრთამოდ არაფერს აკეთებსო. დახვრეტის შემდეგ კოჭლამაზაშვილის დედამ (კოჭლამაზაშვილიც დაპატიმრებული იყო) უთხრა დედაჩემს: პოლუმორდინოვთან მიდგომა ვიპოვე, თქვენ როგორ ვერაფერი იღონეთო. დედას ნათესავმა, ნიკა ნუკრაძემ, რომლის ძმა, აბრამ ნუკრაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი, იმ ხანად

დაპატიმრებული იყო, დედაჩემს უთხრა: მე გლეხმა კაცმა, პოლუმორდინოვთან საქმე გავაკეთე, თქვენ, როგორ ვერაფერი მოახერხეთო. პრაქტიკულ ცხოვრებასთან შეხებისას სრულიად უსუსურნი აღმოვჩნდით.

გიგლამ ციხეში დაჰყო სრული 7 თვე. იგი სხვებთან შედარებით, უფრო სასტიკ პირობებში იყო, მისი ნახვის ნებას არ გვაძლევდნენ, მისი ციხეში ყოფნისას მხოლოდ ერთხელ მისცეს დედას და მამას ნებართვა ენახათ გიგლა, მაშინ, როდესაც სხვებს უფრო ხშირად აძლევდნენ ამის ნებართვას. ციხეში ყოფნისას გიგლამ შემოიკრიბა ახალგაზრდობა, რომლის ცენტრში იგი აღმოჩნდა. შეადგინა დაპატიმრებულებისაგან დრამატული დასი და ყოველ კვირას, თუ კვირაში ორჯერ მართავდა წარმოდგენებს, რისთვისაც ყოველი წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ციხის ადმინისტრაცია მადლობას უცხადებდა. ხასიათით მეტად მოძრავი, გულღია, თანაზიარი იყო. მაშინ დაპატიმრებული იყო მწერალ კიტა აბაშიძის უფროსი შვილიც, გია (სოც. ფედერალისტი). ერთხელ გიას დედამ უთხრა დედაჩემს: როდესაც ჩემ შვილს ციხეში ვნახულობ ხოლმე, სახლის ამბებს სულ არ გვეკითხება, სულ თქვენ შვილზე გველაპარაკება, ისეა მისით აღტაცებულიო, ნეტავი მალე გაანთავისუფლონ ჩვენი შვილები, ძალიან მსურს თქვენი შვილის მალე გაცნობაო. აჯანყების შემდეგ ერთხელ შემხვდა მწერალ მარიკა ბარათაშვილის ბიძა კასრაძე (ნაც.-დემოკრატი), პროფესიით პარიკმახერი, რომელიც აჯანყების დროს გიგლასთან ერთად იჯდა ციხეში. მან მითხრა, რომ გიგლა თავისი გვარით არ გასულა სხვებთან ერთად, როდესაც დაიძახეს გვარი გარსევანიშვილი და გიგლა წამოდგა გასასვლელად, მე ხელი დავუჭირე და ვუთხარი, რას გადიხარ, დასახვრეტად იძახებენ, ეს შენი გვარი არ არის მეთქი, მან მიპასუხა: არა, ჩემი გვარია, გვანთავისუფლებენო და გავიდა.

კარგი იქნებოდა, კატუშას ქრთამი არ ეხსენებინა, ამან თავისი უარყოფითი როლი შეასრულა. პოლუმორდინოვი ვექილი იყო, უფრო სწორად ატერნიე, საქმის მომწყობი, რომლისათვის იგი გასამრჯელოს იღებდა; საქმოსანთა ლექსიკონში სიტყვა

ქრთამი არ არსებობს, სად იყო ეს გამოცდილება სიცოცხლის ფასად შეძენილი, სად იყო იმის დაჯერება, პრაქტიკულ ცხოვრებაში სამოქმედო მტკიცე პრინციპად ქცეული, რომ ყოველ გაწეულ სამსახურს თავისი შესაფერისი გასამრჯელო უნდა სდევდეს თან!.. ასეთი დაჯერება რომ ყოფილიყო, პოლუმორდინოვთან საერთო ენა სწრაფად გამოინახებოდა, გადარჩებოდა ძვირფასი სიცოცხლე ადამიანისა, რომლის გაცნობაც, მასთან შეხვედრა ბევრს ნატვრად ჰქონდა გადაქცეული (გავიხსენოთ გია აბაშიძის სიტყვები), რომელიც სასიკვდილოდ არ გაიმეტა მოწინააღმდეგე მხარემ – ციხის ადმინისტრაციამ, შეეცადა მის გადარჩენას და ჩვენ კი აგვცდებოდა მუდმივი წუხილი, მუდმივი ქენჯნა და სინანული იმისა, რომ ჩვენი უნიათობით დავკარგეთ იგი. მე კასრაძის სიტყვებს ეჭვის თვალით შევხედე, არ დავიჯერე. მაგრამ ის, რომ გიგლა უცხო გვარით დასახვრეტად გავიდა სხვა მხრივაც დადასტურდა და ეს დამადასტურებელი წყარო სათავიდან მომდინარეობდა; ასე რომ, ეს ფაქტი ეჭვმიუტანელი გახდა მით უმეტეს, რომ იგი დაემთხვა სავსებით კასრაძის ნათქვამ სიტყვებს. დახვრეტის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ პოლიტიკური ტუსაღები დახვრეტილები არ არიან, ცოცხლებია. ჭირისუფალნი ამ ხმებს ადვილად აჰყვნენ, ეგონათ ეს ხმები ნამდვილია „წყალწაღებულნი ხავსს ეჭიდებიანო“, როგორც იტყვიან ხოლმე, ისე გამოვიდა. უეჭველად ეს ხმები დარხეული იყო ჩეკას მიერ ხალხის დასაწყნარებლად და ჭირისუფალნიც აქეთ-იქეთ აწყდებონენ სინამდვილის დასადგენად; ერთ დღეს მამა უმცროსს ძმასთან, შოთასთან ერთად ვაკის სასაფლაოზე იყო. სასაფლაოზე შენიშნა გუძიკო წერეთელი, დაპატიმრებულთათვის გადაცემების მიმღები ციხეში. მოიხმო თავისთან „გიგლა დახვრეტილია?“ – შეეკითხა მამა. „დახვრეტილია“ – იყო პასუხი – „რატომ არ მითხარი, როცა შეგეკითხე ციხესთან დახვრეტების შემდეგ – ვერ გითხარი მამაო, რა ქნა გიგლამ, – განაგრძო წერეთელმა, – ციხის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მისი გადარჩენა, შეცვლილი გვარით გამოგვეძახებინა, გვეგონა არ გამოვიდოდა, გამოვიდა კი“. ისმის საკითხი: რა მოხდა? რატომ გასწირა გიგლამ სასიკვდილოდ

თავი? აქ შეიძლება იყოს მხოლოდ ვარაუდი და სწორი ვარაუდის დასადგენად საჭიროა გავიხსენოთ (თავი მოვუყაროთ) ეჭვმიუტანელი ფაქტები, რომელიც ჩვენ ხელთ არის და რომლებიც დახვრეტების (აჯანყების) წინამორბედ პერიოდში მოხდა; საჭიროა გავიხსენოთ ანალოგიური შემთხვევები, რომლებიც უწინ, ან დახვრეტების დროს იყო და მათი გათვალისწინებით შეიძლება ნათელი მოეფინოს გიგლას ამ საბედისწერო მოქმედებას (ქცევას, ნაბიჯს) უცხო გვარით დასახვრეტად გასვლას.

ერთი ასეთ ფაქტთაგანი არის ის, რომ აჯანყების დაწყების წინა პერიოდში იასონ ჯავახიშვილს ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული გიგლასთან ციხეში, ეს ჯავახიშვილმა მითხრა მე აგვისტოს მე-3 დეკადაში, ამას ქვევით შევეხები, რა უნდა ყოფილიყო საგანი ამ ურთიერთობისა აჯანყების წინამორბედ დროში? ვფიქრობ (ცხადია) მოახლოებული აჯანყება, და მისთვის ტუსაღთა დარაზმვა შიგნით ციხეში.

დასახვრეტად გაყვანის წინ, უკანასკნელი გადაცემის მიღებისას გიგლამ მისწერა მამას: „წუხელ (გუშინ, გუშინწინ) დავდგი პიესა „მსხვერპლი“. წარმოდგენამ მეტისმეტად მწყობრად, ძალიან კარგად ჩაიარა. დიდი მადლობა გადამიხადეს, როგორც ტუსაღებმა, ისე ციხის ადმინისტრაციამ“.

გიგლა ტუსაღთა კულტურული ცხოვრების ორგანიზატორია, ამ კულტურული ცხოვრების ცენტრშია. გია აბაშიძე და უნდა ვიფიქროთ, დანარჩენი ტუსაღებიც დიდად არიან აღტაცებული გიგლათი (გია აბაშიძის დედის სიტყვებით). რამ აღიტაცა ასე დიდად გია აბაშიძე? ჩემი პასუხი ერთია: გიგლას ინტელექტმა და გიგლას დიდმა ჰუმანურობამ, გიგლას თანაზიარმა, გულღია ხასიათმა.

დახვრეტების დაახლოებით ორი კვირის შემდეგ დედა, მამა და ჩემი უმცროსი ძმა შოთა ამიერკავკასიის ჩეკასთან იყვნენ, ამ დროს ბებუთოვის ქუჩით გამოიარა ღია ეტლმა, რომელშიც მეტეხის ციხის უფროსი ხატიაშვილი და ერთი უცნობი პირი, ალბათ ციხის თანამშრომელი, ისხდნენ. ხატიაშვილმა შენიშნა ჩვენები, რაღაც უთხრა მეორეს და შემდეგ ორივემ მოაბრუნა სხეული და სახეები ჩვენებისკენ და დაუწყეს ჩვენებს დაჟინებით (გაშტერე-

ბით?) ყურება (მზერა), ამ პოზაში მანამდე, სანამ ეტლმა არ გაიარა ბებუთოვის ქუჩა და არ მოსცილდა ხედვის არეს. მაშინ ჩვენ არ ვიცოდით ზემოთ მოყვანილი, დასახვრეტად გიგლას გამოძახების ამბავი. ამიტომ, მაშინ ციხის უფროსის ასეთი ქცევა გაუგებარი დარჩა დედ-მამისთვის.

მეტეხის ციხის ექიმად მაშინ იყო ჩვენი ძველი ნაცნობი და მეგობარი ვანიკო ფარადაშვილი. ერთ-ერთი სტუმრობისას, როცა გვეთხოვებოდა, დედას შეეკითხა: „რა გადავცე გიგლას?“ დედამ უპასუხა: უთხარით გიგლას, სანიმუშოდ მოიქცეს, არ შემარცხვინოსო. ამაზე გიგლამ იმავე ვანიკო ფარადაშვილის პირით შემოუთვალა დედას: „შენმა სიტყვებმა ერთის მხრივ გამახარეს, რადგან მესიამოვნა რომ გაჭირვების ჟამს მხარში ამომიდექი, მეორეს მხრივ დამამწუხრა, ნუ თუ ფიქრობ, რომ მე შემიძლიან შენი შემარცხვენელი რამე ჩავიდინო!“

ეს მოხდა დახვრეტის ერთ-ერთ ღამეს საქ. ჩეკას სიკვდილის კამერაში. დაპატიმრებულებს იძახებდნენ დასახვრეტად ხელის ქნევით. ეს ვერ აიტანა კირილე ნინიძემ, რომელიც იმავე კამერაში იყო მოთავსებული, მიუბრუნდა ჯალათებს და უთხრა – ამათ სახელი და გვარი აქვთ, ცხოველები ხომ არ არიან, რომ ხელის ქნევით იძახებთო, ესენი მე დავრაზმე, თუ დახვრეტაა პირველ რიგში მე მეკუთვნის იგი, მე გამიყვანეთო! ეს ამბავი მაშინ საქ. ჩეკაში დაპატიმრებულთა შორის იყო გავრცელებული.

ციხიდან ჩეკაში გადაყვანისას გიგლამ ნიკო თავდგირიძეს (მაშინ ისიც დაპატიმრებული იყო და გიგლასთან ერთად იჯდა ციხეში) თავისი საათი დაუტოვა დედისთვის გადასაცემად, სახსოვრად; სულ ერთია იქ წამართმევენო – ეთქვა. ეს დავალება შესრულებული იყო მის მიერ ჩეკადან გამოსვლისას უმალ. (ერთი დეტალი: ჩეკადან მოსვლისას დედა სახლში არ იყო, ჩვენ არ დაგვიტოვა, გვითხრა შემდეგ შემოვივლი, პირადად დედას უნდა გადავცე ხელშიო, რაც მის მიერ შესრულებული იყო კიდეც იმავე დღეს).

ეს ფაქტები ცხადყოფს, რომ გიგლა საქმის კურსშია, იცის რაც გარეთ ხდება. მოახლოებული აჯანყების შემთხვევისათვის რაზმავს, აორგანიზებს დაპატიმრებულთ. ციხის ადმინისტრაციამ, მო-

ხიბლულმა გიგლათი, შეუძლოდ ცნო მჩქეფარე სიცოცხლის მოსპობა, მის დახვრეტას წინ აღუდგა, მისი გადარჩენა გადაწყვიტა, უცხო გვარი გამოაძახებინა; ეს ყველაფერი წამიერად ხდება, როცა გონება გამოთიშულია და ამით გამოვლინდა გიგლას მთელი არსება თავისი დიდი ჰუმანურობით. არ ამოეფარა იგი უცხო გვარს, დამრაზმველი დარაზმულების წინაშე, შეფიცული შეფიცულთა წინაშე და მიიტანა ზვარაკად სამშობლოს სამსხვერპლოზე თვითვე თავისი თავი. უეჭველია ფარადაშვილის პირით დედის შენათვალმა სიტყვებმაც „სანიმუშოდ მოიქეცი, არ შემარცხვინოო“ უბიძგეს გიგლას ასე მოქცეულიყო. საწყალი დედა! დახვრეტების შემდეგ ტირილში იტყოდა ხოლმე: „ამ გზაზე მე მიგითითე, მე დაგაყენე შვილო“ – გულისხმობდა რა თავის შენათვალ სიტყვებს, რა ტკბილი ხარ შვილო და ამავე დროს რა მწარეო; დედას ეამაყებოდა თავისი გმირი შვილი და დასტიროდა თავის პირმშოს.

1924 წლის გაზაფხულზე, თუ ზაფხულის დასაწყისს წინადადება მიეცათ სტუდენტებს, მოწაფეებს, ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციის წევრებს თბილისში დავრჩენილიყავით, სახლში ვყოფილიყავით იმ შემთხვევისათვის, თუ დადგება რაიმე კრიტიკული მომენტიო, მდგომარეობა მეტად დაძაბულიაო. ყველა გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა აჯანყების მომენტი, მაგრამ ამას აშკარად არავინ ამბობდა. მეც მომიხდა ამის შესახებ მოხსენების გაკეთება მოწაფეთა კომიტეტში სტუდენტთა კომიტეტის დავალებით. თან მახლდა სტუდენტთა კომიტეტის წევრი ირაკლი რცხილაძე. მოხსენება გაკეთებული იყო ნეკრასოვის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში. დავალებული მქონდა აჯანყებას არ შევხებოდი, მისთვის გვერდი ამევლო.

1924 წლის აგვისტოს მე-3 დეკადაში (ზუსტად რიცხვი არ მახსოვს) ჩემთან ბინდისას მოვიდა ირაკლი რცხილაძე, რომელმაც მითხრა, რომ დანიშნულია სტუდენტთა კომიტეტის სხდომა, რომელზეც მეტად მნიშვნელოვანი განცხადებით გამოვა იასონ ჯავახიშვილი, ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარე, პარიტეტის წევრი. წავედით ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ

სახლში. იასონ ჯავახიშვილმა თავისი განცხადების გაკეთების წინ ყველას მოგვმართა დაახლოებით შემდეგი სიტყვებით: ჩემი განცხადების გაკეთებამდე მე თქვენ ყველას უნდა მოგცეთ შემდეგი წინადადება, თუ თქვენ, რომელიმეს გემძიმებათ ის ტვირთი, რომელსაც გაკისრებთ არალეგალური ორგანიზაციის წევრობა, ან გეეჭვებათ, რომ ვერ შესძლებთ ამ ტვირთის ტარებას, შეგიძლიანთ ეხლავე თავისუფლად წამოდგეთ და წახვიდეთ, ჩვენ წინააღმდეგობას არ გაგიწევთ. ყველა თავის ადგილას დარჩა, არავის არაფერი უთქვამს. ამის შემდეგ იასონ ჯავახიშვილმა განაცხადა: გადაწყდა აჯანყების მოხდენა, აჯანყების თარიღი დადგენილია, იყავით მზად და ადგილზე დამატებითი დირექტივები შემდეგ მოგეცემათო. არავინ აღმოჩნდა იქ მყოფთაგან შეკითხვების მიცემის მსურველი, ჩემს გარდა. პირველი შეკითხვა ეხებოდა აჯანყების მიზანშეწონილებას – კარგა ხნის წინათ ჩემმა ბიძაშვილმა ერთ-ერთ ბაასში მითხრა: გაზეთ „კომუნისტში“ ასეთი წინადადება ამოვიკითხეო: მენშევიკები, ქართველი ერის სისხლში ჩახშობას აპირებენო. მე ეს წინადადება, ამბობდა ის, ისე გავიგეო, რომ ბოლშევიკები ხელისუფლებას არავითარ შემთხვევაში არ დათმობენ, გინდაც დიდი სისხლის ფასად. და, აი მიზანშეწონილია თუ არა, აჯანყების მოხდენა ისეთი მცირე ერის მიერ, როგორც ქართველი ერია, როცა მოწინააღმდეგე ასეთი ვერაგი და სისხლისმსმელია, როგორიც ბოლშევიკები არიან- მეთქი. პირველი შეკითხვისას მე ეს აზრი გავიმეორე და ვეკითხებოდი იასონ ჯავახიშვილს „გაითვალისწინეთ თუ არა ის გარემოება, რომ აჯანყება შეიძლება სისხლში იყოს ჩახშობილი და რამდენად მიზანშეწონილია ჩვენისთანა მცირე ერის მიერ აჯანყების მოწყობა?“ იასონ ჯავახიშვილმა ამ შეკითხვაზე პასუხი არ მომცა, დუმილით აუარა გვერდი, კომიტეტის სხვა წევრებმა არაფერი თქვეს. მეც მეორე შეკითხვაზე გადავედი. ჩემი მეორე შეკითხვა ასეთი იყო: „როგორც ვიცი, სარდალი ყოველი ბრძოლის წინ ითვალისწინებს იმასაც, რომ შეიძლება ბრძოლა მარცხით დამთავრდეს და ასეთი შემთხვევისთვისაც ადგენს მოქმედების გეგმას. ასეთი შესაძლებლობა შეიძლება მოხდეს, მით უმეტეს აჯანყების შემთხვევაში.

რა ღონისძიებაა დასახული, თუ აჯანყება მარცხით დამთავრდა“. კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, ხუხუ ხოფერიამ, წამოიძახა: „პარტიზანულ ბრძოლას გავაჩაღებთ“. იასონ ჯავახიშვილმა არც ამ მეორე შეკითხვაზე მიპასუხა, არც არაფერი სთქვა პარტიზანული ბრძოლების შესახებ. ჩემი მესამე შეკითხვა ასეთი იყო: „ყველა ლაპარაკობს მოახლოებული აჯანყების შესახებ, თუმცა ჩურჩულით, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ, რახან ყველა ლაპარაკობს, მაშ ჩეკამაც იცის. ასეთ შემთხვევაში შეიძლება აჯანყების წარმატებაზე ვიქონიოთ იმედი?“ ამაზე იასონ ჯავახიშვილმა მიპასუხა: „როცა რაიმე მასობრივად ხდება, მისი დაფარვა შეუძლებელია, იგი ყოველთვის გახმაურებულია. ეს ბუნებრივია. მთავარია აჯანყების დაწყების დროის ცოდნა, ეს კი არავინ იცის, ჩვენს გარდა“. მეოთხე შეკითხვა ასეთი იყო: „აჯანყების შემთხვევაში პოლიტიკური პატიმრები დიდ განსაცდელში ჩავარდებიან. რა ზომებია მიღებული მათ გადასარჩენად?“. სტუდენტთა კომიტეტის თავჯდომარემ სერგო ტარასაშვილმა შენიშნა: „მართლაც, ისინი დიდ განსაცდელში არიან, მათი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია“. იასონ ჯავახიშვილმა მიპასუხა: მათ გადასარჩენად ყველაფერია გაკეთებული, პირველ რიგში ისინი იქნებიან გამოხსნილებიო. ამით დამთავრდა სტუდენტთა კომიტეტის სხდომა. დაშლისას იასონ ჯავახიშვილმა მომმართა: არჩილ, გამაცილეო. გზაში აჯანყებას არ შეხებია, არაფერი უთქვამს, გარდა უმნიშვნელო გამამხნევებელი სიტყვებისა. ის კი მითხრა, რომ გიგლასთან კავშირი მაქვს გაბმული და თუ რამე გინდა გადასცე, მითხარი, შევატყობინებო. მადლობა ვუთხარი, არაფერი ისეთი-მეთქი.

არ ვიცი რას გამოხატავდა ჩემი სახე, როცა სახლში მივედი, მხოლოდ მისვლისას დედამ კითხვითი გამომეტყველებით შემომხედა. „დედა – ვუთხარი მას – ამ ცოტა ხანში აჯანყება მოხდება, აჯანყების თარიღი დადგენილია“. დედა მაშინვე დაემხო ღვთისმშობლის ხატის წინაშე, ლოცვა დაიწყო. ჯავახიშვილის პასუხებიდან ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ აჯანყება მთლიანად გააზრებული არ იყო, არ იყო გათვალისწინებული მისი ყველა შესაძლო შედეგები, აქცენტები მის გამარჯვებაზე იყო აღებული

მხოლოდ. ამასთან დაკავშირებით გამახსენდა ირაკლი რცხილაძესთან, არალეგალური სტუდენტთა კომისიის წევრთან ერთ-ერთი ბაასი, რომელიც მოხდა 1925 წლის ზაფხულში, აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ, როცა სულმოკლე ადამიანებმა თავისი ტყავის გადასარჩენად იწყეს ჩეკაში სირბილი, ჩეკას დავალებით მართავდნენ სალიკვიდაციო კონფერენციებს, ჩეკას დავალებით გაზეთში ათავსებდნენ ყოვლად საზიზღარ განცხადებებს, შეურაცხყოფდნენ და ლაფში სვრიდნენ ეხლად დახვრეტილთა სახელებს, რომელთა დაღვრილი სისხლი, ჯერ მთლად გამშრალი და შეწოვილი არ იყო მშობლიური მიწის მიერ; ასეთ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა ირაკლი რცხილაძეც, არალეგალური სტუდენტთა კომიტეტის წევრი. იგი მეუბნებოდა: შალვა ამირეჯიბი (ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი) იმ დღეებში (აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ) ენა ჩავარდნილი იყო, ხმას ვერ იღებდაო, ჩვენს კითხვაზე რა მოვიქმედოთო გვიპასუხა: მე ისე ვარ განადგურებული პოლიტიკურად და მორალურად, რომ არაფრის თავი არა მაქვს, ვერაფერს გეტყვითო, თვითონ თქვენ განსაჯეთ, როგორც განსჯით, ისე მოიქეცითო. ირაკლის სიტყვებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან იგი ინიციატორი და განმახორციელები იყო ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის სალიკვიდაციო კონფერენციისა და სურდა ამის პასუხისმგებლობა სხვისთვის დაეკისრებინა, სწორედ ზემოთ აღნიშნული ბაასიც ამასთან დაკავშირებით იყო გამართული. რადგან სიტყვა ჩამოვარდა შალვა ამირეჯიბზე, გავადევნოთ თვალი მის თავგადასავალს, საზღვარგარეთ წასვლამდე. ესეც გადმომცა ირაკლი რცხილაძემ. იგი ცხოვრობდა ერთ სახლში (სად მითხრა, აღარ მახსოვს) მე-3 სართულზე. საბოლოოდ ჩეკამ აღმოაჩინა მისი ადგილსამყოფელი და ერთ დღეს იმ სახლს ალყა შემოარტყა. შ. ამირეჯიბი უმალ ჩამოიჭრა მე-3 სართულიდან მე-2 სართულზე, შევარდა ერთ ოთახში, სადაც მარტოხელა მოხუცი ქალი ცხოვრობდა, ხელი ჰკრა მას, აივანზე გამოაგდო, თვითონ შიგნით ჩაიკეტა. ჩეკისტები აცვივდნენ მე-3 სართულზე, შევარდნენ ოთახში, სადაც შ. ამირეჯიბი ეგულე-

ბოდათ, მაგრამ ცარიელი დახვდათ. ამის შემდეგ შ. ამირეჯიბმა მოიხმო ქაქუცა ჩოლოყაშვილი რამდენიმე რაზმელით და მასთან ერთად საზღვარზე გადავიდა. მათ თან გაჰყვა სტუდენტთა კომიტეტის თავჯდომარე სერგო ტარასაშვილი.

1924 წლის 29 აგვისტოს საღამოთი, უკვე ბინდი იყო, ჩვენთან მოვიდა ჩვენი ნათესავი ქალის ქმარი, ლეო ხომუტოვ-დალი. ჩვენთან სტუმრად, ისიც ცოლიანად, მხოლოდ რამდენჯერმე იყო, მარტო კი არასდროს. ვაპირებ საგარეჯოში წასვლას, გვითხრა მან, თუ წერილი გაქვთ თქვენებთან გასაგზავნი, მომეცით, მე წავიღებო. იგი იყო ველიკადერჟავნიკული სულისკვეთებისა, რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირე ერების მოძულე. ამჟამად იგი მსახურობდა ჩეკაში ექთნად. მაშინ მშობლიურ სოფელ საგარეჯოში, საკუთარ სახლში, დასასვენებლად წასულები იყვნენ მამიდაჩემი, და ბაბილინა და უმცროსი ძმა შოთა. ცხადი იყო, იგი ჩვენთან მოგზავნილი იყო ჩეკას მიერ დასაზვერად და ჩვენ საწინააღმდეგო რაიმე მამხილებელი საბუთის ჩასაგდებად, თუ მის ანკეტს წამოვეგებოდით. მადლობა ვუთხარით ყურადღებისათვის, არაფერი გვაქვს გასაგზავნი, ჩვენც ვაპირებთ ამ დღეებში წასვლასო. მაშინვე გამოგვეთხოვა, წავიდა. მეორე დღეს 30/VIII, დღის 7 საათზე დამაპატიმრეს მე. ერთი ჩეკისტი და ორი თოფიანი ჯარისკაცი იყო. ჩეკისტმა გაჩხრიკა ყველაფერი – ლოგინები, კარადები, კამოდი, ყველაფერი ზევით ამოყარა, გადააქოთა. წასვლისას გარეთ დამხვდა ერთი დაპატიმრებული, გვარად ბერიძე და მისი მცველები, ორი თოფიანი ჯარისკაცი. იმავე დღეს 30/VIII დღის 12 საათზე დააპატიმრეს მამაც. მამა მოთავსებული იყო ა/კავკასიის ჩეკაში, ბებუთოვის (ეხლა ენგელსის) ქუჩაზე. თბილისში გამოცხადდა სამხედრო წესები. საგარეჯოში ამბავი მიეტანათ, რომ 30/VIII გიგლა მეტეხის ციხიდან ჩეკაში გადაიყვანეს, მამა და არჩილი დააპატიმრესო. მამიდა, და ბაბილინა და უმცროსი ძმა შოთა 1/IX წამოსულან თბილისში. საგარეჯოს სადგურზე მათ დახვედრიათ ისიც თბილისში მომავალი, სონა მჭედლიშვილი, მიშა საყვარელიძის და (სოც.-ფედერალისტი), რომელიც მაშინ დაპატიმრებული იყო. სონა მჭედლიშვილი ნათესავად მოხვდე-

ბოდა პატიკო აღნიაშვილს. ჯერ თბილისიდან კახეთში მიმავალი მატარებელი ჩამომდგარა. მატარებლიდან ჩამოსულა თბილისიდან საგარეჯოში მომავალი პატიკო აღნიაშვილი, დახვრეტების დროს სართიჭალის რაიონის ჩეკას სამეულის თავჯდომარე, სართიჭალის რაიონში დახვრეტების ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი. აღნიაშვილი დაპირებია სონა მჭედლიშვილს, რომ შენ ძმას, მიშა საყვარელიძეს გამოვიძახებ სართიჭალის ჩეკაში, აქ მეყოლება საშიშროების გავლამდე და შემდეგ უკან დავაბრუნებთო. მამიდას ეთქვა მისთვის: გიგლას რაღას უშვრებიო, მამაც და არჩილიც დაპატიმრებულები არიანო. „Дядю (მამას ასე ეძახდა) и Арчила освободим а Гигла пусть еще отсидит“[33]. ასეთი პასუხი მიეცა მამიდასთვის. პეტიკო აღნიაშვილი, ერთხანს ჩეკას თავჯდომარე იყო, მშვენივრად იცოდა რა საფრთხეში იყო გიგლა, ჩვენი ცნობებით 1/IV, დახვრეტების უკანასკნელ დღეს, მას ჯერ კიდევ შეეძლო მისი ხსნა და არ მოინდომა ეს, გამოავლინა თავისი „მტკიცე ბოლშევიკობა“. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წამს, როცა მას თავს წაადგა ჯალათი (იგი დახვრიტეს 1937 წელს) გაახსენდა მას გიგლა? იგრძნო თავისი დანაშაული? ჰქონდა მას ამის გამო სვინდისის ქენჯნა? ასეთ ჟამს ხომ ყველა ადამიანური, გინდ მიძინებული ამოტივტივდება ხოლმე კაცში, იგონებს ყველა თავის წარსულ ცოდვებს და დანაშაულს, ინანიებს მათ. გიგლა მის და მისი უმცროს ძმის, ლეოს მიმართ ყოველთვის იყო გულისხმიერი. მაგონდება ერთი ფაქტი შორეული წარსულიდან, საქართველოში მეწშევიკური ხელისუფლების არსებობის (საქართველოს დამოუკიდებლობის 1918-1921 წლების) დროიდან. ერთხელ, ზაფხულში, საგარეჯოში გიგლასთან მოვიდა პეტიკო აღნიაშვილის უმცროსი ძმა ლეო და უთხრა გიგლას: მე განვიზრახე გთხოვო დასდგა წარმოდგენა საგარეჯოს თეატრში საგარეჯოს ბოლშევიკური ორგანიზაციის (არ მახსოვს მაშინ ლეგალური, თუ არალეგალური იგი იყო) სასარგებლოდ და ეს ჩემი განზრახვა გაუზიარე ჩემ ძმა პეტიკოს. მან მითხრა: გიგლა ამას არ იზამს, იგი ნაციონალ-დემოკ-

33 Дядю (მამას ასე ეძახდა) и Арчила освободим а Гигла пусть еще отсидит – ბიძიას და არჩილს გავათავისუფლებთ, გიგლამ კი მოიხადოს

რატიაო. შენ რას იტყვი? შეჰკითხებოდა ლეო. გიგლა ხალისით დასთანხმებია ამას, ბოლშევიკური ორგანიზაცია პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს, მე მზად ვარ ყოველ პოლიტიკურ პარტიას დავეხმარო მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებისაო. დადგა წარმოდგენა და წმინდა შემოსავალი გადასცა ლეო აღნიაშვილს. ჩემი დის ბაბილინას და უმცროსი ძმის შოთას თბილისში ჩამოსვლისას დედამ არ დასტოვა ისინი სახლში, თქვენც არ დაგაპატიმრონო, გაგზავნა თავის დედასთან კუკიაზე და მთელი ეს დახვრეტების ხანა მასთან ამყოფა.

მამა დაპატიმრების შემდეგ მიეყვანათ ა/კავკასიის ჩეკაში და მოათავსეს კამერაში, სადაც დახვდა ზემოხსენებული მიშა საყვარელიძე, რეზო გედევანიშვილი, გოგლა ლეონიძის ცოლის ძმა, მღვდლები ანტონ თოთიბაძე და მიხეილ ფხალაძე (მომავალი კათალიკოსი) და იმ კამერის დაპატიმრებულთა მამასახლისი, საგარეჯოელი მურვანოვი, სოციალ-დემოკრატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სალიკვიდაციო კონფერენციის დელეგატი, რომელმაც კონფერენციის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ ყველა ეს დელეგატი ჩეკას მიერ არის ძალით მოყვანილი და რეპლიკაზე „დაამტკიცე“ – უპასუხა: აი, მაგალითად მე, საგარეჯოელმა ჩეკისტმა თოდრიამ მითხრა თუ კონფერენციაზე არ წახვალ შენი საქმე ცუდად იქნებაო, ხოლო ადგილობრივი კომკავშირლები, თუ კომუნისტები საგარეჯოში სახლის კედლებზე აკრავდნენ აფიშებს განცხადებით, რომ დანიშნულია მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო კონფერენციაო. განა ეს კომუნისტები და კომკავშირელები ჩვენი თანაშემწენი თუ მსახურნი იყვნენ, კითხულობდა ტრიბუნიდან მურვანოვი, რომ ჩვენი სახელით ასეთ აფიშებს აკრავდნენ? მალე ამის შემდეგ, ღამით სახლში მიმავალ მამაჩემისათვის ავლაბარში მკლავში ხელი წაევლო ვიღაცას, შეეხედნა – მურვანოვია, – „აქ რას აკეთებ“ – ეკითხა მამას – „ვიმალები მამაო დავით“. იგი პირველ ღამეს, ე. ი. 30/VIII მამას თქმით გაიყვანეს კამერიდან და დახვრიტეს. იმ ღამეს, 30/VIII, ამბობდა მამა, ჩვენი კამერიდან დასახვრეტად გაიყვანეს სულ 8 კაცი, მათ შორის მურვანოვი და ერთი სამხედრო პირი, გვარად ჩახავა, წა-

რმოსადეგი შეხედულებისა, ნერვიულად კამერაში გადი-გამოდიოდა და სულ ამას ამბობდა: 2 კაცს მაინც მოვკლავ და მერე რაც უნდათ ის მიყონო; მეორე ღამეს, 31/VIII-ს აგრეთვე 8 კაცი, ერთ-ერთი მათგანი გაყვანისას კარგად გამოეწყო და როცა ქამრის შემოკვრა იწყო და ერთ-ერთმა ჩეკისტმა უთხრა: „можно без пояса, выходи – нет, надо всеже опоясаться“,[34] ქამარი შემოირტყა და ისე გავიდა. ერთი ჩეკისტი დანარჩენებს მოგვიბრუნდა და ცინიკურად გვითხრა: „а вы зачем не спите, спите спокойно“[35]. მესამე ღამეს 1/IX-ს გაიყვანეს ოთხი კაცი, მათ შორის 16 წლის ახალგაზრდა, გვარად ციცქიშვილი, გაყვანის შემდეგ გარედან მოგვესმა მისი ხმა, შეძახილი: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“. დახვრეტების მეორე დღეს, 31/VIII-ს, დღისით გაიძახეს ერთი დაპატიმრებული, რომელიც დააბრუნეს ძლიერ ნაცემი, მამა ამბობდა, გაჭირვებით მოძრაობდაო, ამაღამ დამხვრეტენ, გამომძიებელმა ასე მითხრაო. მაშინვე დააწვინეს. რამდენიც არ ეხვეწებოდა რეზო გედევანიშვილი არავითარი საჭმელი არ მიიკარა. იწვა ჩუმად გარინდებული. მართლაც იმავე ღამეს, სხვებთან ერთად, იგიც გაიძახეს, დახვრიტეს. რა ხდებოდა კამერაში დღისით დახვრეტების დაწყებისას 2/IX?

დაპატიმრებულთა მოთხოვნით გამოძახებული იყო საქართველოს ჩეკას უფროსი კვანტალიანი. იგი გამოცხადდა კამერაში ამალით. „რისთვის მიძახებდით“ – შეგვეკითხა იგი. „რატომ გვხვრეტენ ჩვენ, დიდი ხნის დაპატიმრებულებს, გარეთ რომ აჯანყდნენ, ჩვენ რა შუაში ვართ?“ – უპასუხეს – „აჯანყება თქვენ მოგვიმზადეთ, ეხლა გინდათ პასუხისმგებლობა აიცდინოთ, სხვას გადააბრალოთ, როგორც მოამზადეთ აჯანყება, ისევე უნდა აგოთ ამაზე პასუხი“ – სთქვა ეს და გავიდა ამალიანად.

რეზო გედევანიშვილის ინიციატივით იმართებოდა ლექციები იმ დარგიდან, რომლის სპეციალისტი ამ პროფესიისა იყო დაპატიმრებული. ცხადია, ლექციის ხარისხიც სხვადასხვა იყო

34 можно без пояса выходи – нет надо всеже опоясаться – შეიძლება ქამრის გარეშე, გამოდი – არა, მაინც უნდა შემოვირტყა ქამარი

35 а вы зачем не спите, спите спокойно – და თქვენ რატომ არ გძინავთ, იძინეთ მშვიდად

ლექტორის უნარის და შესაძლებლობის მიხედვით. გედევანიშვილი შეარჩევდა ხოლმე ლექტორს, რომელსაც მეორე დღეს უნდა წაეკითხა ლექცია. მოფიქრებისათვის ერთი დღე იყო დანიშნული. 30/VIII, დილით, ლოგინიანად საკანში შემოიყვანეს დაპატიმრებული უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც გაენთავისუფლებინათ საღამოს 5 საათზე. მიყვანისას მაშინვე ეთხოვა რ. გედევანიშვილს ლექციის წაკითხვა საქართველოს ისტორიიდან. ივ. ჯავახიშვილს მოესწრო განთავისუფლებამდე ლექციის წაკითხვა. ივ. ჯავახიშვილი გაანთავისუფლეს საქართველოს განათლების კომისრის დავით კანდელაკის შუამდგომლობით, რომელსაც დახმარებისათვის მიმართეს შინაურებმა. ლექცია წაიკითხა აგრეთვე, მამის თქმით, გაჩეჩილაძემ ასტრონომიიდან. რეზო გედევანიშვილმა ლექციის წაკითხვა დაავალა დაპატიმრებულ მეხანძრესაც. დაპატიმრებულთა შორის იყო ასე 18-ოდე წლის მიტუშა, (გვარი არ უთქვამს მამას, მგონი არც იცოდა ის) ხელზე მოვაჭრე სხვადასხვა წვრილმანი საქონლით, რომელსაც ატარებდა ურიკით, მასში ჰყავდა შებმული სახედარი, სახელად იაშკა. დაპატიმრებული იყო ქურდობის ბრალდებით, მის ურიკაზე დაკიდული აღმოჩნდა ყვითელი პორტფელი, შეკითხვაზე, თუ საიდან გაჩნდა ეს პორტფელი აქ, უპასუხა: არ ვიცი, მივიხედე და პორტფელი ეკიდაო, ვინ დაკიდა, არ დამინახავსო; ჩეკაში მიყვანისას ანკეტის შევსება იწყეს; კითხვაზე მისი ოჯახის შემადგენლობის შესახებ, უპასუხა თურმე: „მე, დედა და იაშკა – იაშკა ვინ არის? – შეეკითხნენ – იაშკა? იაშკა ჩემი ვირია. – როგორ ბედავ ჩვენთან მასხარაობას“ – უყვირეს მიტუშას და გამოაგდეს კამერაში. „იაშკა მე მინახავს, დედას ინახავს, მაშ ჩემი ოჯახის წევრი არ არის?!“ – გაოცებით, გულუბრყვილობით კითხულობს მიტუშა და ვერ გაუგია რაზე განურისხდნენ მას. ყველაფერი უჩვეულოა მისთვის, რაც კამერაში ხდება. ღამით დაპატიმრებულნი გაჰყავთ დასახვრეტად, დღისით ლექციები ისტორიიდან, ასტრონომიიდან, ცოდნის სხვადასხვა დარგიდან... „ეს რა ხდება, რა ამბავია, სად ვიყავი აქნობამდის, ჭურში ვიჯექი“? – ბუტბუტებს ხმადაბლა

მიტუშა. „ეხლა შენი ჯერია, მიტუშ“ – მიუბრუნდა ერთხელ მიტუშას რეზო გედევანიშვილი – „შენ უნდა წაგვიკითხო ლექცია შენი ცხოვრებიდან, ყველაფერი უნდა გვითხრა დაუფარავად, გულახდილად, წინააღმდეგ შემთხვევაში შენ ლექციას ფასი არ ექნება, მოფიქრებისათვის გაძლევ ერთ დღეს“. მეორე დღეს მიტუშამ ისე დალაგებით, საზრიანად, თანმიმდევრულად, ამბობდა მამა, გვიამბო ყველაფერი – როგორ ვაჭრობს, როგორ ატყუებს მყიდველს, ამხანაგებთან ქეიფი, ამხანაგებთან დროს ტარება, მოკლედ თავისი ცხოვრების ყოველ კუნჭულში შეგვახედა. ლექცია მეტად შინაარსიანი, საინტერესო იყო. მიტუშა საზრიანი ახალგაზრდა კაცი გამოდგა. რ. გედევანიშვილმა მიტუშას ასეთი საინტერესო ლექციისათვის დიდი მადლობა გადაუხადა. ამ დახვრეტის დღეებში მამა და მასთან ერთად ა. თოთიბაძე და მ. ფხალაძე დაიბარეს გამომძიებელთან, მისვლისას გამომძიებელს ეთქვა მათთვის: „Садитесь, отдохните, там в камере душно, вот сегоднящняя газета, прочтите – какие обвенения против нас ?“[36] – შეჰკითხოდა მამა – „никаких – а зачем нас арестовали? – если в Тбилиси раздался бы хоть один выстрел мы вас как представителей Тбилисского духовенства растреляли бы“[37] – ლაპარაკში გამომძიებელს ეთქვა, რომ მღვდელი დიმიტრი ვარდიაშვილი (ცნობილი მომღერლის, ანა ვარდიაშვილის მამა) დავხვრიტეთო. ა. თოთიბაძეს ეთქვა – ეს დაუჯერებელიაო. თქვენთვის დაუჯერებელია, ეთქვა გამომძიებელს – მაგრამ ეს ასეა.

კამერა, სადაც მამა იყო, ჩარაზული კარებით უერთდებოდა მეორე კამერას, სადაც აგრეთვე დაპატიმრებულები იყვნენ. ამ კამერით ესენი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, ერთმანეთის ამბებს გებულობდნენ, ამ მეორე კამერაში აღმოჩნდა დაპატი-

---

36 Садитесь, отдохните, там в камере душно, вот сегоднящняя газета, прочтите – какие обвенения против нас? – დაჯექით, დაისვენეთ, საკანში დახუთულობაა, აი, დღევანდელი გაზეთი, წაიკითხეთ – რა ბრალდება გაქვთ ჩვენს წინააღმდეგ?

37 Никаких – а зачем нас арестовали?- если в Тбилиси раздался бы хоть один выстрел мы вас как представителей Тбилисского духовенства растреляли бы- არანაირი – მაშ, რატომ დაგვიჭირეს? – ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო თბილისში, თქვენ, როგორც სასულიერო პირთა წარმომადგენლებს დაგხვრეტდით.

მრებული მღვდელი ფარესიშვილი; სამოვარს ვადუღებდიო, სამოვრის მილში ნავთის ჩასხმა ზედმეტი მომივიდა, მოკიდებისას ალი ამოვარდა, მეეზოვეს დავებეზღებინე აჯანყებულებს სიგნალს აძლევდაო, ამ ბრალდებით ვარ დაპატიმრებულიო, ეთქვა ფარესიშვილს. ერთხელ კარებზე კაკუნი მოისმა „დათიკო, დათიკო“ – ფარესიშვილი მამას იხმობდა. მამა კართან მივიდა – „რა გინდა?“ – შეეკითხა მამა – „დათიკო, გამოვტყდე?“ – ეკითხება ფარესიშვილი – „რაში უნდა გამოტყდე? – აი, იმაში, რომ სიგნალს ვაძლევდი – მართლა აძლევდი სიგნალს? – არა, კაცო, ნავთი ზედმეტი მომივიდა და... – მაშ, რაში უნდა გამოტყდე? – გამომძიებელი მეუბნება გამოტყდი და გაგანთავისუფლებო – ეგ არ გააკეთო არავითარ შემთხვევაში, დაგხვრეტავენ შე საცოდავო, სთქვი ის, რაც ნამდვილად იყო, გამომძიებელი გატყუებს, არ წამოეგო მის ანკესს, სიმტკიცე გამოიჩინე“. დახვრეტები გაგრძელდა სამ დღეს: 30/VIII, 31/VIII და1/IX-ს. დახვრეტების შემდეგ მამას გიგლასთან შეხვედრის იმედი ჰქონდა. გიგლა ციხეში რომ არ დახვედროდა, ბევრი ეტირა. დიდხანს ვერ მოხერხდა მისი დამშვიდება. ამის შემდეგ მამა მალე გაანთავისუფელს ციხიდან.

ჩემი დაპატიმრების შემდეგ, წასვლისას გარეთ დაგვხვდა ერთი დაპატიმრებული, გვარად ბერიძე და მისი მცველები, ორი თოფიანი ჯარისკაცი. წაგვიყვანეს საქართველოს ჩეკაში და მოგვათავსეს სხვა დაპატიმრებულებთან ერთად კამერაში, ასე 10-12 კვ. მეტრი ფართობისა, რომელიც ჩეკას კომენდატურის მოპირდაპირე მხარეს სულ ბოლოში იყო მოთავსებული. ეს კამერა სარდაფის სათავსოს წარმოადგენდა, ქუჩის მხარეზე ვიწრო სარკმელი ჰქონდა დატანებული ტროტუარის დონეზე მდებარე. ჩვენი კამერის პირდაპირ, ეზოს მხარეს, ტუსაღებიანად მეორე კამერა იყო ფანჯრით ეზოსკენ გამავალი. ამ კამერებს შორის დერეფანი გადიოდა. კამერებს ჰქონდათ დერეფანში გამომავალი მთლიანი კარებები შუაში ამოჭრილი ვიწრო სარკმელებით, შიგ მოძრავი მთლიანი ფიცრით. როდესაც კარები დახურული იყო, ეს მოძრავი ფიცარი გაწეული და სარკმელი ღია იყო. ეს სარკმელი ერთადერთი საშუალება იყო, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავდით. თუმცა

ჰაერი მეტისმეტად მხუთვარე იყო, მაგრამ მაინც ჰაერის ნასახს წარმოადგენდა, რაღაც შვებას ვიღებდით, მაგრამ როცა ეს სარკმელიც იხურებოდა, და ეს ხდებოდა შუაღამისას, დახვრეტის დაწყებისას, როცა ატყდებოდა ქუჩაში ცხენების თქარა-თქური, დერეფანში ჩეკისტების სირბილი და მათი ფეხების დრაგუნი, მოძრავი ფიცრის სარკმელების ხმაურით შეწევა და სარკმლის მთლიანად დახურვა, მაშინ უჰაერობით ვიხრჩობოდით მთლად, ძალიან ცხელოდა, ოფლში ვიწურებოდით; ყველა პერანგის ამარა ვიყავით, პერანგებს თავისი ფერი დაჰკარგვოდათ, მთლად შავად გამოიყურებოდა. ოთახში, ქუჩის მხარეს ოთახის მთელ სიგანეზე ტახტი იყო გამართული. ნაწილი ტუსაღებისა ამ ტახტზე ვიწექით, დანარჩენი უმეტესი ნაწილი იატაკზე იწვა, თავებით კედლებისკენ; როცა იწვნენ მათი ფეხები ერთმანეთის ფეხებს ებჯინებოდა, დასადგომი ადგილი აღარ იყო, ერთი ტუსაღისათვის დასაწოლი ადგილიც აღარ რჩებოდა და იგი (და ეს ჩვენში ყველაზე ახალგაზრდა გოგა ლეონიძე – მოწაფე) ღამე ტახტის ქვეშ წვებოდა. ტუსაღთა შორის იყო ჩემი უმცროსი ძმის, შოთას გიმნაზიის ამხანაგის, მიშა თოიძის მამა, ზაქარია თოიძე, ახოვანი შეხედულების, ჩასუქებული, სადგურის ქუჩაზე მოთავსებული გასტრონომიის მაღაზიის მფლობელი, რომელსაც თექაც კი ჰქონდა მიტანილი ქვეშ გასაშლელი. იგი ტახტზე იწვა, მან შემომთავაზა მის გვერდით დაწოლა, რამაც შემდეგ თავბედი მაწყევლინა. საერთო სიცხისა და დახშული ჰაერის გარდა მაწუხებდა ქვეშიდან თექისა და გვერდიდან მისი სხეულის მცხუნვარება, რაც გახურებული ღუმელის თანაბარი იყო. საშველი არსაიდან იყო, რადგან მჭიდროთ ვიწექით, ადგილები კი ყველგან დაკავებული იყო. დაპატიმრებულთა შორის იყო ერთი ტუსაღი, გვარად გაჩეჩილაძე, გულით ავადმყოფი წყლიანი ბოთლით ხელში, დიდ გასაჭირში იყო, ძლივს სუნთქავდა, ხოლო დახვრეტების დაწყებისას იგი მომაკვდავის მდგომარეობაში ჩავარდა. მამასახლისმა ბერიძემ გასძახა გარეთ „Человек умер“[38], იმის იმედით, რომ შემოვლენ, გაიყვანენ, სულს მოითქვამსო, მაგრამ უპასუხეს „завтра вытащим

38 Человек умер – ადამიანი მოკვდა

его“[39]. მაშინ ბერიძე მივიდა სარკმელთან, მოძრავი ფიცარი უხმაუროდ ოდნავ გასწია, წარმოიშვა ღრიჭო, საიდანაც ჰაერი შემოვიდოდა, გაჩეჩილაძე დახარა, სარკმელს მიადებინა პირი და ასეთ მდგომარეობაში ამყოფა და ამყოფებდა კარის გაღებამდე. დასახვრეტად დანიშნული ტუსაღი გადაჰყავდათ ჯერ ე. წ. სიკვდილის კამერაში და შემდეგ იქიდან შუაღამისას გადაჰყავდათ დასახვრეტად. დაპატიმრებულთა შორის იყო გიორგი ციციშვილი – ინჟინერ-ქიმიკოსი, ცისფერთვალება, აბურთული სახის, მეტად კულტურული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა; დღისით ტახტზე იჯდა, უმეტესად ჩუმად იყო; მისი თქმით, იმ ხანებში იგი ბორჯომში შვებულებაში იყო. შვებულების დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე წამოსულიყო თბილისში, სამსახურში გადაუდებელი საქმეების გამო; დააპატიმრეს და შეცდომით დახვრიტეს ივანე ციციშვილის მაგიერ, რომელიც თავის შვილთან ერთად, ვახტანგთან იჯდა იმავე, ჩვენ კამერაში და იგიც სიკვდილის კამერაში იყო გადაყვანილი. დახვრეტის შემდეგ გიორგი ციციშვილი რამდენჯერმე გამოიძახეს კამერიდან, რომ არ აღმოჩნდა არც ერთ კამერაში და ეს მოახსენეს გამომძიებელს, მას ეთქვა მეორესთვის: „Грубую ошибку допустили“[40]. ეს ამბავი მოიტანა ჩვენი კამერის ტუსაღმა, რომელიც მაშინ დასაკითხავად იყო გამოძახებული. გიორგი ციციშვილი იქნებოდა ასე 30 წლისა, ჰყავდა ცოლი და ორი შვილი. ცოლმა მისი დახვრეტის მე-40 დღეს თავი მოიკლა, ივანე გომართელისთვის (მისი ნათესავი იყო), როგორც ამბობდნენ, დაეტოვებინა წერილი, სადაც ბავშვების მზრუნველობას ავალებდა: ცოცხალი რომ დავრჩენილიყავი, სულ ერთია ეს ბავშვები შენი საზრუნავი იქნებოდნენო. ასე დაიღუპა ჩეკას განჩინებით, ეს ორი უდანაშაულო ადამიანი.

დახვრეტების შემდეგ რამდენიმე დღემ განვლო და დერეფანში გამოატარეს ივანე ციციშვილი. ჩვენი კამერის გვერდით გავლისას გადმოსძახა თავის შვილს: ვახტანგ, ცოცხალი ვარ, ცოცხალი! ორივესი, მამა-შვილის ბოლო სავალალო იყო. მა-

39 завтра вытащим его – ხვალ გავიტანთ

40 Грубую ошибку допустили – უხეში შეცდომა დავუშვით

მამ თავი მოიკლა, როგორც ამბოდნენ, მე-4 სართულიდან გადმოვარდა, შვილი დახვრიტეს 1937 წელს ხრამჰესმშენის სამმართველოს უფროსს, ჯიქიასთან ერთად. სპეციალობით იგი ეკონომისტი იყო, დამთავრებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი. დაპატიმრებამდე, 1937 წლამდე მსახურობდა ხრამჰესმშენში ეკონომისტის თანამდებობაზე.

ჩვენს შორის კამერაში იყო (იჯდა) დაპატიმრებული ხასია, რომელსაც მწარედ ასტკივდა მუცელი, მოითხოვა გარეთ გასვლა, არავინ ყურადღება არ მიაქცია, დახვრეტები დაწყებული იყო; მან კარებს მუშტებით ბრახუნი აუტეხა, მოვარდა ჩეკისტი, ფიცარი ხმაურით გასწია, რევოლვერის ლულა სარკმელში შემოჰყო, „всех перестреляю до единого“[41] – ყვიროდა, თან რუსულ სართულებიან გინებას აყოლებდა. ხასია უკუიქცა, ჩაჩუმდა, თითქოს ტკივილებმა გაუარეს, ყველა გავინაბეთ. ერთ დაპატიმრებულს (გვარი დამავიწყდა) მთელი სხეულის ქავილი აუტყდა. ქავილმა დიდად შეაწუხა. ჩვენს შორის ეხლად კურსდამთავრებული ექიმი იყო. მისი დიაგნოზით (დიაგნოზი გადამდებ კანის სნეულებას გულისხმობდა), გადასცეს ბარათი, მოითხოვეს ექიმის შემოგზავნა. ავადმყოფი მოუთმენლად ელოდა ექიმს. პირველ დღეს არავინ გამოჩენილა; დახვრეტების მეორე დღეს, ნაშუადღევს 12 საათი იქნებოდა, შემოვიდა ერთი ჩეკისტი, თან ამალა შემოჰყვა. – „Вы врач?“[42] მაშინვე შეეკითხა მას ტკივილით შეწუხებული, ექიმის მომლოდინე ავადმყოფი. „когда-то был врачом“[43] – მძიმედ უპასუხა მოსულმა. იდგა ერთ ადგილას გაჭიმული, წელზე ხელებდაწყობილი, ხელში ეჭირა შტამპიანი ბლოკნოტი, შტამპი ჩვენკენ იყო მომართული, შტამპზე იყო ამოტვიფრული „комендант... Попов“[44]. ჩეკას დაპატიმრებულთათვის ცნობილი იყო კომენდანტი პოპოვი, თუმცა უმეტესობას იგი არ ენახა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ იგი თვითონ, რევოლვერით

41 всех перестреляю до единого – ყველას ჩაგცხრილავთ

42 Вы врач? – თქვენ ექიმი ხართ?

43 когда-то был врачом – ოდესღაც ვიყავი ექიმი

44 комендант... попов – კომენდანტი... პოპოვი

ხვრეტდა დაპატიმრებულებს. მას დაპატიმრებულთაგან შერქმეული ჰქონდა სახელი: „სიკვდილის კომენდანტი“, „комендант смерти“. იგი იდგა ჩვენ წინ გაჭიმული, უფრო მაღალი, ვიდრე საშუალო ტანისა, ქერათმიანი, ქერა, გრძელულვაშებიანი, გვათვალიერებდა თვითეულ ჩვენგანს ხანგრძლივად, დაჟინებული ცქერით და ამავე დროს გვაცნობდა თავის თავს ჩვენკენ მომართული შტამპიანი ბლოკნოტით, რომ სწორედ იგია ის სისხლიანი ურჩხული, რომელსაც უნახავად ვიცნობდით „სიკვდილის კომენდანტის“ სახელით. ვფიქრობ, მიზანი ჩვენ წინაშე მისი გამოჩენისა უნდა ყოფილიყო ჩვენი სულიერი შერყევა. სხვას ამის ასახსნელად ვერაფერს ვპოულობ. დღისით კარებების გაღების უფლებას გვაძლევდნენ. ჩვენი მოპირდაპირე კამერა, როგორც აღვნიშნე, ფანჯრით ეზოში გადიოდა. ჩვენს კამერებს ვიწრო დერეფანი ჰყოფდა. ერთმანეთს ადვილად ვატყობინებდით, რაც წინა ღამეს, დახვრეტების დროს ხდებოდა. როგორც მოპირდაპირე კამერის დაპატიმრებულებმა გადმოგვცეს, პატიმრები დასახვრეტად დერეფნით ეზოში გამოჰყავდათ უკან ხელებშეკრულები და მერე წყვილად, ერთი მეორეზე გადაბმულები; რადგან დერეფანი ვიწრო იყო და თავისუფლად ვერ გამოდიოდნენ, მათ უხდებოდათ ტრიალი და ასე ტრიალით, დერეფნის კედლებზე ხახუნით ნელა მიიწევდნენ წინ; როცა ეზოში გამოვიდოდნენ, მათ ასწევდნენ ხოლმე და შეაგდებდნენ სატვირთო მანქანის ძარაში ერთი მეორეზე დაყრით. როდესაც დასახვრეტთა რიცხვი ამოიწურებოდა და ყველა ძარაში იყო შეყრილი, ძარას ბრეზენტს გადააფარებდნენ და ასე დაიძვრებოდა ხოლმე მანქანა. ჩვენ ამ დროს რა დაგვაძინებდა, მოჩვენებით გვეძინაო, ამბობდნენ ისინი, თვალებდახუჭულები ვიყავით, ქუთუთოები ოდნავ აწეული გვქონდა, ყველაფერს ვხედავდით, ყველაფერს ვისმენდით. ერთ-ერთ ღამეს ჩვენ ფანჯარას მოუახლოვდა ერთი ჯალათი (ჩეკისტი), შემოიხედა კამერაში და ჩვენი მისამართით სთქვა: „спите, спите и до вас доберемся“[45]. დახვრეტების მეორე დღეს ჩვენ კამერაში შემოიყვანეს დაპატიმრებული, მოსკოვის თეატ-

45 спите, спите и до вас доберемся — იძინეთ, იძინეთ, თქვენამდეც მოვალთ

რის თეატრალური მხატვრის, სუმბათაშვილის მამა, რომელმაც მაცნობა, რომ გუშინ, შენი დაპატიმრების შემდეგ, ნაშუადღევის 12 საათზე დააპატიმრეს მამაშენიო, ხოლო იმავე დღეს ციხიდან ჩეკაში გადაიყვანეს გიგლაო. გიგლა დაღუპულად ჩავთვალე. ვიწრო კამერა უფრო მევიწროვა, მცხუნვარე ჰაერი უფრო მცხუნვარედ შევიგრძენი. [წარმომიდგა გიგლა ხელებშეკრული, თავის შეფიცულთან გადაბმული, დერეფნის კედლებზე ხახუნით გამომავალნი, სხვებთან ერთად მანქანის ძარაში ერთი მეორეზე წყვილად დაგდებულნი, სუნთქვა შეკრულნი და... სუმბათაშვილის მხარს დავეყრდენი – მგონი მე ეს შენთვის არ უნდა მეთქვა, მეუბნება სუმბათაშვილი – არა, პირიქით, მე უნდა ვიცოდე ყველაფერი, რაც ჩემს თავს არის – ვუპასუხე]... დახვრეტები გაგრძელდა, როგორც აღვნიშნე, სამ დღეს, 30/VIII, 31/VIII, და 1/IX. ამის შემდეგ შეიქმნა ე. წ. განტვირთვის კომისია, რომლის გადაწყვეტილებით ანთავისუფლებდნენ დაპატიმრებულებს. მანამდე ერთ დღეს კამერაში შემოვიდა ივანე გომართელი, რომელმაც წაგვიკითხა ტექსტის პროექტი, რომელზეც დაპატიმრებულებს ხელი უნდა მოგვეწერა განთავისუფლების შემთხვევაში, თუ მოვიწონებდით. განცხადების შინაარსი არ ვიცი, რადგან კითხვისას მე გომართელს არ ვუსმენდი. „ჩეკამ“ დაიცვა დემოკრატიული პრინციპი. მან არ მოინდომა ჩვენი „მოწონების“ გარეშე ჩვენთვის ძალის დატანება ხელი მოგვეწერა განცხადებისათვის; გომართელმა შეასრულა ჩეკას დავალება, წაგვიკითხა განცხადება და „მოწონების“ შემდეგ გავიდა. ასე დაიარა ყველა კამერა და მიაღწია მიზანს, უზრუნველჰყო თავისი განთავისუფლება; მალე ამის შემდეგ დაიწყო განტვირთვის კომისიის მუშაობა, იძახებდნენ დაპატიმრებულს და მცირე შეკითხვების მიცემის შემდეგ განცხადებაზე ხელს აწერინებდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ იგი განთავისუფლებული იქნებოდა იმავე დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდებოდა. კომისიამ დაამთავრა მუშაობა 10/IX. ჩვენი კამერიდან განთავისუფლებული იყო ყველა დაპატიმრებული, ჩემსა და ერთის, გვარად ჯავროვის გარდა, რომელსაც როგორც ეტყობოდა სისხლის სამართლის ბრა-

ლდება ჰქონდა წაყენებული. მალე ჩვენი კამერა შეავსეს სხვა კამერებში დარჩენილებით. მათ შორის იყო სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი გიგო რცხილაძე, სამხედრო პირთა ჯგუფი, რომელთაგან თავისი ფუქსავატური ქცევით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვალოდია ბარათაშვილი, რომელთათვის ამ დიდი ტრაგიზმით აღსავსე დღეებს, ქართველ ერზე თავდატეხილ, დიდ უბედურებას არავითარი ემოციები არ გამოუწვევია მათ გულში. არავითარ დაცინვას, აღშფოთებას, ვაის ძახილს ადგილი არ ჰქონია, ქცევა მათი ამას მოწმობდა. იატაკზე ეყარნენ წრედ შეკრულნი, შუაში ეს 40 წელს მიღწეული, თუ გადაცილებული ვალოდია ბარათაშვილი 12 წლის (პატარა) ბიჭივით ბუქნით დახტოდა, ხან ერთს დაუსკუპდებოდა, ხან მეორეს, დანარჩენებთან, წრეში მყოფთაგან ერთად ხანგრძლივად, მოსაბეზრებლად გაჰკიოდა ამ ვულგარულ სიმღერას: „კეკემ უთხრა მაკრინეს, ჩიმჩაირარამა, შენი საქმე მაკვირვებს, კუკუ! სინდიკატში რა გინდოდა, არშიყობა თუ არ გინდოდა, კუკუ! წინ პლატოკი დაგიგდეს, უკან კაბა გაგიჭრეს, კუკუ“! ზოგჯერ, როცა სიმღერით დაიღლებოდნენ, ვალოდია ბარათაშვილი დაუწყებდა ჩურჩულს თავის დაჯგუფებას, რაც იმის ნიშანი იყო, რომ იგი რაიმე საქციელს უმზადებდა რომელიმე საკანში მყოფთაგანს. ასეთი გამოხდომები ძალიან ართობდა მათ, მათ სიცილსა და ხარხარს იწვევდა. ასე გაგრძელდა 5 დღეს. 15 სექტემბერს ყველა ციხიდან ჩეკაში გადაიყვანეს. ამ ხნის განმავლობაში თვალწინ მიდგას გიგო რცხილაძე. ტახტზე იყო ჩამომჯდარი, მისი სახე მწუხარებას გამოხატავდა, იგი სდუმდა, მას ხმა არ ამოუღია ორი შემთხვევის გარდა; ერთხელ, როგორღაც კამერაში იმ დღის გაზეთი შემოიტანეს, სადაც ეწერა მაკდონალდის მთავრობას თემთა პალატამ უნდობლობა გამოუცხადა და ლეიბორისტული მთავრობა დაემხოო. ამაზე გიგო რცხილაძემ შენიშნა – აი, მაკდონალდის მთავრობას გააკეთებინეს ის, რაც უნდოდათ და ეხლა კი მოიშორესო. მეორედ, მაშინ, როდესაც ვალოდია ბარათაშვილმა ჩურჩული დაუწყო თავის ჯგუფს, მე კი მითხრა: არჩილ, შენ მანდ იყავი, აქ არ მოხვიდეო. გიგო რცხი-

ლაძე მიუბრუნდა ვალოდია ბარათაშვილს და უთხრა: „არჩილს თავი დაანებეთ“. მე კი მომმართა: არჩილ, მოდი შახმატი ვითამაშოთო. აღარ მახსოვს, შახმატი თვითნაკეთი იყო, თუ ნამდვილი. ერთ-ერთ მომღერალს შევეკითხე: რაზეა ეს სიმღერა მეთქი. ჯარში ერთი ქალი გააუპატიურეს და იმაზეო. 15 სექტემბერს ყველა დაპატიმრებული კამერებიდან გამოგვიყვანეს, გიგო რცხილაძის გარდა, იგი ჩვენს შორის აღარ იყო. გრძლად დაგვამწკრივეს, ჯარისკაცებმა ალყა შემოგვარტყეს, ისინი მიჯრით ერთმანეთზე იყვნენ მიწყობილნი, მათსა და ჩვენს შორის თავისუფალი ადგილი აღარ იყო დატოვებული, თოფები მათ მიწისკენ ჰქონდათ დახრილი, კონდახები იღლიაში მტკიცედ მიკრული, მიბჯენით გვერდებზე, მზად სროლისათვის ყოველ მომენტში. ასე წაგვიყვანეს ბებუთოვის ქუჩისკენ. წინ მიგვიძღოდა ჩეკისტი სასტვენით პირში, სასტვენს გამუდმებით უსტვენდა, გამვლელთ ხელით ანიშნებდა გზა დაეცალათ, მოსიარულენი შეშინებულნი გადარბოდ-გადმორბოდნენ. ამ ამბით მიგვიყვანეს მეტეხის ციხეში და მოგვათავსეს სარდაფის სვეტებიან სათავსოში, სადაც სამხრეთის მხარეს შპალერებად დაწყობილი იყო დაახლოებით 2 მეტრი სიგრძის დახეთქილი შეშები, იატაკი ცემენტისა იყო. მისვლისას ტუსაღებმა უმალ დავიწყეთ შპალერების დაშლა და დახეთქილი შეშების ლეიბების მაგიერ ცემენტზე დაწყობა სვეტებს შორის. შეშაზე გავშალეთ ლოგინები. ასეთ საწოლებზე მოვთავსდით ყველანი. დაპატიმრებულთა შორის იყო დიდი ხნის დაპატიმრებული გვარად გაგუა, რომელმაც როცა გაიგო ჩემი ვინაობა, მითხრა: გიგლას კარგად ვიცნობ, შენ ჩვენებებზე შეიძლება ბევრად იყოს დამოკიდებული გიგლას მდგომარეობის შემსუბუქება, წინასწარ გაითვალისწინე ყველა შესაძლო შეკითხვა, რომლითაც შეიძლება მოგმართონ, არც ერთი შეკითხვა შენთვის მოულოდნელი არ უნდა იყოსო, ყველა შესაძლო შეკითხვაზე პასუხი მზად გქონდესო. აი, ამ დაპატიმრებულმა გაგუამ აღშფოთებულმა ერთ-ერთი დაპატიმრებულის უღირსი საქციელით გოგი ლეონიძის მიმართ, მოგვმართა და სთქვა: „აქ, ჩვენს შორის ზოგი შემთხვევით არის მოხვედრილი და არავითარი კავშირი

არა აქვს იმ მოძრაობასთან, რომლის გამო ეს-ეს არის ჩვენს შორის დატრიალდა ტრაგიზმით სავსე ამბები“ (და ვფიქრობ პირველ რიგში გულისხმობდა ვალოდია ბარათაშვილს და მის დაჯგუფებას), ჩვენა თვეობით და წლობით შეგვინახავს და მხარში ვედექით გაჭირვებულ დაპატიმრებულს და არავითარი მატერიალური გაჭირვება არ გვიგრძნობინებია მათთვის და მან უარი სთქვა პროტესტის ნიშნად თავისი ულუფის მიღებაზე. ვალოდია ბარათაშვილს ადრევე ვიცნობდი, იგი იყო ჩემი გიმნაზიის ამხანაგის, მიშა კასრაძის დის ქმარი, ჰყავდა ერთი ექვსიოდე წლის ქალიშვილი. მისი ქარაფშუტობა ჩემთვის ცნობილი იყო.

ასე დაიტირა ვალოდია ბარათაშვილმა და მისმა ჯგუფმა სასუფეველსა შინა ეხლად განსვენებულნი, ასე უკვდავყო ვალოდია ბარათაშვილმა და მისმა ჯგუფმა მოწამეობრივი სიკვდილით ეხლად დაღუპულთა სახელები! დახვრეტის დღეებში, დილით, გარეთ გაყვანისას შევნიშნე ვალოდია ბარათაშვილი ეზოში გამომავალი საკნის ფანჯრის რაფაზე მჯდარი, ტუჩებზე ხელებს იფარებდა, მერე უარყოფითი ჟესტით მანიშნებდა ჩუმად იყავი, არაფერი სთქვაო. ამ დროს მომიახლოვდა ერთი დაპატიმრებული, მეუბნება: ვინ არის ეგ კაცი, განა არ ვიცით, რომ დუმილი გვმართებს, ხათაბალაში არ გაგვრიოს, მოერიდეო; როცა ერთ კამერაში აღმოვჩნდით მე და ბარათაშვილი, მეუბნება: უარყოფა უბრალოდ არ შეიძლება, მოქნილი უნდა იყოსო. რას უწოდებ მოქნილ უარყოფას – ვეუბნები – აი, მაგალითად: ერთ კითხვაზე ზედიზედ მიაყარეს, ყველაფერზე ტრაფარეტულ პასუხს აძლევს: „нет, нет, нет“[46], უცბად ეკითხებიან: „какого года рождения“[47] უპასუხებს – „нет“. გამეცინა: მაგას მე მოქნილ ან მოუქნელ პასუხს კი არ ვუწოდებ, არამედ მოფიქრებულ, გააზრებულ, მოუფიქრებელ, გაუაზრებელს უარყოფას მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ სარდაფიდან აგვიყვანეს მეორე სართულზე 60-70 კვ. მ. ფართობიან, სვეტებიან ოთახში, ოთახი ფასადით გამოდიოდა ქუჩისკენ, ჩრდილოეთის მხარეს, რომელსაც საწინააღმდეგო მხრიდან გა-

46 нет нет нет – არა, არა, არა

47 какого года рождения – რომელ წელს დაიბადეთ

სდევდა ოთახის მთელ სიგრძეზე აივანი, რომელიც დასავლეთის მხრიდან გასდევდა კუთხურად ჩამწკვრივებულ კამერებს, ასე რომ მთლიანობაში ეს აივანი ქმნიდა სწორ კუთხეს გვერდებით მიმართულს ეზოსკენ. იატაკი ხისა იყო. მოვთავსდით კედლებისა და სვეტების გასწვრივ. მე ერთ-ერთ სვეტთან დავიდე ბინა, რამაც თავბედი მაწყევლინა, სვეტი ბაღლინჯოების ბუდე აღმოჩნდა. ჩემს გვერდით მარჯვნივ მწოლიარეს კი ტანისამოსზე მკბენარები დასდიოდა. ადგილი სხვაგან დასაწოლი არ იყო. ასე რომ აუტანელ პირობებში ჩავვარდი. მთელს დღეს აივანზე ვატარებდით დაღამებამდე. აი, ეპისკოპოსი ეფრემი, ხელში კ. კეკელიძის წიგნით „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, გადაკეცილი უჭირავს, ჩაიცქირება წიგნში, ნელა გადი-გამოდის გრძელ აივანზე ოლიმპიური სიმშვიდით, ვუყურებ მას და ვფიქრობ: „შენ შენსას არ იშლი ეფრემ შენი პოზირებით, სადაც პოზირებაა იქ გრძნობაც ნაკლებია, ნუთუ არ გაშფოთებს გიგლას ტრაგიკული ბედი? მოწაფეობის დროს ჩვენსას ხშირად ხვდებოდით ერთმანეთს“. აივნის დასაწყისში თავი მოუყრია ახალგაზრდობას საგარეჯოელი გიგა მჭდლიშვილის მეთაურობით, ლაზღანდარობენ. შორიახლოს ვდგევარ. ერთბაშად გიგა მჭდლიშვილი გამოეყო თავის ჯგუფს, მომიახლოვდა და მეუბნება – „იცი, რას გეტყვი, ვასილი დახვრეტილია“ – ვასილი მისი უფროსი ძმა იყო, მეჩექმე, საგარეჯოში პატარა სახელოსნო ჰქონდა – „შენ საიდან იცი“ – ვეკითხები, ფანჯრიდან ქუჩაში და დავინახე, შავებში იყო ჩაცმული. მითხრა ეს და შეუერთდა თავის ჯგუფს და განაგრძო ლაზღანდარობა. „ვინ რა იცის“ – გამახსენდა აკაკის სიტყვები. შევნიშნე რეზო გედევანიშვილი აივნის მოაჯირზე დაყრდნობილი, ეზოში ჩაიცქირება. შევნიშნე მღვდელი ფარესიშვილი, „სიგნალის მიმცემი“ თავის ძველ პოზაში, აივანზე გამომავალი ფანჯრის გისოსებში ხელებგაყრილი, ფანჯრის ვიწრო შვერილზე მუხლებშეკეცილი, შუბლით გისოსებზე მიდებული, მსხვილი ხელებით ნახევრად გისოსებზე დაკიდული, თავჩაქინდრული, არავისთან მოლაპარაკე, მიკვირდა როგორ უძლებს ხელები ამდენ დატვირთვას-მეთქი.

„მიტუშ, რასა იქ, როგორა ხარ“ – ჩასძახის ქვევით ეზოში რეზო გედევანიშვილი. გადავიხედე ეზოში, ჩვენკენ მომავალ ახალგაზრდობას გამოეყო ტანმორჩილი, სანდომიანი სახის ერთი ახალგაზრდა, ეუბნება მიტუშა რეზო გედევანიშვილს – უწიგნურობის სალიკვიდაციო წრეში ვარ ჩაწერილიო, ეხლა მორიგე მეცადინეობაზე მივდივართო; მიტუშას განუზრახავს ჭურიდან ამოსვლა, გადაუწყვეტია უფრო ფართო ჰორიზონტისათვის თვალის მოვლება. ამბობენ: არაფერი უკვალოდ არ ქრება ამ ქვეყანაზე და კიდევ: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ ჰკარგავსო. მიტუშას ამბავი ჩეკადან გამოსვლის შემდეგ გავიგე მამამისისგან. ამიტომ უკანა რიცხვით ვამბობ მიტუშას მისამართით: „გზა დაგელოცოს, მიტუშ! დაე, ჩეკაში შენ მიერ ნახული, განცდილი, გაგონილი, შენ წინ გავლილი, დასახვრეტად მიმავლათა სახეები მანათობელ შუქურად იყოს შენი მომავალი ცხოვრების გზაზე!

შენ ერთი და სხვა მრავალი!“

ციხის ეზოში ჩავედი. შუა ეზოში იდგა დაპატიმრებულთა ჯგუფი, მათ შორის იყო ოფთალმოლოგი, პროფესორი ვახტანგ მუსხელიშვილი, ხელებუკანდაწყობილი, წელში გამართული. მათ გვერდით გავლისას სვლა ოდნავ შევაჩერე (შევანელე). მუსხელიშვილი ჯანმრთლობას უჩიოდა, შეუძლოდ ვგრძნობ თავსო. ერთერთმა ურჩია ციხის ექიმ ფარადაშვილთან დაწოლილიყო. დაისვენებთ, იმკურნალებთ კიდეცო – მამა უცხონდა ფარადაშვილს, რომ მე იმას არ დავუწვეო, ამაყად უპასუხა მუსხელიშვილმა. გზა განვაგრძე, ჯგუფს გავშორდი.

ვანიკო ფარადაშვილი ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი იყო, ჩუმი, უპრეტენზიო, წყნარი ხასიათისა. უმაღლესი ცოდნის მისაღებად საქართველოდან გაემგზავრა რუსეთში ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს, ჯერ დაასრულა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, შემდეგ საექიმო (სამედიცინო). იყო მეტად განათლებული, კულტურული ადამიანი. საქართველოში დაბრუნდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. დაბრუნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოვლით; გზაში ალაგ-ალაგ ჩერდებოდა ქვეყნის საფუძვლიანი გაცნობის მიზნით და საფუძვლიან

ცოდნასაც ამჟღავნებდა ამ ქვეყნების ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან. იყო დიდი მოყვარული მუსიკისა და ფერწერული ხელოვნებისა, იყო მგზნებარე პატრიოტი თავისი ქვეყნისა, საფუძვლიანად ფლობდა საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას, ილია ჭავჭავაძეს ეთაყვანებოდა, როგორც დიდ მწერალს და როგორც ქართველი ერის დიდ მოამაგეს; იყო დიდი თანამგრძნობი იმ არალეგალური მოძრაობისა, რომელიც მაშინ საქართველოში სუფევდა. განა ეს ცოტაა, შენ გვერდით იყოს შენი თანამგრძნობი, შენი იდეების გამზიარებელი, შენი ჯანმრთელობის დაცვის უფროსად ანდა ხელმძღვანელად. დედას მხოლოდ ერთხელ მისცეს ნება გიგლას ნახვის. ნახვის შემდეგ დედა გაბრწყინებული სახით დაბრუნდა. „ვენაცვალე გიგლას – ამბობდა დედა – რა კარგად გამოიყურება, როგორი ჯანმრთელი შეხედულება აქვს, ასეთი არასდროს ყოფილა, რა კარგად მოუვლია მისთვის ვანიკოს“. ყველა დაპატიმრებულის მშობელი ვანიკო ფარადაშვილის მზესა ლოცულობდა. განა ეს ცოტაა, რომ იქონიო იმის იმედი, რომ ურჩხულთა გარემოცვაში შენი ჯანმრთელობის დაცვის საქმე საიმედო ხელშია; იქონიო იმედი იმისა, რომ საჭიროების მომენტში შენ შვილს აღმოუჩნდება სასწრაფო კვალიფიციური საექიმო დახმარება. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ეპიზოდი ჩეხოვის ბიოგრაფიიდან. ჩეხოვთან მივიდა მისი ძმა, და გულისტკივილით შესჩივლა მას, რომ არავითარი ტალანტი არა აქვს, ზედმეტია ამ ცხოვრებაში. „პატიოსანი ადამიანი ხარ, შეგიძლია, თვალი გაუსწორო ყველას დაურცხვენლად? – რასაკვირველია – განა ეს ცოტაა“ – ეუბნებოდა ა. ჩეხოვი. ფარადაშვილს ხომ გაცილებით მეტი საბუთი ჰქონდა ეპასუხა ყველასთვის! განა ეს ცოტაა, რაცა ვარ, ან რასაც ვაკეთებ, რომ პატივცემული და დაფასებული ვიყო ჯეროვნად ყველასგან? ფარადაშვილი უფრო მეტი იყო, ვიდრე იგი პირველი შეხედვით გეჩვენებოდათ. იგი უშიშარი მოქალაქე იყო, უშიშარი ქომაგი ტუსაღისა, თუ კი ამის შესაძლებლობა ან საჭიროება შეიქმნებოდა. ამის ორიოდე მაგალითი ვიცი მისგან ნაამბობი. ერთხანობას მობილიზებული იყვნენ მუშები ჩეკაში სამუშაოდ.

ამათგან ერთ-ერთს ციხეში შეეტანა გარედან პოლიტიკური ტუსაღისათვის წერილი. ეს ფაქტი გამომჟღავნდა. იმ მუშის დაპატიმრება გარდაუვალი იყო. ფარადაშვილს ციხის ადმინისტრაციისათვის მიეცა წინადადება ამ ფაქტს ნუ გაამჟღავნებთ და ჩეკას ნუ აცნობებო, წერილის შინაარსის მიხედვით ეს ფაქტი სერიოზულ დარღვევად არ უნდა მივიჩნიოთო. ციხის ადმინისტრაციას მაინც შეეტყობინებინა ეს ჩეკასთვის. ჩეკას ფარადაშვილისათვის მოეთხოვა წერილობითი ახსნა-განმარტება. როგორ დასრულდა ეს საქმე აღარ მახსოვს. ვიცი მხოლოდ, რომ ფარადაშვილი არ მოუხსნიათ სამსახურიდან. რა ბედი ეწია იმ მუშას არ ვიცი. მეორე შემთხვევა: დაპატიმრებული იყო ერთი რუსი ქალი, გვარად ივანოვა, რა ბრალდებით არ ვიცი. „Доктор меня расстреляют?“[48] – ხშირად ეტყოდა ხოლმე ეს ქალი მას; ვამშვიდებდი, ვაწყნარებდი, როგორც შემეძლო, მიყვებოდა ფარადაშვილი. გავიდოდა მცირე ხანი და ისევ მოვიდოდა ის ქალი ფარადაშვილთან, სასომიხდილი, აფორიაქებული, იმავე სიტყვებით. ფარადაშვილი მისთვის სულიერ საყრდენად იქნა ქცეული.

1922 წელს ჯალათმა ობოლაძემ გურიაში ტერორი გაამეფა, რის გამოც იგი მოკლეს. საპასუხო ღონისძიების სახით ჩეკამ დახვრიტა თბილისში 93 კაცი. დახვრეტილების გვარები გაზეთში იყო გამოცხადებული. ამ განცხადებას ბოლოში ეწერა არალეგალური პარტიების მისამართით, რომ პოლიტიკურ დაპატიმრებულებს ჩეკა აცხადებს მძევლებად და მსგავს შემთხვევაში, ერთი კაცის მოკვლისათვის დაიხვრიტება 100 კაცი. ამ 93 დახვრეტილების რიცხვში დასახელებული იყო ის რუსი ქალი ივანოვაც, რომელსაც ნუგეშს სცემდა, აწყნარებდა ამ სასომიხდილი ქალის სულიერ საყრდენად ქცეული ექიმი ფარადაშვილი.

ერთხელ კიდევ მომიხდა ვახტანგ მუსხელიშვილთან შეხვედრა. ჩემ უმცროს ძმას, შოთას თვალები ასტკივდა. წავიდა მუსხელიშვილთან სამკურნალოდ. მეც თან გავყევი. შევედით მოსაცდელ ოთახში. მიღების დაწყებისას გამოვიდა მუსხელიშვილის ცოლის და და ხმამაღლა, ყველას გასაგონად სთქვა: „Имейте

48 Доктор меня расстреляют? – ექიმო, დამხვრეტენ?

ввиду, что профессор с пациентов берет 10 рублей, 10 рублей[49]“ – გაიმეორა განცალკევებით. „Вы студенти[50]“ – ეხლა ჩვენ მოგვიბრუნდა. თავი დავხარეთ – „Да, В таком случае знайте, что профессор со студентов деньги не берет, прошу, не стесняться, заходите и прямо скажите, что вы студенты. он с вас денег не возмет.“[51]

კაბინეტში შესვლისას ძმას მყისვე მიმართა მუსხელიშვილმა: „აა, მოხვედი, გეგონა გამექცეოდი და ფული შეგრჩებოდა, გეგონა აღარ დაგჭირდებოდი; დაიცა ვნახოთ რამდენია შენზე“ – აიღო ერთ-ერთი დავთარი და დაიწყო ფურცვლა...

ანალოგიური შემთხვევა პირადად მე მქონდა; ვმკურნალობდი კბილის ექიმ ცხომელიძესთან, კალოუბნის ქუჩაზე. მკურნალობის დამთავრებისას მივმართე მას: „რამდენი მოგართვათ? – სტუდენტი ხარ? – მკითხა – დიახ – წადი იგულავე“.

მუსხელიშვილი უეცრად გარდაიცვალა სახლში. როგორც ამბობდნენ, მას ოთახის ძაღლი ქუჩაში გაქცეოდა; იმის შიშით, რომ გამვლელები არ დაეგლიჯა, გამოჰკიდებოდა ძაღლს, დაეჭირა, მიეყვანა სახლში, მაგრამ იქვე დაცემულიყო უსულოდ.

რადგან ჩვენთვის, შინაურებისათვის საგულისხმოა გიგლას შესახებ თითოეული წვრილმანი, მოვიყვან ვ. ფარადაშვილის ნაამბობს გიგლასთან მეტეხის ციხეში მისი პირველი შეხვედრის შესახებ – „ვშინჯავდი ეხლად მოყვანილ ტუსაღებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად. ტუსაღთა შორის იდგა ერთი, თავისი ჯერის მოლოდინში და მიღიმოდა. ვერ ვიცანი, ვიფიქრე, ალბად ძველი ტუსაღია, ხელმეორედ დაპატიმრებული და შევეკითხე – თქვენ წინათაც იყავით დაპატიმრებული?“ მომიახლოვდა და გიგლა კი შემრჩა ხელთ.

---

49 Имейте ввиду,что профессор с пациентов берет 10 рублей, 10 рублей – გაითვალისწინეთ, რომ პროფესორი პაციენტებისგან გასამრჯელოდ იღებს 10 მანეთს, 10 მანეთს

50 Вы студенти? – სტუდენტები ხართ?

51 Да В таком случае знайте, что профессор со студентов деньги не берет, прошу, не стесняться, заходите и прямо скажите, что вы студенты. он с вас денег не возмет – ამ შემთხვევაში იცოდეთ, რომ პროფესორი სტუდენტებისაგან გასამრჯელოს არ იღებს, გთხოვთ, არ მოგერიდოთ, შესვლისთანავე უთხარით, რომ სტუდენტები ხართ. ის თქვენგან ფულს არ აიღებს

10 ოქტომბერს ციხიდან გადამიყვანეს ა/კ ჩეკაში. ჩემთან გადმოიყვანეს მოწაფეთა კომიტეტის წევრი დიმიტრი (მიტო) მჭედლიშვილი (პოეტ იოსებ მჭედლიშვილის ძმა). ჩეკაში დამხვდა ჩემ მიერ უკვე ხსენებული მიშა საყვარელიძე. შეხვედრა მეტად გულთბილი იყო, გამოთხოვება (იგი გაანთავისუფლეს ჩემი მიყვანის დღეს) უფრო გულთბილი. ხანგრძლივად მეთხოვებოდა, მისურვებდა მალე განთავისუფლებას, სახლში მშვიდობით დაბრუნებას. ჩეკაში დიდი ხანი არ მომიხდა ყოფნა, გამანთავისუფლეს 15 ოქტომბერს. ვიყავი დაკითხული გამომძიებელ პოღოსოვის მიერ ერთხელ. კამერაში უკან აღარ დამაბრუნა. სარდაფში ჩაგაგდებ, ვნახოთ მაშინ როგორ ალაპარაკდებიო, მითხრა. წამოსვლისას ვთხოვე კამერაში უკან მიმიყვანეთ ბარგის წამოსაღებად მეთქი. შენი მისვლა იქ საჭირო არ არის, ჩვენ მოგიტანთო. მეგონა სარდაფში მივყავდით, ერთეულში კი მომათავსეს. იქ მოხუცი 60-ოდე წლის აზერბაიჯანელი დამხვდა. მივესალმე, მოხუცი ატირდა, „три месяца здесь, три месяца“[52] მეუბნებოდა ტირილით. სამი თვე? როგორ გასძლო ამ საცოდავმა – გამიელვა თავში. კამერაში მეუბნებოდნენ: ერთეული ძნელი ასატანია, კაცი შეიძლება სიგიჟემდე მივიდესო. მოხუცმა რუსული ძალიან ცუდად იცოდა, ცალკეულ წინადადებებს გაჭირვებით ამბობდა, არავითარი სანოვაგე არ აღმოაჩნდა. კუჭი მოშლილი ჰქონდა. წამდაუწუმ იშორებდა. ჩემთან მოშორება იუკადრისა. ცრემლად იფრქვეოდა, თან მეუბნებოდა: „сын, сын, стыдно сын“[53], თან ხელით თავის ჭაღარა წვერზე მანიშნებდა. გაუპარსავი იყო, მთლად შებურდნული. მალე გამიძახეს. გამძახებელი გიგო იყო (გვარი არ ვიცი), ტუსაღებისათვის გადაცემების მიმღები, რომელსაც ტუსაღების მშობლები ემადლიერებოდნენ გულისხმიერებისათვის; რას წარმოადგენდა იგი სინამდვილეში, რასაკვირველია, არ ვიცი. იგი ნანახი მყავდა გიგლას ჩეკაში ყოფნის დროიდან, გიგლას ციხეში გადაყვანამდე, პირველ შეხედვისთანავე ვიცანი. „რამდენი ხანი ზიხარ აქ!“ პირველი შეკითხვა მისი ჩემდამი იყო ეს; ვიგულისხმე

52 три месяца здесь, три месяца – სამი თვეა აქ ვარ, სამი თვეა

53 Сын, сын, стыдно сын – შვილო, შვილო, მრცხვენია შვილო

რა, რომ მეკითხება ჩემი ჩეკაში ტუსაღად ყოფნის ხანგრძლივობას, ვუპასუხე: „თვენახევარი – უჰ“ შესძახა გიგომ. ამ შეძახილიდან მივხვდი, რომ მეკითხებოდა ერთეულში ყოფნის ხანგრძლივობას, თორემ რა იყო საოცარი თვენახევარი ჩეკაში ყოფნა, მაგრამ აღარაფერი ვუთხარი. გამოთხოვებისას ვუსურვე იმ საცოდავ, უმწეო აზერბაიჯანელს ჩეკადან მალე განთავისუფლება, ოჯახში მშვიდობით დაბრუნება, ყოველი კეთილი მისთვის და მისი ოჯახისათვის. ამას ვეუბნებოდი გულმხურვალედ; გაიგო თუ არა ჩემი სიტყვები, რომლებიც რუსულად იყო ნათქვამი, არ ვიცი, მაგრამ გულის სითბო კი უნდა ეგრძნო; მისმენდა და თან ცრემლები სდიოდა თვალთაგან... ასე დავტოვე იგი მტირალი... გაძახებისას, ვიფიქრე, სარდაფში მივყევარ მეთქი, როგორც ამას გამომძიებელი პოღოსოვი დამემუქრა, კომენდატურაში კი მიმიყვანა, აღმოჩნდა თურმე მანთავისუფლებდნენ. კომენდატურაში დამხვდა უკვე იქ მიყვანილი დიმიტრი (მიტო) მჭედლიშვილი, მასაც ანთავისუფლებდნენ, კომენდატურიდან გამოსვლისას მიტო მჭედლიშვილმა მითხრა: „მე შენ დახვრეტილი მეგონე – რატომ? – შევეკითხე – ჯერ ერთი, შენი ლოგინი ჩეკისტმა გაიტანა, ეს ამის მაუწყებელი იყო, და მეორეც, გამომძიებელს შევეკითხე, როცა დასაკითხად გამიძახა, მანაც დაადასტურა შენი დახვრეტა“.

(აქ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: 1937 წელს დააპატიმრეს მავნებლობის ბრალდებით ზოოტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი (ი. გარსიაშვილი, ნ. ჯაფარიძე, სანაძე, ყიფიანი, მ. მჭდლიშვილი, ტიმოფეევი) ინსტიტუტის დირექტორის დადიანის მეთაურობით. ამ ჯგუფიდან ყველა დახვრიტეს ტიმოფეევისა და მ. მჭედლიშვილის გარდა, რომელნიც გადასახლებულნი იყვნენ. იმ დროს დარხეული ხმების თანახმად ამ ჯგუფის გამცემი მიტო მჭდლიშვილი იყო და მაშინ გამახსენდა ჩვენი ჩეკაში ყოფნის, დაკითხვის და განთავისუფლების ამბავი, და ვიფიქრე, თუ ეს ხმები სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ მიტო მჭედლიშვილის ჩეკას აგენტად გადაბირება, უეჭველია, ამ მომენტს მიეკუთვნება და ჩემი წარმოსახვითი დახვრეტის ამბავი მოწყობილი იყო ჩეკას მიერ განზრახ, ამ მიზნით მიტო მჭედლისვილისათვის შიშის

ზარის დასაცემად, რომ იგი ადვილად დამყოლი გამხდარიყო. ხაზგასასმელია აგრეთვე ერთი გარემოებაც, მ. მჭდლიშვილის თქმით, გამომძიებელმა პოღოსოვმა დაკითხვის დროს ერთხელ სილაც გაარტყა მას. რასაკვირველია, ეს ჩემი მოსაზრება და ვარაუდი არავის გავუმხილე, რადგან თვით მ. მჭედლიშვილის გამცემლობა შესამოწმებელი და სავარაუდო იყო და არის).[54]

„29-30 აგვისტოს ღამით, სანაპირო ქუჩის სახლების სადარბაზო შესასვლელებში ვიყავით დამალულები სიგნალის მოლოდინში, გვეცვა შავი ხალათები, რადგან სიგნალი არ იყო მოცემული, განთიადისას დავიშალენით“ – მიამბობდა ირაკლი რცხილაძე. მე შენ არ შეგატყობინე, რადგან იასონ ჯავახიშვილმა მითხრა გიგლა დიდ განსაცდელშია, მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, არჩილსაც ნუ ჩააგდებთ საფრთხეში, ნუ შეატყობინებთ მას, მისი აჯანყებაში მონაწილეობის მიუღებლობა ხომ არავითარ გავლენას არ იქონიებს აჯანყების მსვლელობაზეო (თურმე გიგლას ციხიდან შემოეთვალა იასონ ჯავახიშვილისათვის: „არჩილს გაუფრთხილდიო, პირველ ღამეს ნუ მიაღებინებთ მონაწილეობას, ცუდუბრალოდ ნუ დაღუპავთ მას“. გიგლამ ციხიდან დახმარების ხელი გამომიწოდა, ჩემს უსაფრთხოებაზე იფიქრა, ჩვენ კი გარეთ, თავისუფლად მყოფებმა, რომლებსაც გაცილებით მეტი შესაძლებლობა გვქონდა საამისოდ, ვერაფერი ვიღონეთ მის გადასარჩენად. შეგვეძლო კი! ამას ადასტურებს ზემოთ, ჩემ მიერ მოყოლილი ამბავი პოლუმორდინოვის შესახებ)[55]. ჩვენ ხომ კატუშა ურთხმელიძე გვაფრთხილებდა და თუ გამოცდილი არა ხარ, ხომ უნდა მხედველობაში მიიღო უფრო გამოცდილი პირის რჩევა, თუ უნიათი ხარ, ხომ ყურად უნდა იღო უფრო გამჭრიახი პირის რჩევა, აქ უფრო დაუდევრობას აქვს ადგილი და განა დაუდევრობა დასაშვებია, როცა ახლობელი პირი დიდ საფრთხეშია? გიგლა რომ გარეთ ყოფილიყო და ერთ-ერთი ჩვენგანი გიგლას მდგომარეობაში განა მოხდებოდა ეს? არასოდეს. სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწორო და ითქვას ის, რაც სათქმელია. ჩვენ არ უნდა მიგვეცა

54 შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმული ამბავი არჩილს წაშლილი აქვს

55 შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმული არჩილს წაშლილი აქვს

საშუალება მტრისათვის მოესპო გიგლას სიცოცხლე, მივეცით კი. ეს ჩვენი უდიდესი დანაშაულია გიგლას წინაშე, უდიდესი და აკი მოგვეზღო კიდეც სამაგიერო! ხალხმა მოგვიზღო! ფორდი თავის წიგნში "Моя жизнь мое достижение"[56] (რუსული გამოცემა) წერს: „люди нередко жалуются на не благодарность тех, кому они помогли. нет нечего естественее ...никому не нравится быть вынужденным получать мылостыню, берущши излишки чувствует себя униженным подачкой[57]" ამას მე დავუმატებდი: ბევრს არ მოსწონს იყოს ვინმე მასზე უპირატესი, ეს იწვევს მათ ფარულ შურს, გაბოროტებას. და ეს გაბოროტება ბევრმა ჩვენზე გადმოანთხია გიგლას დახვრეტის შემდეგ; ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ჩვენს უნიათობაზე, გაუთავებლივ გვლანძღავენ კიდეც; ეს უფრო ზეიმს ჰგავს გიგლას დახვრეტით გამოწვეულს. მაგრამ ყველაზე ეს რასაკვირველია არ ითქმის. ძალიან ბევრნი იყვნენ ისეთებიც, რომელთაც გიგლას დახვრეტა გულთან ახლოს მიიტანეს და დიდად განიცადეს, და აი, ერთი ასეთი მაგალითი: უმაღლეს სასამართლოში ირჩევა ჩვენი საკასაციო საჩივარი, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ჩვენი საწინააღმდეგოა. უმაღლეს სასამართლოს კოლეგიის თავჯდომარეა თამარ ცაგურია, პოეტ დიმიტრი ხოშტარიას (დუტუ მეგრელის) და მწერალ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ქალიშვილი, გიგლას ახლო მეგობარი. იმ დღეს ერთ-ერთი მსაჯულის ავადმყოფობის გამო მას ცვლიდა უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარის მოადგილე ხმალაძე, რომელიც თავმჯდომარეობდა სასამართლოს სხდომას. ჩვენი საკასაციო საჩივარი, ფორმალურად, კანონიერ საფუძველს იყო მოკლებული, ჩვენც ამას ვაღიარებდით. ჩვენი საკასაციო საჩივარი ემყარებოდა შემდეგ გარემოებას: ჩვენი მომჩივანის მიერ ჩვენ წინააღმდეგ აღძრული იყო ორი საქმე – პირველი საქმე სახალხო სასამართლომ მომჩი-

56 Моя жизнь мое достижение – ჩემი ცხოვრება ჩემი მიღწევები

57 люди нередко жалуются на не благодарность, тех кому они помогли. нет нечего естественее ...никому не нравится быть вынужденным получать мылостыню берущши излишки чувствует себя униженным подачкой- ადამიანები არც თუ იშვიათად საყვედურობენ უმადურობას მათ, ვისაც ისინი დაეხმარნენ. არაფერია ამაზე ბუნებრივი... არავის მოსწონს იყვეს იძულებული მიიღოს მოწყალება, მიმღები დამცირებულად გრძნობს თავს

ვანის სასაგებლოდ გააუქმა და საქმე წარმოებიდან მოსპო. ამიტომ, ჩვენ მოსამართლეს, მეორე საქმის გარჩევამდე, აცილება მივეცით იმ მოსაზრებით, რომ მეორე საქმის გარჩევისასაც ჩვენ მიმართ არ იქნებოდა მიუდგომელი. ჩვენმა ვექილმა ჩვენი აცილება იმით დაასაბუთა, რომ რახან საჩივარი უმაღლეს სასამართლომდე მივიდა ამით არაფერი დაშავდება, რომ დავაკმაყოფილოთ ჩემი მარწმუნებლების თხოვნა და საქმის გარჩევა სხვა სასამართლოს შემადგენლობას დაავალონო. როცა უმაღლესი სასამართლოს წევრები სათათბირო ოთახში გავიდნენ თამარ ცაგურიამ თავი გამოიდო და ხმამაღლა დავა დაუწყო უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ხმალაძეს. თ. ცაგურია იმდენად აღელვებულად ლაპარაკობდა, რომ იმისი ხმა სათათბირო ოთახიდან დარბაზში ისმოდა; მან ამით თავისი რეპუტაცია მიუდგომელი მოსამართლისა საფრთხეში ჩააგდო და მაინც მიაღწია ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მისთვის არაფერი არ გვითხოვია. ახლო ნაცნობობა მასთან არ გვქონია, სალმითაც კი არ ვესალმებოდით ერთმანეთს, ცნობით კი ერთმანეთს ვიცნობდით. ჩვენი საქმე ორჯერ გაირჩა უმაღლეს სასამართლოში, და მეორე გარჩევისას თ. ცაგურია ცეკაში იყო გამოძახებული და მის მაგიერ კოლეგიას თავჯდომარეობდა მამალაძე. საქმე წაგებულად მიგვაჩნდა. ცაგურიას კი ცეკაში წასვლისას ამბავი დაეტოვებინა ჩვენ შესახებ მამალაძისათვის, რომელმაც სხდომის დაწყებისას ჰკითხა მეორე მსაჯულს: ეს ის საქმეაო? საქმე მოვიგეთ. ასე რომ თ. ცაგურიამ უგიგლაობა არ გვაგრძნობინა. ასე სცა მან პატივი გიგლას ნათელ ხსოვნას და ამნაირად გამოავლინა გიგლას და-ძმების პატივისცემაც.

1925 წლის ზაფხულში მოხდა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თვითდაშლა; გამოქვეყნებული იყო შესაფერი განცხადება, სადაც ლანძღვა-გინებით იყო მოხსენებული პარტიის წარსული არალეგალური საქმიანობა, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ, ჩეკას მიერ შედგენილი. ხელს აწერდა საინიციატივო ჯგუფი: ირაკლი რცხილაძე, გიორგი ტარასაშვილი, ლეო ახალშენიშვილი, მიშა კასრაძე, ირაკლი კიკნაძე...

საინიციატივო ჯგუფში კიდევ ვინ იყვნენ აღარ მახსოვს. ფაქტობრივად ამ ლიკვიდაციის განმხორციელებელი ირაკლი რცხილაძე იყო. მას ამ უღირს საქმეში ეხმარებოდა ლეო ახალშენიშვილი. განმხორციელებელს რომ ვამბობ, ვგულისხმობ საქმის ორგანიზაციულ მხარეს (ხალხის დაყოლიებას, მათ ჩეკაში მიყვანას და სხვ.) თუმცა ლიკვიდაციის იდეურად განმხორციელებელი სხვა იყო. სპეციალურად ამ მიზნით ჩეკას მიერ გამოძახებული იყო შუა აზიაში აჯანყებამდე გადასახლებული ნიკოლოზ (კოლია) დგებუაძე, რომელმაც მითხრა, როდესაც თბილისში გამომაგზავნეს, დარწმუნებული ვიყავი, რომ თბილისში დასახვრეტად მივყავდით, ნამდვილად კი სალიკვიდაციო კონფერენციის ხელმძღვანელობა დამავალესო. ირაკლი რცხილაძე ამის უნარს, თუ სურვილს არ ამჟღავნებდა. ასეთ შემთხვევაში ამის შესრულებას სხვას ავალებდა, არალეგალური საქმიანობის დროსაც, მის ზურგს უკან ამოფარებული იყო ნიკო კეცხოველიც, რომელიც როგორც ჩემთვის ი. რცხილაძის ნაამბობიდან ირკვევა, ხალხის დამყოლის, მობილიზების როლს ასრულებდა. როგორ მოხვდნენ ჩეკაში ი. რცხილაძე და ნ. კეცხოველი ერთად? ი. რცხილაძის ნაამბობიდან ვიცი, რომ ჩეკას გამომძიებელ ზუბოვს უთქვამს მისთვის (მათთვის):"передайте Кецховели, что вся молодость расстрелянная в августовские дни завербована им, вся ответственность за их расстрел падает на него, пусть придет и примет участие в ликвидации этой работы"[58]; რცხილძის თქმით, ამ სიტყვების გადაცემის შემდეგ იგი მაშინვე გამოცხადდა ჩეკაშიო. აქვე მოვიყვან ზუბოვის კაბინეტში ნ. დგებუაძისა და ნ. კეცხოველის შეხვედრის მომენტს, ი. რცხილაძის გადმოცემის მიხედვით, ერთმანეთის დანახვისას ისინი გადაეხვივნენ ერთმანეთს. ზუბოვმა მათ ზურგი შეაქცია. დამიხედეთ ჯალათისა, მექრთამისა და ადამიანის სიცოცხლით მოვაჭრის გულჩვილობას! ჩეკაში სალიკვიდაციო ჯგუფი მიეყვანა სეით

58 передайте Кецховели,что вся молодость расстрелянная в августовские дни завербована им, вся ответственность за их расстрел падает на него, пусть придет и примет участие в ликвидации этой работы – გადაეცით კეცხოველს, რომ აგვისტოში დახვრეტილი ახალგაზრდობა მის მიერ იყო გადაბირებული, მათ დახვრეტაზე მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრება, მოვიდეს და მიიღოს მონაწილეობა ამ სამუშაოს ლიკვიდაციაში

დევდარიანს; მას მიყვანისას ეთქვა: „Вот я Вам привел самых ярых противников Советской власти“[59]

იმ ხანებში არალეგალური მუშაობისათვის დაპატიმრებული იყო გოგი კახაბერი (მისი მამა მღვდლად იყო სოფ. მარტყოფში, აჯანყების დროს დააპატიმრეს და დახვრიტეს), რომელიც მტკიცედ უარყოფდა თურმე ბრალდებას. იგი შეახვედრა ზუბოვმა თავის კაბინეტში საინიციატივო ჯგუფს და ნიკო კეცხოველს და წინადადება მისცა ხელი მოეწერა განცხადებისათვის: „მე ხელს არ მოვაწერ განცხადებას, – უთქვამს მას – რადგან არავითარი კავშირი არა მაქვს აჯანყებასთან და არალეგალურ მუშაობასთან, და ვინ არიან ესენი – მიუთითებია იქ მყოფებზე – მე მათ არ ვიცნობ“ – დაუწყვია ხელები უკან და დაუწყია ბოლთის ცემა კაბინეტში. „настоящий тип нелегальника“[60] უთქვამს ამ დროს ზუბოვს ირ. რცხილაძისათვის. ბოლოს ნ. კეცხოველს გოგი კახაბერისათვის წაუვლია კისერში ხელი, მიუყვანია მაგიდასთან, მიუცია ხელში კალამი და ძალით მოუწერინებია ხელი განცხადებისათვის, რომელშიც ლანძღვა-გინებით, ბანდიტებად მოხსენიებული იყვნენ დახვრეტილები, რომელთა რიცხვშიც იყო მამამისი, მარტყოფელი მღვდელი კახაბერი. ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ი. რცხილაძემ მითხრა, რცხილაძის თანდასწრებით ზუბოვს წინადადებით მიუმართავს ნ. კეცხოველისათვის და ნ. დგებუაძისათვის ხელი მოეწერათ განცხადებისათვის, რაზედაც ორივეს უარით უპასუხიათ, პირველს იმ მოტივით, რომ მან 1923 წელს უკვე მოაწერა ხელი ანალოგიურ განცხადებაზე (იმ დროს იგი ნაც.-დემოკრატიული პარტიის ე. წ. სალიკვიდაციო კონფერენციის მდივანიც იყო, ამ კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მწერალი მიხ. ჯავახიშვილი, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს), მეორეს იმ მოტივით, რომ აჯანყების დროს იგი საქართველოში არ ყოფილა და აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია, ზუბოვს არ დაუჟინია ამაზე. ნ. კეცხოველმა და ნ. დგებუაძემ, რომლებმაც ხელმძღვანელი და მთავარი როლი შეასრულეს ამ სალიკვიდაციო კონფერენციის

59 Вот я Вам привел самых ярых противников Советской власти – აი, მე მოგიყვანეთ საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე აშკარა მტრები

60 настоящий тип нелегальника – ტიპური არალეგალი

ჩატარებაში და პირნათლად შეასრულეს ჩეკას დავალება, ფართო საზოგადოებას დაუმალეს ეს თავისი უღირსი საქციელი. მე წაკითხული მაქვს საინიაციტივო ჯგუფის მიერ თავდაპირველად შედგენილი განცხადება, სადაც მსგავსი გამოთქმები არ იყო, და რომლითაც ისინი ალბათ გამოცხადნენ ჩეკაში. განცხადების შინაარსის შეცვლა უეჭველია, ჩეკას ინიციატივა და დაჟინება იყო. კიდევ ვინ ესწრებოდა ჩეკაში საინიაციტივო ჯგუფის გარდა განცხადების საბოლოო ტექსტის დადგენას და ვისი თანხმობით მოხდა ეს, ი. რცხილაძეს ჩემთვის არაფერი უთქვამს. არალეგალური მუშაობის დროს წესად არ გვქონდა რაიმე გვეკითხა ერთმანეთისათვის, რაც ამ მუშაობას ეხებოდა, თუ ამას საჭიროება არ მოითხოვდა; მე ამ წესს მტკიცედ ვიცავდი აჯანყების შემდეგაც, ასე რომ, რაც ვიცი, ან რაც მოხდა ჩემს დაუსწრებლად, ეს ყველაფერი ი. რცხილაძის ნათქვამია, ისე, რომ მე მას არაფერზე არ შევკითხებივარ. სალიკვიდაციო (საინიაციტივო) ჯგუფში იყო გ. ტარასაშვილიც. მას დიდად ემდუროდა ი. რცხილაძე. მოაწერა თუ არა ხელი განცხადებას და უზრუნველჰყო თავისი უსაფრთხოება, იგი გაქრა, წავიდა პრაქტიკაზე საველე სამუშაოებზე (სპეციალდებოდა ნიადაგმცოდნეობაში) და მთელი სამუშაოები დაკავშირებული სალიკვიდაციო კონფერენციასთან მე გადამაკისრაო. „უსვინდისო!“ ამბობდა ის. სალიკვიდაციო ჯგუფში შედიოდნენ აგრეთვე ლეო ახალშენიშვილი, მიშა კასრაძე, ირაკლი კიკნაძე; ესენი ფეხის ხმას აყოლილები იყვნენ, აჯანყების დღეებში, მიუხედავად გაფრთხილებისა იმის შესახებ, რომ თბილისში ყოფილიყვნენ, როგორც ფრთხილმა კურდღლებმა თავიანთ სოროებს მიაშურეს. როგორც პარტიული მუშაკები სრულ არარაობას წარმოადგენდნენ. მაგალითად ლეო ახალშენიშვილი, თავის სოფელ მეჯვრისხევში გაიქცა (წავიდა). თბილისში დაბრუნებისას კი მათ წარმოიდგინეს, რომ ისინი გაცემულები არიან და მათ დაპატიმრება მოელით. ის კი არ იფიქრეს, რომ გამცემს, რომ განეზრახა კიდეც მათი გაცემა სათქმელი არაფერი იყო, ისინი როგორც პარტიული არალეგალურნი მუშაკები სრულ არარაობას წარმოადგენდნენ (ნომინალურად ჩემ ათეულში ირიცხებოდნენ)

არავითარ დავალებას არ ასრულებდნენ, ასე ვთქვათ, ფეხის ხმას აყოლილები იყვნენ. აკი ზუბოვს ეთქვა მათთვის, როცა გაეგო მათი გვარები: „я вас совершенно не знал, вы напрасно явились ко мне“[61]). როგორ შეკოწიწდა ეს საინიაციტივო ჯგუფი, ან როგორ მონახეს ერთმანეთი მე არ ვიცი და არც დავინტერესებულვარ ამითი. ერთი კი ცხადია, რომ საშიშროების გავლის შემდეგ ესენი გმირულად დაღუპულთა გამკილავთა რიგებში ჩადგნენ. ლ. ახალშენიშვილი ხომ ნებაყოფლობით ირ. რცხილაძის მაჩანჩალა გახდა, სადაც ირ. რცხილაძე გაჩნდებოდა, იქ აუცილებლად ლ. ახალშენიშვილიც იყო, თითქოს რაიმე სასარგებლო საქმეს აკეთებდა. ბევრი ლანძღვა-გინება ხვდათ მათ წილად. მათი თქმით, ისინი ლანძღვით, გინებით გამოყარა კარებიდანვე კურცხალიამ, რომელთანაც ისინი მივიდნენ სალიკვიდაციო განცხადების გამოქვეყნებისთანავე, ზუბოვის სახელით. კურცხალიას თვალით ნანახი არ ჰყავდა ლ. ახალშენიშვილი, რომელიც მას ზუბოვით ემუქრებოდა, აკი მიეზღო კიდეც საკადრისი პასუხი?! სალიკვიდაციო განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა მცირე განცხადება ლევან გოთუას ხელმოწერით. ვერა და ვერ მოვიშორე ეს ხალხი, თუ არა ამ გზით (ხერხით), უთქვამს მას. ლ. გოთუას განცხადების შინაარსი არ მახსოვს, მგონი წაკითხულიც არა მაქვს. ზუბოვს მოეთხოვა განცხადებაზე მოწაფეთა კომიტეტის ხელმოწერაც, ამაზე მოწაფეთა დაყოლიება ვერ მოხერხებულა. საბოლოოდ მათ განეცხადებინათ: თუ არჩილ გარსიაშვილი ხელს მოაწერს განცხადებას, მხოლოდ ამ შემთხვევაში ხელს მოვაწერთ(!!). ეს შემდეგ გავიგე. ამით უნდა ავხსნათ ჩემთან ირ. რცხილაძის გამოჩენა, მანამდე მე მათგანი არც ერთი არ მეკარებოდა. დედაჩემის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც მე ირ. რცხილაძეს თანხმობა მივეცი ხელმოწერაზე, მან მითხრა, არ გავყოლოდი მას ხელმოსაწერად, იგი დარჩა გიგლას და მისი ამხანაგების ნათელი ხსოვნის ერთგული ბოლომდე. ჩეკაში მიყვანისას ქუჩაში

61 я вас совершенно не знал вы напрасно явились ко мне – მე თქვენ სრულებით არ გიცნობდით, თქვენ ტყუილად გამოცხადდით ჩემთან

დამხვდნენ მოწაფეთა კომიტეტის წევრები. ირ. რცხილაძე ახდენდა თურმე მათ წინაშე ჩემი ჩეკაში მიყვანის დემონსტრირებას ისე, რომ მე ეს არ ვიცოდი, დასამტკიცებლად იმისა, რომ მე ხელს ვაწერდი განცხადებას. ასე დაადგნენ ირ. რცხილაძე და მისი თანამდგომნი ამხანაგების გაცემის, მოტყუების გზას. ასეთი იყო მათი მოქმედების ლოგიკური დაბოლოება. სალიკვიდაციო კონფერენციის გამართვამდე ირ. რცხილაძემ შემოიღო მოხსენებების გაკეთება ჯგუფებში. ჯგუფებს თვითონ ადგენდა. ერთხელ მეც დამევალა მოხსენების გაკეთება ერთ-ერთ რომელიღაც ჯგუფში; რადგან მოხსენების შინაარსი შეუზღუდავი იყო, ყველას შეეძლო გაეშუქებინა პარტიის წარსული და მომავალი გეზი, როგორც სურდა. მე ხალისით მივიღე ეს დავალება (ჩემი მოხსენების შინაარსი დიამეტრალურად წინააღმდეგი იყო სალიკვიდაციო განცხადებისა, რომელიც გაზეთში იყო გამოქვეყნებული. თვითდაშლას არ შევეხე. საქართველოს სრული დამოუკიდებლობა პარტიის ძირითად მიზნად დავსახე შემდეგისთვისაც. ის სავსებით შეესაბამება თანამედროვე ისტორიულ პროცესს და ამიტომ სავსებით რეალური მიზანია, ვამბობდი მე. მე ვცდილობდი ეს ჩემი მოსაზრება დამესაბუთებინა ფაქტობრივი მასალით. ჩემი მოხსენების დასასრულს, ჯგუფი დაიშალა; ახალშენიშვილი მივარდა ირ. რცხილაძეს: „თქვენ მე გუშინ გამაპამპულეთ (თურმე წინა დღეს მისთვის წაუკითხებინებია მოხსენება რომელიღაც ჯგუფში), მოუმზადებელს წამაკითხეთ მოხსენება“ – ყვიროდა ის და ლანძღავდა ირ. რცხილაძეს (წარმომიდგა თუ რა იქნებოდა ლ. ახალშენიშვილის მოხსენება, რომელსაც ახალშენიშვილმა თავისი თავის გაპამპულება უწოდა, – თავაწყვეტილი ბოლშევიკური აგიტაციის მსგავსი, მით უმეტეს სალიკვიდაციო განცხადების შუქზე, რომელსაც უეჭველია, ახალშენიშვილი სანიმუშოდ გაიხდიდა),[62] მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესოა შემდეგი ფაქტი: ერთხელ, იმ დღეებში მოგვიყვა იქ მყოფთ ირ.რცხილაძე – „საჩქაროდ დავიბარე ნიკო კეცხოველი – მოვიდა მაშინვე – რაზე მიბარებდი – შემეკითხა. ხელი გავუშვირე იქვე მყოფ ჯგუფისკენ და ვუთხარი

62 შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმული არჩილს გადახაზული აქვს

– მოხსენება გაუკეთე – მუშტი მომიღერა, დამიქნია მუქარით, მივიდა ჯგუფთან და იწყო მოხსენების კეთება“, გვიყვებოდა ამას ირ. რცხილაძე და თან იცინოდა, ნეტა მაშინ იქ ვყოფილიყავი და საკუთარი ყურით მომესმინა, თუ რას ამბობდა ნიკო კეცხოველი – გამიელვა თავში. დანიშნული დღისათვის ირ. რცხილძემ დაუგზავნა ხალხს კონფერენციაზე მოსაწვევი ბარათები. ბარათის ტექსტში აშკარა მუქარაც იყო. უამისოდ კონფერენციაზე აბა ვინ გამოცხადდებოდა; ირ. რცხილაძეს ეს კარგად ესმოდა. გამოუცხადებლობის გამო კონფერენციის ჩაშლის შიშით სწერდა რცხილაძე ბარათის ბოლოში: გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მაშ თქვენ წინააღმდეგი ხართ პარტიის დასახული ახალი გეზისა. ეს უკანასკნელი წინადადება უფრო უახლოვდება იმ წინადადებას, რომელიც ტექსტში იყო. ბევრს შესთხოვდა რცხილაძე, ამ წინადადების მაგიერი წინადადების შედგენას, რომელიც მალე იქნებოდა შემოთავაზებული წინადადების მსგავსად, მაგრამ უფრო უკეთესი. რა იყო ეს უკეთესი ვერ ამბობდა. ცხადია, ვერავინ შეუსრულა მას ეს თხოვნა, ამიტომ რცხილაძემ ბარათში დასტოვა ისევ ძველი, თავის მიერ შედგენილი წინადადება.

თბილისის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა ორგანიზაციის სალიკვიდაციო კონფერენციის წინა დღეებში ირ. რცხილაძემ მითხრა: კოლია დგებუაძემ დამავალა შედგენა მოწოდების პროექტისა, რაც უნდა მიღებული იყოს კონფერენციაზე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის მისამართით (განზრახული იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის სალიკვიდაციო კონფერენციის გამართვაც) მე ეს დავავალე ელიზბარ ჩხიკვაძეს, რომლის იმედიც არა მაქვს, რომ შესძლებს ამას, მოდი შენ იკისრე ამის დაწერაო. მე ეს დავალება ხალისით მივიღე. ამ დროისათვის მე უკვე ნათლად მესახებოდა, თუ რა უნდა ყოფილიყო ჩვენი პარტიის სამოქმედო პროგრამა უახლოესი მომავლისათვის. მე ერთ-ერთ შეკრებაზე, კერძო ბინაზე ვუთხარი კიდეც კოლია დგებუაძეს: „განა არ შეიძლებოდა ჩვენი პარტიის სამოქმედო პროგრამის დადგენა ჩვენს გარეშე?“ მოკლედ მიპასუხა: „გა-

გვიგებდნენ“. რადგან კოლია დგებუაძეს უკვე დახვდა აქ სალიკვიდაციო ჯგუფი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული არა პარტიის არალეგალური საქმიანობის განგრძობა, არამედ პარტიის დაშლა და თავისი უსაფრთხოება, როგორც სამაგიერო საზღაური ჩეკას მხრივ, და თვით კოლია დგებუაძე გადასახლებიდან ჩამოყვანილი იყო ჩეკას მიერ თბილისში ხელმძღვანელად და გამაფორმებლად ამ პარტიის დაშლისა. მას არაფრის გაკეთება არ შეეძლო ამ მხრივ, ამიტომ მე მასთან ამ საგანზე აღარ განვაგრძე საუბარი. მეორე დღეს, მისვლისას გადავეცი მოწოდების პროექტი კოლია დგებუაძეს. მან მოიწონა იგი და თქვა: „კარგია, მხოლოდ აქ არის ზოგიერთი რამ, რასაც ხელისუფლება წაგვედავება. საჭიროა ცვლილებების შეტანა. იგი გამოდგება საფუძვლად მოწოდების საბოლოო ტექსტის დადგენისას“. ირ. რცხილაძე სიცილით ამბობდა: „ელიზბარ ჩხიკვაძე თავის მოწოდებას ასე იწყებდა: მამულიშვილნო! ჩემ მიერ შედგენილი მოწოდების პროექტში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობას დაახლოებით ამ სიტყვებით მივმართავდი – ჩვენი პარტიის ძირითად საკითხს ეროვნული საკითხი წარმოადგენდა. ჩვენი პარტია ზოგადი ეროვნული ინტერესების გამომხატველი და დამცველი იყო. ამ მხრივ იგი ზეკლასობრივ ინტერესებს იცავდა, იგი ზეკლასობრივი პარტია იყო. მოღერებულ მახვილზე ხელის აქნევა, ვწერდი მე, ბუნებრივია ცოცხალი არსებისათვის, ჩვენი პარტიის და ქართველი ერის ბრძოლა, როცა მის სუვერენობას შეეხენ, გასაგებია. ამ ბრძოლამ აგვისტოს აჯანყებამდე მიგვიყვანა. ეს აჯანყება კატასტროფულად დამთავრდა. ჩვენი პარტიის საბოლოო მიზანი იგივეა, რაც იყო – საქართველოს სრული დამოუკიდებლობა. ეს შეესაბამება თანამედროვე ისტორიულ პროცესს და ამიტომ იგი სავსებით რეალური მიზანია. ჩვენი პარტიის სამოქმედო სარბიელს დღევანდელ ვითარებაში სამეურნეო და კულტურული ასპარეზი წარმოადგენს, და მოუწოდებდი ბრძოლისაკენ სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე იერიშების მისატანად“. საბოლოოდ სალიკვიდაციო კონფერენციაზე მოწოდების მაგიერ რეზოლუციის მიღებით დაკმაყოფილდნენ. რეზოლუციის

შინაარსი არ ვიცი, რადგან არ წამიკითხავს, არც მომისმენია. კონფერენციაზე კომპარტიის ცეკას წარმომადგენლად ესწრებოდა გიორგი სტურუა. კონფერენციის რამდენიმე დღით ადრე ათმეთაურებს დაურიგეს მოწერილობები, სადაც ავალებდნენ მათ ათეულის წევრების მოყვანას ხელმოსაწერად. მეც მომცეს ასეთი მოწერილობა. მე მისი ჯიბეში ჩადებით დავკმაყოფილდი, არავითარი მსვლელობა არ მიმიცია. მეორე დღეს ჩემი ათეულის წევრები იქ დამხვდნენ; „ვინ მოგიყვანათ“? – შევეკითხე – ახალშენიშვილმა“ – მიპასუხეს. ახალშენიშვილს, დარწმუნებულს იმაში, რომ მე მოწერილობის მოთხოვნას არ შევასრულებდი, თვითონ ეზრუნა ამისათვის. იგი ჩემი ათეულის პასიური წევრი იყო. მინიმალური მოთხოვნაც კი, რაც არალეგალური ორგანიზაციის წევრს ეკისრებოდა, თავისი ამხანაგების ვინაობის საიდუმლოდ შენახვა, არ შეასრულა, მან გასცა ისინი. მთავარია აქ ისიც, რომ ეს მას არ ევალებოდა. რა იქნებოდა, რომ მას სცოდნოდა რამე არალეგალური მუშაობის შესახებ. კონფერენციაზე აირჩიეს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის სალიკვიდაციო კონფერენციის დელეგატები. მათ შორის მეც ვიყავი დასახელებული. საქართველოს ახალგაზრდობის სალიკვიდაციო კონფერენციის შესახებ თითქმის არფერი ვიცი, რადგან თბილისის სალიკვიდაციო კონფერენციის დამთავრების შემდეგ მე ირ. რცხილაძეს აღარ ვხვდებოდი, თუ შემთხვევით არ შევეყრებოდით ერთმანეთს. იგი ზუბოვის მიერ, მისი თხოვნით, მოწყობილი იყო სასპორტო ნივთების მაღაზიის გამყიდველ-გამგედ, მაშინ ეს მაღაზია მოთავსებული იყო დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ეხლა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობაა. თუ ვხვდებოდით უფრო აქ, ისიც იშვიათად. საქართველოს სალიკვიდაციო კონფერენციას არ დავსწრებივარ; მის შესახებ გამოცემული იყო ბროშურა, სადაც ჩემზე ეწერა, რომ ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო. საქართველოს სალიკვიდაციო კონფერენციის დასასრულს სურათი გადაეღოთ (უნდა ვიფიქროთ, შუა ადგილას გიორგი სტურუა იჯდებოდა). გოგი კახაბერის ჯგუფს სურათის გადაღებისას ქუდები ჩამოეფხატათ სახეზე. ლ. ახალშენიშვილი, რუს-

თაველის პროსპექტზე სასპორტო მაღაზიის წინ იწეწებოდა და აღელვებული გოგი კახაბერს ეუბნებოდა: „რა ქცევა იყო ეს, თუ პროტესტის გამოხატვა გინდოდათ, შეგეძლოთ კონფერენციას არ დასწრებოდით, განა ეს საკმარისი არ იქნებოდა“? საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის სალიკვიდაციო კონფერენციის დამთავრების შემდეგ მალე, ლ. ახალშენიშვილი მოვიდა ჩემთან, სადარბაზო შესასვლელთან შევიყარენით, სტუმარს ვაცილებდი. მან მითხრა, რომ კოლია დგებუაძემ შემოგითვალა, პოლიტიკის გარეშე დარჩენა არ შემიძლია, კოლექტიურად შევიდეთ პარტიაშიო, პარტიის რეკომენდაცია საჭირო არ არისო, ცივად ვუპასუხე: „მე ეს აზრად არ მომსვლია და არც მომივა“. სახლში არ შევიპატიჟე. წავიდა ეს არამზადა კუდამოძუებული. ნამდვილად იყო კ. დგებუაძეს გამოგზავნილი თუ არა, არ ვიცი. ასეთი წინადადებით ამ არამზადა ახალშენიშვილის გარდა ჩემთან არავინ მოსულა. კ. დგებუაძე და ირ. რცხილაძე კომპარტიაში ჩაეწერნენ თუ არა, ესეც არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ეს არამზადა ლ. ახალშენიშვილი კომპარტიის წევრი იყო 1939 წლიდან. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არასდროს ყოფილა. იყო ყოველთვის რიგით ინჟინრად სხვადასხვა დაწესებულებაში. ეს შევიტყვე ნეკროლოგიდან, რომელიც გაზეთ „კომუნისტ“-ში იყო მოთავსებული. გარდაიცვალა 1981 წელს. ნიკოლოზ დგებუაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის ლექტორი იყო. ირ. რცხილაძე იყო ექიმი პედიატრი, პროფესორი. ორივენი გარდაიცვალნენ. გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ 1980 წლის 1 ნოემბრის ნომერში მოთავსებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო პედიატრიის კათედრის გამგის პროფ. მ. გელოვანის ნეკროლოგი, სადაც სხვათა შორის ეწერა: „გაიმართა თბილისის პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების სხდომა, რომელიც მიეძღვნა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ირაკლი რცხილაძის დაბადების 80 წლის თავს. ადამიანს სხვა რა ამშვენებს, თუ არა სულის სიწმინდე, გონების სიბრძნე და სიდიადე. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა მეცნიერების და-

მსახურებული მოღვაწე პროფ. ი. რცხილაძე, კაცი უებრო ნიჭით, ნებისყოფით, შრომისმოყვარეობით, ერისკაცური შემართებით, სინდის-ნამუსით...“

ნიკო კეცხოველი, ბოტანიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დაპატიმრებული იყო და განთავისუფლების შემდეგ ჩეკას მიერ მოწყობილ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სალიკვიდაციო კონფერენციის მდივნად აირჩიეს. კონფერენციის ყველა საბუთები მიჰქონდა იასონ ჯავახიშვილთან. ასე რომ, იასონ ჯავახიშვილმა იცოდა ყველაფერი, რაც კონფერენციაზე ხდებოდა პირველწყაროდან. ამ კონფერენციის მონაწილე იყო მწერალი მიხეილ ჯავახიშვილიც. იგი შემდეგ დახვრიტეს. მე იასონ ჯავახიშვილს და მასთან მისულებს ვხვდებოდი გიგლას დაპატიმრებამდე, 1924 წლის 1 თებერვლამდე. შემდეგ ჩემთან შეხვედრას ერიდებოდა თავისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შიშით, რადგან ფიქრობდა, რომ ჩეკა მითვალთვალებდა. ირ. რცხილაძე მეუბნებოდა, რომ ბოლო დღეებში, აჯანყებამდე, იასონ ჯავახიშვილთან ხშირად ვხედავდი ნიკო კეცხოველსაო. 1980 წელს თბილისქალაქობის დღესასწაულის დროს ნიკო კეცხოველი გამოცხადებული იყო ირაკლი აბაშიძესთან და ვერიკო ანჯაფარიძესთან ერთად ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქედ. როგორც ომის დროინდელ გაზეთებიდან შევიტყვეთ იგი მოწინავე პოზიციებზე მეომრებს საჩუქრებს ურიგებდა [გაზეთის ცნობებს ჩემის მხრივ დავუმატებ, იგი მეომრებს თავგანწირული ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა სამშობლოსათვის, სტალინისათვის. აზრი და მიზანი ამ საჩუქრების დარიგებისა ხომ სწორედ ეს იყო][63], და როდესაც გერმანელებმა პიატიგორსკში საჰაერო დესანტი გადმოსხეს და მოსახლეობამ ისინი გერმანელების მოიერიშე არმიის მოწინავე ჯარის ნაწილებად მიიჩნია და დღე-დღეზე თბილისში მათ ელოდა, ნაცნობები შეეკითხნენ ლევან ყანჩაველს (ესეც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფიტოპათოლოგი, ნიკო კეცხოველის ახლო მეგობარი, ჩვენი შორეული ნათესავი, მისვლა-მოსვლა

63 შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმული არჩილს გადახაზული აქვს

უმთავრესად მის მშობლებთან გვქონდა) – ჰა, ლევან, ნიკო რას გეუბნება, რას ამბობს იგი? რას უნდა ამბობდეს – უპასუხა ყანჩაველმა – წუწუნებს, იძახის არ ვიცი როგორ ვიმართლო თავიო. ბედი ეწია ნიკო კეცხოველს, არ დასჭირდა თავის მართლება. იგი აჯანყების დროს დაპატიმრებული არ ყოფილა.

არალეგალურ მომუშავეთა შორის იყო ნიკოლოზ (კოლია) გაბაშვილი. ხასიათით მიდრეკილება ჰქონდა მოჩვენებით ექსტრავაგანტურობისაკენ. მისი თქმით, მას კავშირი ჰქონდა დამყარებული ბორჯომის ცნობილ ყაჩაღ ფორიასთან. 1924 წლის აგვისტოს ღამეს, როცა ხალხი ფეხზე იყო დაყენებული აჯანყების დაწყების მოლოდინში, გაბაშვილისვე თქმით, იგი მივიდა ფორიასთან, რომელიც სახლში არ დახვდა და მისმა ცოლმა ხიდის ქვეშ დამმალაო. პარტიის განკარგულებით კი, მას იმ დღეებში (როგორც ყველა დანარჩენ პარტიის წევრებს) თბილისიდან წასვლის უფლება არ ჰქონდა. და აი, ნ. გაბაშვილი გვიამბობს: „საქართველოს უმაღლეს საბჭოს დარბაზში შეკრებილია ორდენებით დაჯილდოებულთა ჯგუფი ჯილდოს მიღების მოლოდინში (წელი აღარ მახსოვს, ეს ომის შემდეგ დროინდელი ამბავია); ამ დაჯილდოებულთა შორის არიან ნ. კეცხოველი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კოლია გაბაშვილი, საქ. აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, გიორგი ტარასაშვილი, პროფესორი. ჩვენ განცალკევებულად ვისხედით დანარჩენებისაგან და ბევრი რამ გავიხსენეთ წარსული არალეგალური ცხოვრებიდან“; გვიყვებოდა ნ. გაბაშვილი. პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ „бойцы вспоминали минувшие дни и битвы где вместе сражались они“[64].

იმ დღეებში, როცა მიმდინარეობდა პარტიის ახალგაზრდობის სალიკვიდაციო კონფერენცია ჩეკას მიერ დაპატიმრებული იყო ვიქტორ ყარანგოზიშვილი. ვერა და ვერ გავტეხე, ეთქვა ზუბოვს ირაკლი რცხილაძისათვის, თავის ვინაობას, რომ იგი ვიქტორ ყარანგოზიშვილია, უარყოფს, [იგი თავის თავს გრაფ ბობროვსკის უწოდებსო] (ვ. ყარანგოზიშვილს რუსის სახე ჰქო-

64 бойцы вспоминали минувшие дни и битвы,где вместе сражались они – მებრძოლები იხსენებდნენ გარდასულ დღეებს და ერთად გადატანილ ბრძოლებს

ნდა). ბოლოს გამომძიებელ ზუბოვს, რცხილაძის თქმით, დაეპირისპირებინა იასონ ჯავახიშვილი და ვიქტორ ყარანგოზიშვილი. იასონ ჯავახიშვილს უარი ეთქვა მისი ვინაობის გამოცნობაზე იმ საბაბით, რომ თუმცა ვიცოდი ჩვენი პარტიის წევრი იყო და არალეგალურად მუშაობდა ვიქტორ ყარანგოზიშვილი, მაგრამ მას არასდროს არ შევხვედრივარო. მისი ცოლისგან გავიგეთ, როცა იგი მამასთან მოვიდა პანაშვიდის გადასახდელად და ანდერძის ასაგებად, რომ იგი ჩეკას მიერ გადასახლებული ყოფილა სოლოვეცის მონასტერში ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში, იქ შიმშილობა გამოუცხადებია (40 დღე უშიმშილია) და შიმშილისაგან გარდაცვლილა. ეს ხომ ნამდვილი თვითმკვლელობაა, ვუთხარი მამას, შიმშილობის გამოცხადება ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერის გარეშე, ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში, საიდანაც ხმა არაფრისა არ მიუწვდება ადამიანს და ისიც ასეთი სისხლიანი რეჟიმის პირობებში, როგორიც საბჭოთა ხელისუფლებაა. ამასთან დაკავშირებით გამახსენდა ერთი ეპიზოდი წარსულიდან. ერთხელ, მოვიდა ჩემთან კოლია გაბაშვილი და მეუბნება: „ჩემ ჯგუფს აქვს დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ვიქტორ ყარანგოზიშვილი გამცემია, ვერა და ვერ დავუკავშირდი იასონ ჯავახიშვილს, იქნება შენ შესძლო ამის შესახებ ხმის მიწვდენა და მიგვიღოსო“. მე მაშინ, როგორც აღვნიშნე, ყოველგვარი კონტაქტი შეწყვეტილი მქონდა იასონ ჯავახიშვილთან. მე შემეძლო მასთან დაკავშირება მისი არაოფიციალური ცოლის საშუალებით, რომელსაც ვხვდებოდი იშვიათად, სულ ბევრი, თვეში ერთხელ. ჩემთან შეხვედრაზე იასონ ჯავახიშვილმა უარი სთქვა იმის შიშით, რომ შესაძლებელია არჩილს აედევნონ და ასე აღმოაჩინონ ჩემი ადგილსამყოფელიო. იასონ ჯავახიშვილმა სხვადასხვა დროს გამომიგზავნა რამდენიმე პირი წინადადებით მათთვის გადამეცა ის, რისი შეტყობინებაც მინდოდა მისთვის. ყველას უარი ვუთხარი, რადგან ვშიშობდი, რომ თუ ეს ცნობა არ დადასტურდებოდა, არ გახმაურებულიყო ეს ამბავი. ბოლოს მე გამომეცხადა თვით ვიქტორ ყარანგოზიშვილი მისგან გამოგზავნილი იმავე წინადადებით. ეს ეპიზოდი გამახსენა იასონ ჯავა-

ხიშვილმა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას, როცა მან სტუდენტთა კომიტეტში გააკეთა ის საბედიწერო განცხადება აჯანყების შესახებ; ტყუილი განგაში იყო, არაფერი მსგავსი არ დადასტურდაო, მითხრა მან.

დავესწარი ყარანგოზიშვილის პანაშვიდს მამას მიერ გადახდილს; შევყურებდი მის მწარედ მოქვითინე ცოლს, ყურში ჩამესმოდა მამას მიერ წარმოთქმული საუკუნო ხსენება და ელვისებურად, ერთი მეორის მიყოლებით მესახებოდა ვიქტორ ყარანგოზიშვილი, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანის ყინულებში ჩამარხული, სამშობლოს სამსხვერპლოზე ნებაყოფლობით მიმავალი გიგლა ამხანაგებიანად, დერეფანში კედლებზე ხახუნით გამომავალი, უკანხელებშეკრული, ორადგადაბმული ტუსაღები, ბრეზენტგადახურული მანქანა, სადაც როგორც უსულო საგნები ზედიზედ დაყრილნი არიან ეს სამშობლოსათვის თავგანწირული გმირები და გული სევდით მევსებოდა, სული მეხუთებოდა ... და ეხლა, როცა ამას ვწერ თვალწინ მიდგას გულმკერდორდენ დამშვენებული 1980 წელს თბილისქალაქობის დღესასწაულზე ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქედ გამოცხადებული (ვერიკო ანჯაფარიძესთან და ნიკო კეცხოველთან ერთად) პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და ყურში ჩამესმის მისი ლექსის სიტყვები:

მე ქართველი ბუხაიძე

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.
ვინც დამხედოთ, გადაეცით

საქართელოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ვჟლეტდი სისხლის მსმელებს;
არ ვუშვებდი დარიალთან
გააფთრებულ ყვითელ გველებს...
მე საფლავში არა ვწევარ,
აქ დარაჯად დამაყენეს.
და ვუბარებ ყოველ ქართველს:
მისი წმინდა ვალი არი –
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას
დერბენდი და დარიალი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, როცა სალიკვიდაციო კონფერეცია მიმდინარეობდა, ჯგუფი გოგი კახაბერის მეთაურობით არა ცხრებოდა, ამჟღავნებდა არალეგალური მუშაობის განგრძობის სურვილს. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც მითხრა, რომ ციხეში შევხვდით იასონ ჯავახიშვილს, რომელმაც მოგვიწონა ეს განზრახვა და გვითხრა, რომ ეხლა ერთადერთი იმედი ახალგაზრდობა არისო. მე მათი ასეთი ფუსფუსი სხვადასხვა მოსაზრებით ბავშვურ თამაშად მიმაჩნდა და ამიტომ ყველა ასეთ ლაპარაკში არ ვერეოდი. ბოლოს, ერთ-ერთი მათგანი, მესხი, სამსახურში მიმავალს, ჭავჭავაძის და რუსთაველის გამზირის კუთხეში დამხვდა და წინადადება მომცა ჩავბმულიყავი მათთან ერთად არალეგალურ მუშაობაში. მოიფიქრე და ამ დღეებში გინახულებ პასუხისთვისო. მე გარკვეული პასუხი არ მიმიცია. ამის შემდეგ მესხი იმ ხანებში აღარ მინახავს. იმ დღეს, თუ იმ დღებში, ჩეკას ყველა ესენი დაეპატიმრებინა. ჩეკას ისინი დიდი ხნით არ ჰყოლია დაპატიმრებული. ირ. რცხილაძის გადმოცემით მათი განთავისუფლება გავლენიანი კომუნისტების შუამდგომლობით მომხდარა. მესხი განთავისუფლებული იყო საშა გეგეჭკორის შუამდგომლობით, რადგან საშა გეგეჭკორი მესხის ოჯახის დაახლოებული პირი ყოფილა. ამის შემდეგ მესხი კარგა ხანი აღარ მენახა. მას შევხვდი 1942 წელს, როცა ჰიტლერული გერმანიის ომი მძვინვარებდა, ვა-

გზლის მოედანზე, ტრამვაების მოსაცდელ ადგილას (გაჩერებაზე), კარგა შეზარხოშებული იყო. ამან განაპირობა ალბათ ის გარემოება, რომ მან ჩემთან გულახდილობა გამოამჟღავნა. მან მითხრა, რომ თავდაპირველად შენზე გვქონდა ეჭვი, რომ შენ დაგვასმინე ჩეკასთან, მაგრამ ჩვენი გამცემი სხვა აღმოჩნდაო. ჩემ შეკითხვაზე თუ ვინ იყო იგი, არ მიპასუხა (ცხადია ჩეკამ მათი დაპატიმრების დრო შეუფარდა იმ დროს, როცა მათ მომცეს წინადადება ჩავბმულიყავი არალეგალურ მუშაობაში, რათა ამ გზით ეჭვი აეცდინა ნამდვილი გამცემისაგან)[65]. მესხმა ისიც მითხრა, რომ გამომძიებელი გვეკითხებოდა იმის შესახებ, თუ რა პასუხი მიიღეს ჩემგან მიცემულ წინადადებაზე. ბოლოს ვუთხარით, რომ უარყოფითი პასუხი მივიღეთო. გოგი კახაბერი, განთავისუფლების შემდეგ, როგორც სთქვეს, არალეგალურად საზღვარს გადავიდა, საფრანგეთში დასახლდა, იქ ცოლ-შვილს მოეკიდა, ფერმერი გახდა. (ჩემს შესახებ მოკლედ ვიტყვი, რომ სალიკვიდაციო დეკლარაციაზე ხელმოწერისათვის ღირსი ვარ ყოველგვარი სალანძღავი სიტყვისა, რაც კი ლექსიკონში არსებობს)[66] და ბოლოს, ყოველ დაპატიმრებულს ჩეკაში, პარტია ფულად დახმარებას ყოველთვიურად აძლევდა ლირებად. ასევე პატრიარქს და საკათალიკოსო საბჭოს წევრებს. გიგლას დაპატიმრებამდე, ეს ფულადი დახმარება გიგლას მოჰქონდა, გადასცემდა მამას, ხოლო უკანასკნელი შესაფერისი არხებით უგზავნიდა პატრიარქის ქალს. გიგლას დაპატიმრების შემდეგ, მამასთან სიარული იწყო ყოველთვიურად იასონ ჯავახიშვილის ცოლმა ნადიამ, რომელიც უშუალოდ მამას აძლევდა ამ ფულად დახმარებას. მამა მისგან არ იყო გაფრთხილებული იმის შესახებ, თუ ვისთვის იყო განკუთვნილი ეს დახმარება და გულისხმობდა რა, რომ ეს განკუთვნილი იყო მღვდლებისათვის, განაგრძობდა ამ ფულის გადაცემას ისევ იმავე არხებით კათალიკოსის ქალისთვის. სულ ბოლო წუთებში გამოირკვა, რომ ეს ფული განკუთვნილი იყო გიგლასათვის; ამ ფულის ათვისებას ვეღარ

65 შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმული ამბავი არ არის დადასტურებული და ჩემის აზრით ამოსაღებია – ა. გ

66 შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმული ამბავი სხვანაირად უნდა დაიწეროს და დასაბუთდეს – ა. გ

ახერხებდნენ, იმდენი უგროვდებოდათ, როგორც მათ განაცხადეს. იმ ხანებში დიდ გაჭირვებას განვიცდიდით. მამას უხდებოდა პროდუქტების საყიდლად სხვადასხვა პირებისაგან სესხის აღება; ეს კი დიდად აგვიანებდა გიგლასთვის შესაფერი გადაცემის დამზადებას, გიგლა ციხიდან იწერებოდა ნუ აგვიანებთ გადაცემას, რადგან თითქმის მნიშვნელობა ეკარგება ამ გადაცემას. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ჯგუფი ერთად სადილობდა. დედა ტირილით ემუდარებოდა მამას: სულ ერთია სესხულობ, წინადღით ისესხე, რომ დროზე ვიყიდო საჭირო პროდუქტები. მამა სასესხებლად წასვლას ყოველთვის აგვიანებდა, რადგან საამისოდ წასვლისთვის ფეხი უკან უდგებოდა, და ეს მეორდებოდა ყოველ დღე, ვერ მოხერხდა და ვერა გადაცემის დროზე მიტანა ციხეში ბოლომდე, და ეს მცირე სურვილიც ვერ შევუსრულეთ გიგლას, ისე წავიდა იგი ამ ქვეყნიდან. პარტია ფულად დახმარებას აძლევდა არა მარტო მაშინ, როცა ვინმე დაპატიმრებული იყო ჩეკაში, არამედ მაშინაც კი (ერთდროულ დახმარებას) როცა ათავისუფლებდნენ ციხიდან. ასე, მე იასონ ჯავახიშვილმა 10 ლირა გამატანა დ. დავითაშვილისათვის გადასაცემად მისი განთავისუფლების შემდეგ. გიგლას 7 თვის პატიმრობის განმავლობაში არ მოგვსვლია ის აზრი, რომ გიგლას ეკუთვნოდა ფულადი დახმარება და ის ფული, რომელიც გიგლასთვის იყო განკუთვნილი სხვას მოვახმარეთ და ისე, რომ ეს ფული მათ არ სჭირდებოდათ, ისინი ფულით პარტიისაგან უზრუნველყოფილები იყვნენ. ეს მე იასონ ჯავახიშვილისათვის არ მითქვამს ჩემი მასთან უკანასკნელი შეხვედრის დროს, ან რა საათქმელი იყო მაშინ, ან რა აზრი ჰქონდა მაშინ ამის თქმას, საქმეს რაღა ეშველებოდა. დროზე დასმული შეკითხვა, საქმეს გაარკვევდა და ფული მოხმარდებოდა გიგლას, ვისთვისაც იგი განკუთვნილი იყო და არ გაიფლანგებოდა ტყუილ-უბრალოდ.

როგორც ზევით აღვნიშნე, კათალიკოსი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭოს წევრნი გათავისუფლებულნი იყვნენ პატიმრობიდან ნაადრევად, პატიმრობის ვადის გასვლამდე, კალინინის წინადადებით (უმაღლესი საბჭოს) საკავშირო ცაკ-ის გადაწყვეტილებით 1925 წლის აპრილში. მაშინვე (განთავისუფლების-

თანავე) დაიწყო იერიშების მიტანა კათალიკოსის წინააღმდეგ ქრისტეფორე ციცქიშვილის ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ როგორც აქტიური წევრნი მღვდლები ჩიჯავაძე, ბენ. კანდელაკი, ნიკიტა თალაკვაძე, ხახუტაშვილი, მიხა ფხალაძე. მოითხოვდნენ კათალიკოსისაგან ქრისტეფორე ციცქიშვილის მოსაყდრედ დანიშვნას, კალისტრატე ცინცაძის მაგივრად. კათალიკოსი ბოლო წლებში ლოგინად ჩავარდა, მას დამბლა დაეცა. ლოგინად ჩავარდნილს, დამბლა დაცემულს თურმე უყვიროდნენ, ფეხებს უბრახუნებდნენ, კათალიკოსის ქალიშვილი ტირილით შესჩიოდა თურმე გარს მყოფთ, მამას ადრე მიკლავენ, არ აცლიან მას თავისი სიკვდილით მოკვდესო. ეს ამბავი მორწმუნეთათვის ცნობილი გახდა, ისინი დიდად აღშფოთებულები იყვნენ ქრ. ციცქიშვილის ჯგუფის მოქმედებით, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ კალისტრატე ცინცაძის დიდ პოპულარობას ხალხში. მახსოვს იმ დროს, ერთ დღეს ჩვენთან სახლში მოსული ბავშვთა ექიმის, მარიამ უგრეხელიძის დედა, ნინო უგრელიძე, რომელიც აღშფოთებული წამქეზებლურად ეუბნებოდა მამაჩემს: „აბა თუ კაცები ხართ, თუ კაცები ხართ!“ გულისხმობდა რა, თუ როგორ წინააღმდეგობას გაუწევდნენ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულს ჩეკას შემოტევას. სწორედ ამ დროს ეკუთვნის ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნული ქრისტეფორე ციცქიშვილის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა მამაჩემს: „ჩეკამ გამაბა თავის ქსელში, თავი ვერ დამიღწევია, შემიბრალეთ“. დროგამოშვებით კალისტრატე ცინცაძეს იბარებდა ჩეკა, უყენებდა იმავე მოთხოვნას. ერთ საღამოს კალისტრატე ცინცაძე, მამა და ანტონ თოთიბაძე ყოფილიყვნენ ლოგინად მდებარე კათალიკოსთან. წამოსვლისას, კალისტრატე ცინცაძემ, კათალიკოს ამბროსის ბალიშის ქვეშ ამოუდო ქაღალდი, და უთხრა: „აი, ეს რეზოლუცია წააწერეთ მათ ქაღალდს, თუ ისინი მოვიდნენ კიდევ“. ბალიშის ქვეშ ამოდებულ ქაღალდზე ეწერა კ. ცინცაძის მიერ შედგენილი რეზოლუციის ტექსტი, რომელიც იწყებოდა სიტყვით „დაე“, შედგენილი კ. ცინცაძისათვის დამახასიათებელი სტილით. ქრ. ციცქიშვილს რეზოლუციის წაკითხვისას გაეცინა და ეთქვა: თუმცა

„დაე“, მაგრამ ხომ დამნიშნეს და ჩემი გავიტანეო. ასე დაიწყო „დაე კათალიკოსობის“ და „დაე სამღვდელოების“ ხანა; ამიერიდან საქართველოს ეკლესია ჩეკას გამგებლობაში გადავიდა. როცა კათალიკოსისაგან გამოვიდნენ და სიონის ეზოში მიდიოდნენ მამას ეთქვა კალისტრატესათვის: „რას ჩადიხარ, ვის ხელში აგდებ საქართველოს ეკლესიას?“ კ. ცინცაძეს მარჯვენა ხელი მაღლა აეწია, ნერვიულად აეცახცახებინა და ეთქვა: „ამ კაცმა ვერ გაიგო, რომ ჩეკაა საქმეში ჩართული, ჩეკა!“ „მაშ, იმ ახალგაზრდებზე რას იტყვი, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ჩეკა არ იყო ჩარეული? – ეპასუხა მამას – მე გმირი არა ვარ – ეთქვა ამაზე კ. ცინცაძეს. ასეთი პასუხი ხშირად იცოდა – აქ გმირობა რა მოსატანია, გმირები მართლა ის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც თავგანწირვით, შიშველი ხელებით ებრძოდნენ ჩეკას, თქვენ სიცოცხლეს უშუალო საფრთხე არ ელის, თქვენ გიცავთ თქვენი თანამდებობა, თქვენი მდგომარეობა, თქვენ ამჟამად ფაქტობრივად საქართველოს ეკლესიის მეთაური ხართ, ეხლა საჭიროა პასუხისმგებლობის გრძნობის გამოჩენა, ეკლესიის ინტერესების თავგამოდებით დაცვა, რატომ იკისრეთ მოსაყდრეობა, თუ ამას არ მოიქმედებდით; ვის ანაბარა სტოვებთ დამბლადაცემულ კათალიკოსს“? ამაზე კ. ცინცაძეს არაფერი არ ეპასუხა. ამით დასრულდა მაშინ მათ შორის ამაზე ბაასი. ანტონ თოთიბაძე ლაპარაკში არ ჩარეულა. პირველ ხანებში კ. ცინცაძემ და ა. თოთიბაძემ გააჩაღეს საწინააღმდეგო აგიტაცია მორწმუნეებში. მორწმუნეთა შორის აღტკინება დიდი იყო, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ კ. ცინცაძის დიდ პოპულარობას ინტელიგენციაში და მორწმუნეთა შორის. ერთხელ, უკვე კ. ცინცაძის კათალიკოსობის დროს მამას საყვედური ეთქვა მისთვის – „რატომ თანამშრომლობ ხელისუფლებასთან“. პასუხად ეთქვა, თუ ივანე ჯავახიშვილი თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, მე რატომ მეძრახვის ეს თანამშრომლობაო. მამას ამაზე ეთქვა: „ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფო სამსახურში იმყოფება და იგი ვალდებულია ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან. მისი თანამშრომლობა ხელისუფლებასთან შემოფარგლულია მისივე სპე-

ციალობით. იქ, სადაც ხელისუფლება გადაუხვევს პრინციპიალურ ხაზს პროგრამული სწავლების საკითხებში, რომელიც შემუშავებულია თვით ივანე ჯავახიშვილის მიერ, უკანასკნელი წინააღმდეგობას უწევს ხელისუფლებას“. მაგალითისათვის მან მოუყვანა ჩემი ნაამბობი, რომელიც მოხდა თბილისის უნივერსიტეტის საერთო კრებაზე, რომელსაც მე ვესწრებოდი. კრებაზე მაშინდელმა რექტორმა ვაშაყმაძემ გაილაშქრა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ და მაგალითისათვის მოიყვანა ის ინციდენტი, რომელიც წარმოიშვა ივანე ჯავახიშვილსა და მაშინდელ სასწავლო ნაწილის პრორექტორ, ეხლად გამომცხვარ, „პროფესორ“ თავზარაშვილს შორის. თავზარაშვილის შენიშვნაზე, რომ ივანე ჯავახიშვილს ისტორიის პროგრამიდან ამოეღო საეკლესიო მწერლობის საკითხები, ივანე ჯავახიშვილს სიტყვა მოეჭრა თავზარაშვილისათვის და ეთქვა: ჯერ თქვენ საქართველოს ისტორია ჩამაბარეთ და მერე მეკამათეთ, თუ რა დავტოვოთ პროგრამაში და რა ამოვიღოთო. ამდგარიყო და წამოსულიყო. ამაზე ვაშაყმაძეს კრებაზე განეცხადებინა, დასაშვებია პროფესორმა პროფესორს და ისიც პრორექტორს ასეთი სიტყვებით მიმართოსო. მე დავიბარე ივანე ჯავახიშვილი და საყვედური გამოვთქვი მისი ქცევის შესახებ, რაზედაც ივანე ჯავახიშვილმა მიპასუხა: „მე ბოდიშს ვიხდი, არ ვიცოდი თუ თავზარაშვილი პროფესორი გახლდათ, მე მეგონა ის იყო დაწინაურებული მუშა“. როცა საჭიროა ივანე ჯავახიშვილი პასიურ წინააღმდეგობას (კანონის ფარგლებში) უწევს ხელისუფლებას, თქვენ კი სახელმწიფო სამსახურში კი არა, ეკლესიის სამსახურში ხართ. ეკლესია კი როგორც ცნობილია, გამოყოფილია სახელმწიფოსგან და ამიტომ სრული უფლება გაქვთ, საბჭოთა კონსტიტუციის ძალით, წინააღმდეგობა გაუწიოთ სახელმწიფოს, როცა ის ერევა ეკლესიის საქმეში. აქაც კ. ცინცაძემ კვლავ პასუხი არ გასცა. ამის შემდეგ ერთ ვექილს (გვარი არ უთქვამს, თუ დამავიწყდა, არ მახსოვს) ეთქვა მამასთვის, ეს პრინციპული ბრძოლა კი არა, ინტრიგა გამოვიდაო. ეს გამონათქვამი მამას გადაეცა ა. თოთიბაძისათვის. მაშ რა გეგონაო – დაედასტურებინა თოთიბაძეს. ასე ჩაეყარა სა-

ფუძველი „დაე“კათალიკოსობის და „დაე“ სამღვდელოების წარმოშობას. ამის შესახებ კ. ცინცაძეს ეთქვა: მე ვრჩები მხოლოდ ქაშვეთის წინამძღვრად, როგორც მღვდელი, ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრობაზე, მაშასადამე ეპარქიის გამგებლობაზე უარს ვაცხადებო. ამასაც ამბობდნენ (ეს აღარ ვიცი, კ. ცინცაძისგან მომდინარეობდა, თუ მორწმუნეთა ფანტაზიის ნაყოფი იყო), რომ კ. ცინცაძე ქაშვეთში მორწმუნეთა თანდასწრებით მღვდელმთავრულ შესამოსს გაიხდის ნიშნად მღვდელმთავრულ ხარისხზე უარის თქმისაო. ქრისტეფორე ციქიშვილისათვის შეუძლებელი იყო კ. ცინცაძის თანამშრომლობის გარეშე საეკლესიო მოღვაწეობა, თუ მივიღებთ მხედველობაში კ. ცინცაძის დიდ პოპულარობას მორწმუნეთა და ინტელიგენციის წრეებში და აგრეთვე ხალხის დიდ გაბოროტებას ქ. ციქიშვილის მოქმედებით. ქრისტეფორე ციქიშვილმა დაიჟინა ამ თავის მოთხოვნაზე. გახშირდა კალისტრატე ცინცაძის დაბარებები ჩეკას მიერ. როგორ შეიძლება მღვდელმთავრობა უეპარქიოდო – ეუბნებოდა კალისტრატე ცინცაძეს ჩეკა და სხვა. ბოლოს კალისტრატე ცინცაძეს ეთქვა: მე ქაშვეთს ვერ დავტოვებ, ქაშვეთის წინამძღვრობასაც ვერ დავტოვებ, მაშ წინამძღვარი უნდა ვიყო, მღვდელმთავარიც და ამავე დროს ვემორჩილებოდე ქრისტეფორეს? მე ამას ვერ ვიზამო. ჩეკამ ეს საკითხი უმალ გადაწყვიტა. ქაშვეთის ეკლესია, თბილისის ცენტრში მდებარე, მანგლისის ეპარქიას მიაკუთვნა და ქრისტეფორე ციქიშვილის მართველობის გარეშე დააყენა. ეს უკანასკნელი დაბრკოლებაც დაძლეულ იქნა და კალისტრატე ცინცაძეც სამუდამოდ ჩეკას ორბიტაში მოექცა. ასე და ამნაირად ჩაეყარა საფუძველი „დაე“ კათალიკოსობის წარმოშობას. ამიერიდან კათალიკოსის არჩევა ჩეკას დასტურის გარეშე აღარ ხდებოდა. მას შემდეგ ქრისტეფორე ციქიშვილი მალე, 1932 წელს გარდაიცვალა, კალისტრატე ცინცაძე გაკათალიკოსდა. მეტად დამყოლი და მორჩილი აღმოჩნდა ჩეკას მიმართ, თანაც მორწმუნეებში და ინტელიგენციაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამაზე უკეთესი კანდიდატი, ყველა შემთხვევაში, მაშინ ჩეკასთვის ვერ გამოიძებნებოდა. მიხეილ ფხალაძემ მაშინ

მეორე კანდიდატად დაასახელა თავისი თავი. კალისტრატე ცინცაძემ გააპროტესტა ეს. თუ მიხეილ ფხალაძე არ მოხსნის თავის კანდიდატურას, მაშინ მე მოვხსნი ჩემს კანდიდატურასო, ეთქვა მას. მ. ფხალაძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა. ჩემთან შეხვედრის დროს მან მითხრა, ეს მე გავაკეთე მისთვის, რომ არჩევნებს აზრი აქვს მაშინ, თუ ორი კანდიდატი მაინც იყრის კენჭს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არჩევნები კი არა, უფრო დანიშვნა გამოდისო. განა მე არ ვიცოდი, რომ არჩეული არ ვიქნებოდიო? კალისტრატე ცინცაძე არჩეული იყო კათალიკოსად. კ. ცინცაძის კათალიკოსობა ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა სხვა წინა კათალიკოსებთან შედარებით. საეკლესიო ცხოვრების მაჯისცემა მისი კათალიკოსობის დროს თანდათან მინელდა და შემდეგ საბოლოოდ ჩაკვდა. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ამბროსის კათალიკოსობის დროს წესად იყო შემოღებული, რომ თბილისის მღვდლებს რიგრიგობით ქადაგებას ათქმევინებდნენ სიონში, როცა კათალიკოსი იყო მწირველი. ქადაგების დღის შესახებ მღვდელს რამდენიმე ხნით ადრე ატყობინებდნენ. ეს ინერციით, პირველ ხანებში გაგრძელდა ქრისტეფორეს და კალისტრატეს კათალიკოსობის დროსაც. ამ ხანს ეკუთვნის ერთი ინციდენტი, რომელიც მამას შეემთხვა ილია ჭავჭავაძის დღესთან დაკავშირებით. მამას ქაღალდებში აღმოჩნდა ერთი ოფიციალური მიმართვა მამას სახელზე კალისტრატე ცინცაძისაგან ხელმოწერილი, ასეთი შინაარსისა:

მღვდელ დ. გარსიაშვილს

„დღეიდან სიონში სიტყვის სათქმელად გამზადებული ქადაგება წარმოადგინეთ ხოლმე ჩემთან და ჩემი დასტურისა და მოწონების შემდეგ უფლება გეძლევათ ქადაგების წარმოთქმისა“.

ამ მოწერილობის უკან მამას მინაწერია: „ეს მოწერილობა გამოწვეულია ჩემი ქადაგებით, რომელიც წარმოვთქვი სიონში

ი. ჭავჭავაძის მოკვლის დღესთან დაკავშირებით, 35 წლის თავზედ, კვირა დღეს 31 აგვისტოს 1942 წ.“

ამ ქადაგების ისტორია ასეთია: პირველად იგი წარმოსთქვა მამამ 1907 წელს ილია ჭავჭავაძის მოკვლის მე-40 დღეს, როცა მამა სხვა მღვდლებთან ერთად თანამწირველი იყო ქაშვეთის ეკლესიაში. მაშინ წირვასა და პანაშვიდს ესწრებოდა ქართველ ინტელიგენციასთან ერთად მწერალი ანტონ ფურცელაძეც. მას მამას სიტყვა მოსწონებოდა და ქაიხოსრო ქავთარაძისათვის (სოციალ-ფედერალისტი, გაზეთ“სახალხო გაზეთის“ რეპორტიორი) დაევალებინა ამ სიტყვის მამისათვის გამორთმევა და მისთვის გადაცემა, ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე თქმული სიტყვების დასაბეჭდად განკუთვნილ კრებულში შესატანად. ქაიხოსრო ქავთარაძე ქვისლი იყო დეკანოზ იოსებ ბერიძისა, რომელიც მამასთან ერთად მსახურობდა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში და მამასთან ერთად ერთ ეზოში და ერთ სახლში ცხოვრობდა. ქაიხოსრო ქავთარაძეს ეს დავალება გადაეცა შესასრულებლად იოსებ ბერიძისათვის, რომელსაც დავიწყებოდა მისი შესრულება, ასე რომ ამ ქადაგების დაბეჭდვა ვერ განხორციელდა. ანტონ ფურცელაძეს ეკითხა ქავთარაძისათვის ამ დავალების შეუსრულებლობის მიზეზი. ამ ქადაგებასთან დაკავშირებული ამბავი ასე დაწვრილებით მოვიყვანე იმისათვის, რომ ცხადი შემექმნა ის ატმოსფერო, რომელიც გამეფებული იყო 1907 წელს, ძველი რეჟიმის დროს ილია ჭავჭავაძის მოკვლის დღეს და ამჟამად, ბოლშევიკური ხელისუფლების დროს ი. ჭავჭავაძის მოკვლის 35 წლის გასვლის შემდეგ (მაშინ, 1907 წელს, ქადაგება ითქმებოდა თავისუფლად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, იბეჭდებოდა კიდეც; მისი თქმისთვის მამასთვის არავის არავითარი შენიშვნა არ მიუცია და ეხლა, 1942 წელს კათალიკოსი კალისტრატე აწესებს სათქმელ ქადაგებაზე სასტიკ ცენზურას და თხოულობს ყველა ქადაგების მისთვის წარდგენას ნებართვის მისაცემად და კვერექსების და ასამაღლებლების წარმოთქმას იმ სახით, როგორც შესწორებულ-დადასტურებული არიან მის მიერ. ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ მამა 1942 წელს, რა წელსაც მას ეს მიმართვა

გაეგზავნა, მსახურობდა სიონში, მთელი დღე კათალიკოსის გვერდით იყო, მასთან ცხოვრობდა, ეს შენიშვნა მას სიტყვიერად შეეძლო მისთვის ეთქვა, რატომ დასჭირდა მას წერილობითი, დანომრილი, დათარიღებული მიმართვის დაწერა, და უნდა ვიფიქროთ, რომ ხელიც მოაწერინეს ამ მიწერილობის მიღებაზე. ჩემთვის ცხადია, ეს მისთვის, რომ თუ ცნობილი გახდება ამ ქადაგების თქმის ფაქტი ჩეკასთვის, მას შესძლებოდა თავის მართლება ჩეკას წინაშე, სხვა ახსნა ამას არა აქვს). მამა ხშირად იმეორებდა ამ ქადაგებას ეკლესიაში ი. ჭავჭავაძის მოკვლის დღეს. ამიტომ, თუმცა მე არავითარი ეჭვი არ დამბადებია იმაში, რომ სწორედ ეს ქადაგება იყო თქმული, რამაც გამოიწვია კათალიკოს კალისტრატეს მიწერილობა მამის მიმართ, მე მაინც ზედმიწევნით გადავათვალიერე მამის ქადაგებები, სადაც არ აღმოჩნდა არც ერთი ქადაგება ილიას შესახებ ამ ერთადერთი ქადაგების გარდა, რამაც სავსებით დაადასტურა ჩემი მოლოდინი. აი ეს ქადაგებაც:

სიტყვა თქმული მღვდელ დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილის მიერ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიში მე-40 დღეს დღიდან ილიას წამებისა.

1907 წელი

იყო ნათელი ჭშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად.

სოფელსა შინა იყო... და სოფელმან იგი ვერ იცნა.

თვისთა თანა მოვიდა, და თვისთა იგი არ შეიწყნარეს. /იოანე 1,9,10,11/

ამ სიტყვებით, ძმანო ქართველნო – ამერ-იმერნო, დიდებული მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი გულისხმობს კაცთა ნათესავის მხსნელს და მაცხოვარს იესო ქრისტეს; გვაუწყებს მის ღვაწლს ქვეყნისათვის და, ბოლოს, აგვიწერს ენით გამოუთქმელ მის უბედურ ამქვეყნიურ ხვედრს. ხალხთა ისტორია გვასწავლის, თუ რა პირობებში იშვა ხორციე-

ლად იესო ნაზარეველი ბეთლემსა ურიასტანისსა. იესო ქრისტეს დაბადების წინა ხანა წარმართთა ხალხთა საზოგადოთ და ისრაელთა კერძოდ ბნელი იყო. ბნელი იყო როგორც პოლიტიკურის და საზოგადოებრივის, ისე სარწმუნოებრივისა და ზნეობრივის მხრივ. ნაცვლად სიმართლისა, ღირსებისა და პიროვნების დაცვისა, უსამართლობას, დამცირებას და პიროვნების შელახვას ჰქონდა ღრმად გადგმული ფესვი. იმ დროის წარმართთა საუკეთესო პირნი ნათლად ხედავდნენ და გრძნობდნენ, რომ ამგვარი მდგომარეობა კაცთა არანორმალურია, და რომ საჭირო იყო მათი თავის დაღწევა ამ არასასიხარულო და არასასურველ მდგომარეობისგან. მაგრამ, მათი აზრით, ამ დიადი საქმისათვის კაცობრიობა უძლური იყო. ამისათვის, ამტკიცებდნენ ისინი, საჭირო იყო ზესთაბუნებითი ღვთაებრივი შემწეობა. და, აი, ურიათა შორის, მართლაც, ზესთაბუნებითად იშვა მხსნელი სოფლისა, – ნათელი ჭეშმარიტი, – იესო. მიზანი მისი შობისა იყო: განათლება ქვეყნად დაბადებული ყოველი კაცისა. ამ მიზნით აღჭურვილმა იესომ იწყო ცხოვრება კაცთა შორის ურიათა ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებში და კიდით-კიდე ჰფენდა სიტყვასა და ნათელსა ჭეშმარიტსა ხალხთა გასანათლებლად. „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“ /მათე V, 48/, გაისმოდა ძლიერად მქუხარე ხმა ქრისტესი და მით კაცობრიობას უსახავდა ამ ქვეყნად ცხოვრების უმაღლეს იდეალს. ჰქადაგებდა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას, ძმობას, ერთობას და ურთიერთ შორის უდიდეს სიყვარულს. „მშვიდობას დაგიტევებ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ /XIV, 27/..., ამით ჰსცნონ ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთ-არს“. /იოანე XIII, 35/... ესე არს მცნება ჩემი, რათა იყვარებოდეთ ურთიერთ არს, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ. – უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დაჰსდვას მეგობართა თვისთა თვის /XV 12, 13 იოანე/ მშვიდობა და ამგვარი სიყვარულია, ძმანო ქართველნო, ქვაკუთხედი ამ ქვეყნად კაცთა ბედნიერებისა და წინმსვლელობისა. და აი, უფროსი და უმაგალითო სიყვარული ქრისტესი კაცობრიობისა-

დმი! დიდებული მოძღვარი კაცთადმი სიყვარულისათვის ჯვარს აცვეს – მტრობამ, სიძულვილმა, შურმა, უვიცობამ, გამცემლობამ, ვერცხლის მოყვარეობამ... და ესე საზიზღრობა მით უფრო სავალალო და სავაგლახო იყო, რომ ღვთაებრივი მოძღვარი ქრისტე იესო „თვისთა თანა მოვიდა, თვისთა იგი არ შეიწყნარეს“, ე. ი. ხორციელად ურიათა შორის შობილი მსოფლიო მქადაგებელი სიმართლისა, ჭშმარიტებისა იესო ურიებმავე არ დაინდეს, არ შეიწყნარეს... ლახვრითა გვერდსა უგმირეს...

ასეთი საზიზღრობა ჩაიდინეს ურიათა, რომელთათვის იესო ხშირად იტყოდა: „არა ვიდრე მოვლინებული ვარ გარნა ცხოვართა მათ წარწყმედილთა სახლისა ისრაილისათა“ /მათე XV,24/. ჰოი, უვიცობავ, სიბნელევ და უმადურობავ! ფართო იყო ასპარეზი თქვენი თარეშობისა ქვეყანასა ზედა მცხოვრებ კაცთა შორის ჟამსა იესოს დაბადებისა და მის ტანჯვა-წამებათა!

აი, რა აზრები გაგვახსენა, ძმანო, დიდებულ ილიას მოწამებრივმა სიკვდილმა. დღეს მეორმოცე დღეა მისი ვერაგულად წამებისა, მაგრამ ზემო ნათქვამი აზრები მაინც უფრო და უფრო თავს გვევლებიან და არ გვშორდებიან. გავიხსენოთ ხანა საქართველოს ცხოვრებისა წარსული მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ე. ი. დღიდან საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთებისა იმ დრომდე, სანამ წამებული ილია სამშობლო ასპარეზზე გამოვიდოდა სამოქმედოთ, და ჩვენ დავრწმუნდებით ხსენებული დროის დიდ მსგავსებაში იესო ქრისტეს დაბადების წინა დროსთან. ილიას დაბადების და სამოძღვროდ გამოსვლის დროს იგივე უსამართლობა, ძალმომრეობა, დამცირება და პიროვნების შელახვა იყო საქართველოში გამეფებული, რაიცა ქვეყნად ქრისტეს დაბადების წინა დროს. დაუმატოთ ამას ბატონ-ყმობის დიდი გამხრწნელი ზეგავლენაც, რაც ისედაც უფერულ ცხოვრებას ჩვენი ხალხისას უფრო უფერულად და აუტანელადა ჰხდიდა. აი ამისათანა გასაჭირ დროს, მაშინდელ საუკეთესო ქართველთა აზრით, საჭირო იყო გამოჩენილიყო ქართველთა შორის დიდი ბუნების და დიდი ნებისყოფის ადამიანი, ახალი დროის იარაღით – სწავლით – აღჭურვილი, ყოველმხრივ განათლებული, რომე-

ლიც შესძლებდა ქართველი ერისათვის ახალი ცხოვრების შექ-მნას, უვალი და ეკლიანი გზის გაკაფვას. ასრულდა ასეთი ნატვრა! მესამოცე წლების დასაწყისს მოევლინა საქართველოს დიდი ილია, ვითარცა მაცხოვარი იესო და მისნი დიდებულნი მოციქულნი ქვეყნიერობას. საქართველოს და მის ძეთა საკეთილდღეოდ ილია, ვითარცა მოციქულნი, საზრდოთა ჰხმარობს ქრისტეს მცნებას; ქადაგობს კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, თანასწორობას; გვასწავლის შრომის მოყვარეობას და უნარიანობას „მომავლისათვის ბედთანა ბრძოლას“, სიტყვით, თუ საქმით, თუ მწერლობით თანამოძმეთ შთაგვაგონებს და გვინერგავს გულში ჭეშმარიტებისადმი სიყვარულს და უხვად ჰფენდა ჩვენში განათლებასა. საკმაო იყო მხოლოდ ხილვა მისი ნათელი სახისა, ანუ ხსენება მისი სახელისა და უმალვე ზემორე ჩამოთვლილი თვისებებით ჩვენი აღჭურვა და შეიარაღება. გულადი მებრძოლი და შეუპოვარი მოქალაქე იყო ი ლ ი ა თვისი ერის ინტერესების დაცვის საქმეში. ჭეშმარიტად, ღვაწლი ილიასი დიდია წინაშე საქართველოისა და მისი ერისა. კალამი ჩვენი უძლურია ამ ღვაწლის დაფასებისათვის. ვიტყვით მხოლოდ მოკლედ, რომ მისი ღვაწლი და მოქმედებანი სავსებით შეთანხმებულია სახარების შინაარსთან და დიდებულ გალილეველთა მეთევზურთა ტანჯვათა და შრომასთან. აი, ამგვარი კაცი „თვისთა თანა მოვლინებული, თვისთა არ შეიწყნარეს“. საქართველოს წარსულმა ცხოვრებამ, შინაურმა თუ გარეულმა, შეჰქმნა მრავალრიცხოვანი გუნდი მოწამეთა. ფართოა საქართველოს ეროვნული სამსხვერპლო წინაშე ღვთისა და, აჰა, ერთი გვამიც წარჩინებულ ქართველთაგანიცა მსხვერპლად შეიწირა ღმერთმან ჯვარცმულმან ქართველი ერის ხელეხლად აღორძინებისა და განდიდებისათვის. ილიაც ხომ, სხვა, ქართველი ერისათვის, თავდადებულთა მსგავსად, ამას შესთხოვდა ღმერთს:

...ღმერთო, ღმერთო!
გთხოვ, მიწყალო, შემიბრალო,
რაც გადამხდა, განკითხვის დღეს

მადლად მე არ ჩამითვალო.
მე არა გთხოვ, – მანდ წამება
აქ წამებით შემიმცირო,
მე გთხოვ, – სისხლი აქ დაღვრილი
ჩემი, სხვისთვის შეიწირო.
ღმერთო, ღმერთო!...თვალწინ მიდგა
დიდ ტანჯული მე ძე შენი...
ვით მით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი.

/დიმიტრი თავდადებულიდან/

ძაძებით მოსილნო, დაობლებულნო ძმანო ქართველნო! აღარა გვყავს ილია – მამა – ქომაგი. უკვე სამწუხარო ფაქტის წინაშე ვდგევართ, რასაც ვეღარსად წაუვალთ. ტანჯულ ილიას თქმისაებრ:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
იუდას მიერ გულ-დასერილნო და ლახვარ-ნაკრავნო ქარ-თლოსიანნო!
აქ არის ჩვენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!

თვითეულმა ჩვენგანმა გულის ფიცარზე დავიწეროთ ღვაწლი ილიასი, პირნათლად აღვასრულოთ მცნებანი მისნი და მით სა-შვილიშვილოდ უკვდავყოთ სახელი მისი. ამინ“.

მამის საბუთებში კ. ცინცაძის მიწერილობის ნახვამ, მამის ქადაგების გახსენებამ, რომელიც ი. ჭავჭავაძის მოკვლასთან იყო

დაკავშირებული, გამახსენა ერთი ინციდენტი, რაც მამას შეემთხვა იმავე გარემოებაში სიონის ტაძარში, კათალიკოს კალისტრატეს წირვის დროს. ეს ინციდენტი შემდეგ გარემოებასთან იყო დაკავშირებული. ოციან წლებში მამა მსახურობდა მღვდლად წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში იმ ადგილას, სადაც ეხლა ვერის (კიროვის) პარკია, ჩეკადან განთავისუფლების შემდეგ მან შეადგინა ქადაგება თემაზე: „არა კაც ჰკლა“ და ამისათვის გამოიყენა ფილოსოფიური მასალა. ამ ქადაგებას იგი წარმოსთქვამდა ეკლესიაში ყოველწლიურად და მის წარმოთქმას უკავშირებდა დახვრეტების დღეებს 1924 წლის 30, 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს, ამავე დროს იხდიდა პანაშვიდს დახვრეტილთა მოსახსენებლად. კიროვის პარკის გაშენებისა და ამით გამოწვეული წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა და სასაფლაოს დანგრევის შემდეგ, 1934 წელს, მამა გადაყვანილი იყო სიონის ტაძარში მღვდლად კათალიკოს კალისტრატეს მიერ. სიონის ტაძარში გადასვლის შემდეგ, პირველ შემთხვევისთანავე, დახვრეტების წლის თავზე, მამამ სიონში წირვის დროს წარმოსთქვა ჩვეულებრისამებრ ზემოაღნიშნული ქადაგება თემაზე: „არა კაც ჰკლა“; მწირველად მაშინ იყო კათალიკოსი კალისტრატე. და აი, შუა სიტყვის დროს კათალიკოს კალისტრატეს გადაეწია ფარდა, გამოეღო აღსავლის კარები, სიტყვა მკვეთრად შუაზე შეეწყვეტინებინა მამისათვის და განეგრძო წირვა. მამა იძულებული გამხდარა შებრუნებულიყო საკურთხეველში. რასაკვირველია, ეს ინციდენტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა მლოცველთათვის. საკურთხეველში შესვლისას მამას არაფერი არ ეთქვა კათალიკოს კალისტრატესათვის. იბადება კითხვა: რამ გამოიწვია ასეთი უხეში მოქცევა მამისადმი? მართალია, ეს ქადაგება გამოწვეული იყო დახვრეტებით, მაგრამ გარეგნულად იგი არ შეიცავდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოხდომებს, მთავრობის მიმართ სავსებით ლოიალური წმინდა საეკლესიო შინაარსისა იყო, რა იყო აქ ისეთი, რომ მთავრობის უკმაყოფილება გამოეწვია? ამაზე კათალიკოს კალისტრატეს არაფერი არ ეთქვა. მეტისმეტად დიდი იყო შიში და რიდი ჩეკასი! ყოველგვარი გაუგებრობის გასაქარწყლებლად, მე თავს ნებას მივცემ ეს ქადაგებაც მოვიყვანო აქ.

სიტყვა თქმული დეკანოზ დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილის მიერ სიონის ტაძარში კვირას, 5 სექტემბერს 1926 წ.

შემოდგომის დასაწყისია საყვარელნო! ეს დრო გაზაფხულის მაისის სადარია. იგი მაისივით ღვთის მიერ შექმნილი ბუნების სილამაზის, სიმშვენიერის და უხვი სიმდიდრის მაჩვენებელი და გამომხატველია. ამ დროს მზის სითბო იმგვარად ზომიერია, რა გვარადაც საჭიროა დედამიწის მრავალფეროვან მოსავლის მომწიფებისა და მოკრეფისათვის. მზე თავის სხივებს დიად სამყაროს უხვად აფრქვევს, ათბობს და აშუქებს მასზედ მცხოვრებთა სამოქმედოთ გამოსაწვევად და ასამოძრავებლად. იგი პოეტის თქმით „ცას სიხარულს ფენს და ქვეყანასა შვენებას“. ეს თვეა მთქმელი და გამომრკვევი ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალღონისა, მისი წლიური სარჩოს ავლა-დიდებისა. იგი ღმრთის ქმნილებათა გულში სიამოვნებისა და კმაყოფილების აღმძვრელი, შემდგენელია ზამთრის, გაზაფხულის და ზაფხულის ოფლით ნამოქმედარის, ნაშრომ-ნიადაგის საერთო ჯამისა ქვეყანასა ზედა მცხოვრებთა. ამ თვალსაზრისით შემოდგომის დასაწყისს შეხარის ყოველი დედამიწის არსი, სიცოცხლის დიდი მდომნი. საერთოდ კი, მთელი წლის განმავლობაში ლამაზი, კარგი და საუცხოვო სახილველია ღმრთის მიერ შექმნილი ქვეყნიური ბუნება, საყვარელნო!. თვით ღმერთმაც კმაყოფილება განიცადა იხილა რა თვის მიერ შექმნილი ხილული ქვეყნის მშვენება. აი, რა სწერია წინასწარმეტყველის მოსეს წიგნის „დაბადების“ პირველ თავშივე: „და იხილნა ღმერთმან ყოველნი რაოდენნი ქმნა, და აჰა, კეთილ ფრიად“ (დაბ. I 31). გინდაც ბუნების სიმშვენიერის საუცხოვო აღწერილობის განცდა? აჰა ამისი ნიმუში პოეტური ნიჭითა და ღრმა რწმენით დაწერილი გრიგოლ ორბელიანის მიერ:

„ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შვენება!

აენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი;

ცა მშვენიერობს, ნათდება... მასა შევნატრით მხილველნი!

ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული;

დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰგალობს ბულ-ბული?...

ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს, მის ფერუთვალავ შვენებას!

სიბნელეს აქრობ სინათლით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრე-ბას!"

ბუნების წიაღში დაბადებული კაცი, ბუნების გვირგვინად აღიარებული, ბუნებას მჭიდროდ უკავშირდება. მიუხედავად დუ-ხჭირი ცხოვრების პირობებისა, მრავალგვარი გაჭირვებისა, იგი მაინც მონატრებულია სიცოცხლისა, მას მაინც ემძიმება ბუნება-სთან დაშორება. ეზარება სიკვდილი, სძაგს იგი, ეშინიან მისი მო-ახლოებისა.

გავიხსენოთ ადამის საქციელი სამოთხეში... „და უწოდა უფა-ლმან ღმერთმან ადამს და ჰრქვა მას: ადამ, ადამ, სადა ხარ? და მან თქვა: ხმისა შენისა მესმა მავალისა შორისა სამოთხისა, და შემეშინა, რამეთუ შიშველ ვარ და დავიმალე" /დაბ. III, 9-10/. ვის დაემალა ადამი? ყური ვუგდოთ დაბადებას: „და ამცნო უფალმა ადამს და ჰრქვა: ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამოთ, ხოლო ხისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, არა სჭამოთ მისგან და რომელსა დღესა შჭამოთ, სიკვდილით მოჰკვდეთ" /დაბ. II, 16-17/ აი, რას დაემალა ადამი – სიკვდილით მოკვდომასა და ამ სასჯელის დამწესებელს – ღმერთს. ადამი შეეცადა სიკვდი-ლის თავიდან აცილებას და ღვთის კითხვაზე „ვინ გითხრა შენ რამეთუ შიშველ ხარ, უკეთუ არა ხისგან, რომლისა გამცენ შენ, მისგან ხოლო არა ჭამა, და მისგან ჭამე? თქვა ადამ: დედაკაცი, რომელი მომეც ჩემთანა, მან მომცა მე ხისა მისგან, და ვსჭამე" (დაბ. III,11-12). ადამი რომ არ მომკვდარიყო, სიკვდილით არ დას-ჯილიყო, ბრალს იყრის თავიდან, დანაშაულობას არ კისრულობს, მთელს სიმძიმეს თვისი დაცემისას დედაკაცს მიაკუთვნებს. დე-დაკაცი რას სჩადის? ტვირთულობს იგი სიმძიმეს ღვთისა და ადა-

მის წინაშე? არა, იგიც, სიკვდილის თავიდან აცდენის მდომი, ბრალდებულად არა სთვლის თავსა; თვის დაცემის მიზეზად გველს აძლევს (?) სამართალში. „და ჰრქუა უფალმან ღმერთმან დედაკაცსა: რაი ესე ჰყავ? და თქვა დედაკაცმან: გველმან მაცთუნა მე და ვჭამე“ /დაბ. III. 13/ და ასე საყვარელნო, ქვეყნის დაბადებიდანვე პირველნი კაცნიც, ბუნების უზომო სიყვარულით, სიკვდილს გაურბიან, ემალებიან, დანაშაულობას არ კისრულობენ, შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებენ; და ყველა ეს ჩაიდინეს არა სხვა რაიმე მოსაზრებით, მხოლოდ ამ ქვეყნად სიცოცხლის ნდომით, სიკვდილის შიშით, მისი თავიდან ასაცილებლად, „ხე ცხოვრებისა საშუალ სამოთხეში“ მდგომელის ნაყოფით ხელეხლა სარგებლობის განგრძობისათვის, რათა კვლავ მუდმივ ეცხოვრათ, არ მომკვდარიყვნენ. და განა მარტო კაცს სწყურიან სიცოცხლე ამ ქვეყნად? განა მარტო კაცთა ბუნებასთან შეთავსებული, მჭიდროდ შეთვითხორცებული? განა მარტო მას ემძიმება, ეზარება სიკვდილი, ბუნებასთან კავშირის გაწყვეტა, თავისი არსებობის მოსპობა და მიწად და მტვრად ქცევა? პირუტყვები? მფრინველნი? მწერები? მცენარეები და სხვანი და სხვანი ამ ქვეყნის ქმნილებანი? გადაშალეთ დიდი ილიას „გლახის ნაამბობი“ და გულდასმით, ფხიზელი ყურადღებით წაიკითხეთ პირველ თავშივე მონადირის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილი ირმის უკანასკნელი საყვედური – ჩივილი მონადირისადმი მიმართული. ...ირემმა დააპირა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირემი, აქამდის ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაართხო იმ ბალახზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დაეხუჭა, რომ სამუდამოდ გამოესალმოს. ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ. უნდა ჰნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რა რიგად უდრტვინელად და მშვიდად კვდება; მაგრამ ყოველთვის მის ცრემლ-მორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც უბოროტოსა და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?... ესე სიტყვები აღონე-

ბენ გულს. უეჭველია თქვენი გულნიც ბევრჯერ შეშფოთებულან ამ გვარი და ამაზე უარესი სურათის ხილვით, წაკითხვით თუ მოსმენით. აჰა კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუში მფრინველთა სიყვარულისა და კავშირისა ბუნებისადმი უსამართლო მკვლელობის საწინააღმდეგოთ თქმული. თქვენ გახსოვთ ალბათ „დედა-ენა“-ში მოყვანილი პატარა სახალხო ლექსი, სათაურით[67]:

ასეთ მაგალითებს ბუნების ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე მრავლად ვხვდებით აღძრული აზრის დასასაბუთებლდ. დაუბრუნდეთ საღმრთო წერილს. დღიდან ადამის მიერ ღვთის ბუნების დარღვევისა ადამისა და კაცობრიობის მძიმე ხვედრად სიკვდილი შეიქმნა. „და ჰრქვა უფალმან ღმერთმან ადამს: რამეთუ ისმინე ხმა ცოლისა შენისა, და სჭამე ხისგან, რომლისა გამცენ შენ მისი ხოლო არა ჭამა და მისგან ჭამე... ოფლითა პირისა შენისათა შჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მოქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მიღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ, და მიწადცა მიიქცე /დაბ. III,17-19/. და ესრეთ საყვარელნო, ადამის დროიდან კაცი, სხეულით ბუნებრივათ მიწისაგან შობილი, და ბოლოს ბუნებრივადვე ხორციელად კვდება და ისევე მიწას უბრუნდება მიწადვე გადასაქცევად. ასეთია ღვთის უცვალებელი განჩინება. [მაშ კაცი, როგორც ღვთის დანაბადი, ღვთისავე განჩინებით უნდა კვდებოდეს. ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, მფლობელია ცხოველთა კაცთა ზედა. ღვთის ხელშია სიცოცხლე და არსებობა ქვეყნიურობისა და მისივე უფლების ფარგლებშია კაცის სიკვდილ-სიცოცხლე. გარეშე ღვთისა ამ უფლებით სარგებლობა არავისია. კაცთაგანი, მიმთვისებელი ამ უფლებისა, დიდი პასუხისმგებელია ღვთის წინაშე. ღმერთს რომ კაცის გვამში სისხლი ჩაუწვეთებია, უმალვე სასწორზე დაუდვია და აუწონია იგი, ფასდაუდებლად აუღიარებია, და ისეთი ძლიერი, ჭექა-ქუხილის მსგავსი ხმა ჩაუწნავს-ჩაუტანებია შიგ, რომ, როცა კი, იძულებით ახმაურდება, დედამიწის პირიდან ცამდის, ღმერთამდის, ღაღადებს უძლიერესის ხმით ძალმომრეობის, უსამართლობის და უღმრთობის აღსანიშნავად. აი დაბადების მე-4 თავი რას

67 სათაური და ლექსი ხელნაწერში მოყვანილი არ არის

მოგვითხობს ამგვარ მცდელობის შესახებ: „და ჰრქვა კაინ აბელის მიმართ ძმისა თვისისა: განვიდედ ზოგად ველად; და იყო ყოფასა მათსა გველსა. აღდგა კაინ აბელის ზედა ძმისა თვისისა და მოჰკლა იგი, და თქვა უფალმან ღმერთმან კაინის მიმართ: სადა არს აბელ, ძმა შენი? და თქვა: არა უწყი; ნუ მცველი ძმისა ჩემისა ვარ მე? და თქვა უფალმან: რაი ესე ჰყავ? რამეთუ ხმაი სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდამი ქვეყანით? /დაბIV, 8-10. / აი რა გვარი ხმისაა სისხლი მოძმისა. და ასეთი ხმა მოძმის სისხლისა არაოდეს არ ჩუმდება, საყვარელნო, საშვილიშვილოდ საუკუნოებს გადაეცემის. კაინის მიერ დაღვრილი ძმის, აბელის სისხლი დღესაც ისევე ძლიერად, ჭექა-ქუხილის ხმით, ცამდის ღაღადებს, არა ჩუმდება, არც გაჩუმდება ვიდრე ქვეყნიერობა იარსებებს. ასე ძნელია, და მძიმე და საპასუხიმგებლო მოძმის სისხლის დაღვრა წინაშე ღვთისა, საზოგადოებისა და საკუთარი სინიდისისა][68]. ამისათვის ძველი აღთქმის სჯულის მდებელმა, მოსე წინასწარმეტყველმა ებრაელთ და მათ სახით კაცობრიობას მისცა მცნებათ: „არა კაც ჰკლა; ხოლო რომელმან მოჰკლას, თანმდებ არს სასჯელისა“. ახალი აღთქმის სჯულმდებელი მაცხოვარი იესო ქრისტე კი ბრძანებს: არა თუ კაცის კვლა დაუშვებელიაო, „მე გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქვას ძმასა თვისსა: რაკა, ანუ თავ-ცარიელი-სულელი, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსვლად; რომელმან ჰრქვას ძმასა თვისსა: ცოავ-ანუ უჭკუო-უაზრო-თანამდებ არს იგი გეენიასა ცეცხლისასა. /მათ. V, 21-22/. ქრისტეს მცნებით, საყვარელნო, არამც თუ კაცის კვლა არ შეიძლება, კაცის უბრალო სიტყვითაც შეურაცყოფა დიდ პასუხსაგებია. [რად არის დიდ ცოდვად, დიდ დანაშაულად აღიარებული კაცის კვლა? ერთხელ კიდევ მოუსმინოთ მოსე წინასწარმეტყველს. იგი სწერს დასმულ კითხვის საპასუხოთ შემდეგს: „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად და მზგავსად ჩვენდა; და მთავრობდეს იგი თევზთა ზღვისათა, და მფრინველთა ცისათა,

68 შენიშვნა: კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული აბზაცი კ. ცინცაძეს გადახაზული აქვს

და პირუტყვთა, და მხეცთა, და ყოველსა ქვეყანასა, და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა. და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისსა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი. და აკურთხა იგინი ღმერთმან, მეტყველმან: აღორძინდით და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანაი და ეუფლენით მას“... /დაბ. I, 26-28/. ამ დაბადების ამონაწერიდან სჩანს, რომ კაცი სულით ხატებაა, მსგავსებაა ღვთისა; უკვდავი არსებაა; გვირგვინი და მეფეა ბუნებისა; იგი ქვეყანაზე საცხოვრებლად ქვეყნის სამფლობელოდ ღმერთს დაულოცნია, უკურთხებია. ასეთი უფლების წართმევა მხოლოდ ღმერთის უფლების მბოძებელს შეუძლიან და სხვა არავის.

კაცი სხეულითაც დიდი ღირსებისაა. დიდებული მოციქული სწერს კორინთელთა: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღვთისანი ხართ, და სული ღვთისა დამკვიდრებულ არს თქვენ შორის“ /კორ. III, 16/. კაცის სხეული, პავლეს სწავლით, ღვთის ტაძარი ყოფილა, სული წმიდის სადგურად, საცხოვრებელ ბინად განჩინებული შემოქმედის ღვთის მიერ, თუ რა ცოდვას მოიმოქმედებს ასეთი ღირსების სხეულის მკვლელი, დამრღვევი და დამფუშველ-მომსპობი და რა სასჯელს უნდა მოელოდეს იგი ამის გამო, საპასუხოთ ამისა განაგრძობს პავლე მოციქული კორინთელთადმი ეპისტოლეში: „რომელმან ტაძარი ღვთისა განხრწნას, ანუ დაარღვიოს, დაფუშოს, მოკლას, განხრწნეს იგიცა ღმერთმან, რამეთუ ტაძარი ღვთისა წმიდა არს, რომელი ეგე ხართ თქვენ“ /კორ. III, 17/

მაშ გულის ხმასა შინა შთავარდი და სიკვდილამდე მასში იმყოფებოდე, კაცო, მოყვასო ჩემო! ხატება და მსგავსება ხარ ღვთისა სულით, სხეულით კი ტაძარი ღვთისა და სადგური სულისა წმიდისა; შეიგნე საფუძვლიანად შენი ამ ქვეყნად მცირე ხნით მყოფობის ჟამსა დიდი მოვალეობა და მაღალი დანიშნულება. მტკიცედ დაიცევი ძველი და ახალ აღთქმათა დიდი მცნება: „არა კაც ჰკლა“. აცადე კაცს, მოძმესა და მოყვასსა შენსა, ბუნების კანონების ფარგლებში ღვთის განგებით მოვლინებულს, ბუნებრივად და ღვთისავე ბრძანებით მიიცვალოს ამიერ ქვეყნით, შე-

ასრულებინე მას თავისი ამ ქვეყნად მოვლინების მიზანი და დანიშნულება. გამჩენელ ღმერთს უბოძებია შენთვის ჭკუა-გონება, თვალთა-ხედვა, ყურთა-სმენა, ვრცელი მინდორი გულად წოდებული კეთილი თესლის დასათესად და ასეთივე ნაყოფის გამოსაღებად და ხელნი და ფერხნი არა ბოროტთა, არამედ კეთილთა საქმეთა მოსაქმედებლად. „იყვნეთ თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრული არს“, /მათ. V, 48/ გვისახავს ქრისტე მიზნად, და ამ მიზანს ვერ მივწვდებით, უკეთუ კაცის-მოძმის სიცოცხლეს სათუთად არ მოვეპყრობით.

შემოდგომის დასაწყისი, ბუნებით ლამაზი და მშვენიერი წმ. ეკლესიამ ლამაზი, მშვენიერი და ღრმა შინაარსის საეკლესიო დღესასწაულებით შეამკო, რომელნიც მოაგონებენ კაცს მის მოვალეობას და დანიშნულებას ღვთისა, კაცისა და საკუთარი სინიდისის წინაშე, მაშ ნუ გაურბი ეკლესიას, მოყვასო ჩემო, იქონიე მასთან კავშირი, ყური ათხოვე მის სწავლა-მოძღვრებას; დიდი საუნჯეა მის წიგნთა შინა დაფარული შენი გონების ასამაღლებლად, ცივი გულის გასათბობად, ზნეობრივად შენ განსაბანად, განსაწმენდათ, გასაფაქიზებლად და სულიერ უკეთურებათა მოსასპობად; და ჰპოებ გზას, რომელიც მიგიყვანს ამა ქვეყნის ცხოვრების ჭეშმარიტ მიზნის კარამდე. „რომელსაც ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“. ამინ!“

კალისტრატეს კათალიკოსად ყოფნისას მოხდა ქაშვეთის ეკლესიის ჭერის მოხატვა გუდიაშვილის მიერ კალისტრატეს ინიციატივით. კალისტრატემ გუდიაშვილს გადაუხადა 180 მანეთი. ამ მხატვრობის განხორციელებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მორწმუნეთა შორის.

თვით მხატვრობა არ მოსწონდათ: ეს ღვთისმშობელი კი არა, ნამდვილი კოლმეურნე დედაკაციაო, ამბობდნენ.

ამის შესახებ მამას მასთან ლაპარაკი არ ჰქონია, ამიტომ მისი აზრი პირადად მისგან არ მოდის, მაგრამ გუდიაშვილს მამასთვის ეთქვა ერთი შეხვედრის დროს, სანამ დავხატავდი, მე მონასტრები და ეკლესიები მოვიარე, ჩემი მხატვრობა იქედან არის გადმოღებულიო; გარდა ამისა, ეს მხატვრობა წინასწარ

კალისტრატეს შევუთანხმე და მისი მოწონების და დასტურის შემდეგ განვახორციელეო. მე ეს მხატვრობა არ მინახავს ჩემი თვალების სიბეცის გამო (ჩემი თვალთახედვის ნაკლოვანების გამო). მხატვრობის შეფასება სპეციალისტის საქმეა. გუდიაშვილი გამოჩენილი მხატვარია და მის ყოველ ნამუშევარს, უეჭველია გარკვეული ღირებულება აქვს. ქაშვეთის ეკლესიაში გუდიაშვილის მიერ შესრულებული მხატვრობა გუდიაშვილის ზედმეტად შესრულებული ქმნილებაა, რომელიც დარჩა შთამომავლობას.

ეს უეჭველია კალისტრატეს დამსახურებაა, მაგრამ საქმე ამაში როდია; კალისტრატე კათალიკოსი, იყო, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური, და მისი ყოველი მოქმედება სარწმუნოების, (რელიგიის) თვალსაზრისით უნდა იყოს განხილული.

საქართველოს ეკლესია მაშინ უდიდეს მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა. ბევრ ეკლესიაში მგალობელთა გუნდი არ იყო და ამ ვითარებაში მხატვრობის განხორციელება ეკლესიაში უაზრო ფუფუნებას წარმოადგენდა. არც ერთ წინა კათალიკოსს ეს აზრადაც არ მოსვლია, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი მატერიალური მდგომარეობა ეკლესიისა გაცილებით უკეთესი იყო დღევანდელზე – ეკლესიებში წყალსაშვები მილის შეკეთებას ვერ ახერხებდნენ. წინა კათალიკოსების ზრუნვა სარწმუნოების განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. მაგ. კათალიკოს ამბროსის მოღვაწეობის დროს წმ. ნიკოლოზის ეკლესიას საუკეთესო გუნდი ჰყავდა, რომელიც გამოცდილი მომღერლებისგან შესდგებოდა, მას ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი პაპიაშვილი, სიონში იყო საუკეთესო გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი მაღრაძე; სიონში იმართებოდა საეკლესიო კონცერტები, რომლის მონაწილეებიც იყვნენ ზოგჯერ ოპერის მსახიობები. კათალიკოსმა ლეონიდემ განიზრახა წმ. აბოს სახელობის ეკლესიის აშენება, მაგრამ არა ეკლესიის ფულით, არამედ მორწმუნეთა შორის შემოწირულობების შეგროვებით; მახსოვს, მენშევიკური მთავრობის დროს სიონის ტაძრის შემოსასვლელში მდგარი ახალგაზრდა ფერაძე (შემდგომში ეპისკოპოსი, საზღვა-

რგარეთ გახიზნული, მეცნიერი), რომელიც ხმამაღლა მიმართავდა მორწმუნეებს: „თქვენ არაფერს შემოსწირავთ წმ. აბოს ეკლესიის მშენებლობას“ (ეკლესია არ აშენებულა, ალბათ საკმარისი ფული არ შეგროვდა; ფერაძე ბოლშევიკური ხელისუფლების დროს იყო საზღვარგარეთ, მეცნიერი, რომელსაც ერთ-ერთ თავის გამოკვლევაში იხსენებს ივ. ჯავახიშვილი და ეკამათება კიდეც იქვე მას; თუ მეხსიერება არ მღალატობს, ფერაძემ აწარმოა არქეოლოგიური გათხრები სინას მთაზე. ბოლშევიკების დროს იყო საზღვარგარეთ, სიკვდილით დასაჯეს ფაშისტებმა ვარშავაში, რა ბრალდების გამო, არ ვიცი).

კალისტრატეს დროს განიზრახეს მისი მეცნიერების დოქტორად გამოცხადება, ეს უფრო ბავშვურ წამოწყებას ჰგავს მეთქი, მითქვამს, რადგან სამეცნიერო ხარისხის მინიჭება სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს საქმეა მეთქი, მით უმეტეს გრ. ფერაძისათვის მიეცეს კალისტრატეს და ეკლესიას. ეს განზრახვა არ განხორციელდა, რა მიზეზის გამო არ ვიცი, თუმცა ზოგი ამას საჭიროდ თვლიდა. მაგ. მიტროპოლიტმა მელქისედეკმა, შემდეგში კათალიკოსმა მელქისედეკმა ერთ-ერთი შეხვედრისას ასეთი სიტყვებით მომმართა: „საჭირო იყო, საჭირო, კალისტრატეს დოქტორად გამოცხადება!“ რამ შეუშალა ამას ხელი? მე ეს არ ვიცი, მელქისედეკს ჩემთვის არაფერი უთქვამს ამის შესახებ. იქნებ ჩემი სიტყვები, ჩემი ნათქვამი ვინმემ მიუტანა კალისტრატეს და ამან ააღებინა ხელი განზრახვის შესრულებაზე?

ვფიქრობ, ამით არაფერი დაჰკლებია, როგორც კათალიკოსს, ასე ეკლესიას, ამას ადასტურებს თუნდაც ის პატივი, რომელიც სცეს კალისტრატეს მისი დაკრძალვის დღეებში. აუარებელი ხალხი მიმწყდარი იყო სიონის ტაძარში და ტაძრის ახლო მდებარე ქუჩებში, სიონი ხალხით იყო გაჭედილი; რადგან შესვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ ვიწრო გასავალი იყო შექმნილი და მსურველებს ჩრდილოეთის კარიდან უშვებდნენ შიგ, კუბოს გვერდით გავლით გაუჩერებლივ გაყავდათ გარეთ, სამხრეთის კარით. მოსკოვის საეკლესიო ჟურნალში „Журнал Московской епархии“ მოთავსებული იყო წერილი, სადაც მაღალი შეფასება ეძლეოდა მის პიროვნე-

ბას და მოღვაწეობას. ამაზე მეტი პატივი არც მაშინ ეგებოდა მეც. დოქტორად რომ ყოფილიყო გამოცხადებული. აღვნიშნავ კიდევ ერთ ფაქტს: კათალიკოსი კალისტრატე ანდერძის თანახმად დაასაფლავეს სიონში ჩრდილოეთის სვეტთან, კათალიკოს მელქისედეკის ანდერძის თანახმად იგი უნდა დასაფლავებულიყო იმ სვეტის მოპირდაპირე სვეტთან, სადაც კალისტრატე ასაფლავია, შესაფერი წარწერით, მსგავსად კათალიკოს კალისტრატეს წარწერისა, აგრეთვე სვეტზე უნდა გაკეთებულიყო წარწერა. ცხადია, ამ ანდერძის შემსრულებელი კათალიკოსობის კანდიდატი უნდა ყოფილიყო; ამ შემთხვევაში მიტროპოლიტი ეფრემი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მივცეთ სიტყვა კ. ემჩინოვს: – მე ვუთხარი ეფრემს, შენ უფრო შეგფერის იმ ადგილას დასაფლავება, ეს ადგილი შენთვის შეინახე-მეთქი და ეფრემმაც ყურად იღო ჩემი სიტყვები – მან კათალიკოსი ეფრემი სხვა ადგილას დაასაფლავებინა წინააღმდეგ მისი ანდერძისა. მაშ ასე, „დაე“ კათალიკოსები ერთმანეთს ეცილებიან იმ ადგილში სიონში, სადაც ისინი უნდა დასაფლავდნენ, სადაც მათივე აზრით მათ შეჰფერით დასაფლავება, რომ უზრუნველყონ თავისი უკვდავება. რუსი კ. ემჩინოვი დაძვრება მოშურნეებში და აუწყებს მათ კიდევ ერთ ფაქტს ეკლესიის დაკნინების და დაქვეითებისას. უფრო მეტიც 1971 წლის 22 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ გაჩნდა სტატია, რედაქტორის სვეტად წოდებული, კალისტრატე იხსენიება „ღირსეულ მოქალაქედ, მამულიშვილად და დიდ მეცნიერად“. მოხდა კალისტრატეს, როგორც სამღვდელო პირის სრული რეაბილიტაცია, მაშინ, როდესაც მანამდე სამღვდელო პირის დადებითად ხსენებაც კი კომუნისტებისათვის მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა.

ყველა უკანასკნელ კათალიკოსს კალისტრატეს, მელქისედეკს, ეფრემს ახალგაზრდობიდანვე ჩვენი ხალხი იცნობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ჩვენს მშობლებს 4 შვილი ჰყავდათ და ოთხივე შვილის ნათლია კალისტრატე იყო. როცა არდადეგებზე სოფლად მივდიოდით სემინარიაში სწავლის დროს, მიხას (ასე ეძახდნენ მელქისედეკს მოსწავლეობისას) ოთახში ჩავისახლებდით ხოლმე.

კ. ცინცაძე მეტისმეტად მშიშარა იყო. იგი აშკარა წინააღმდეგობას ვერ უბედავდა ხელისუფლებას, არა მარტო ეხლა, ბოლშევიკური სისხლიანი ტერორის დროს, არამედ ძველი, მეფის რეჟიმის დროსაც. თავს იკავებდა იმისაგან, რომ აშკარად გამოსულიყო ხელისუფლების წინააღმდეგ, ამჯობინებდა გაჩუმებას. მაგონდება მამის მიერ ნაამბობი ერთი ეპიზოდი, ძველი სამღვდელოების ცხოვრებიდან: თბილისის სამღვდელოების კრებაზე, რომელსაც თავჯდომარეობდა შავრაზმელი მღვდელი გოროდცოვი (ჭეშმარიტ რუსთა კავშირის აქტიური წევრი), მისიონერული ეკლესიის მღვდელი. ეს ეკლესია მდებარეობდა ყოფ. მილიუტინის (ეხლა მერკვილაძის) და ყოფილ ანდრეევის (ეხლა ორჯონიკიძის ქუჩა) ქუჩების კუთხეში. ეხლა ეს ეკლესია დანგრეულია. აი, ამ მღვდელ გოროდცოვს კრებაზე ესაყვედურებინა ქართველი სამღვდელოებისათვის იმის შესახებ, რომ ისინი თავის შვილებს საერო სასწავლებლებში ასწავლიან, სასულიერო სასწავლებლების გვერდის ავლით. სიტყვა აეღო მამას. ამის მიზეზად უმთავრესად დაესახელებინა ის გარემოება, რომ სასულიერო სასწავლებელდამთავრებულ ქართველებს გასაქანს არ აძლევენ მომავალი პრაქტიკული ცხოვრებისათვის, მათ არავითარ შესაძლებლობას არ უქმნიან წინსვლისათვის და მაგალითისათვის დაუსახელებია თავისი თავი, მეც, ეთქვა მამას, ვზრდი ჩემ შვილებს საერო სასწავლებელში – გიმნაზიაში, მოეყვანა გასამართლებელი მიზეზებიც, კერძოდ, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად სემინარიადამათავრებულებს გარდა სასულიერო აკადემიაში სწავლისა, მხოლოდ იურევის (ეხლანდელი ტარტუს) და ტომსკის უნივერსიტეტებში ჰქონდათ უფლება დაუფლებოდნენ უმაღლეს ცოდნას. სხვა უნივერსიტეტების კარები მათთვის დახურული იყო. კრების დამთავრების შემდეგ მამა, კ. ცინცაძე და ანტ. თოთიბაძე ერთად წამოსულიყვნენ. გზაში კ. ცინცაძეს ეთქვა მამასთვის, შენ ისე კარგად, ამომწურავად დაასაბუთე დასმული საკითხი, რომ მე სათქმელი არაფერი დამრჩაო. უფრო მკვეთრად გამოვლინდა კ. ცინცაძე მაშინ, როცა კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაიწყო ვერის სასაფლაოს პარკად გადაკეთება, (ამ ჟამად იქ კიროვის პა-

რკია გაშენებული) ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაო დახურული არ იყო. ბევრი ეხლად გათხრილი საფლავი იყო, ჭირისუფალთა პროტესტების მიუხედავად საფლავები გადათხარეს, მიცვალებულების ძვლები ეყარა ზედაპირზე. აი, ერთ-ერთი ამის მაგალითი: სამუშაოთა მწარმოებელი ფირუმოვი მოვიდა, უთვალთვალებს მუშაობის მიმდინარეობას, შენიშნავს ქალის გრძელ თმას, „უჰ!“ შესძახებს, თან ფეხით მიწას აყრის, თან ეხლავს ჭირისუფალთა ვიშისა და ვუის შეძახილები. ჭირისუფალთაგან გამოირჩევა ხასიათით ექსტრავაგანტური სანგარინის ქვრივი, სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმეთა მმართველი ელენე ციცქიშვილი, რომელიც გაიძახოდა ჩემი ქმრის საფლავზე თავს მოვიკლავ, მაგრამ მისი გათხრის საშუალებას არ მოგცემო. ჭირისუფალთ განუმარტეს მათ დასამშვიდებლად, ადგილებს მიგითითებთ, რომელთაც არ შევეხებით, შეგიძლიანთ იმ ადგილებზე თქვენი მიცვალებულები გადაასვენოთო, მაგრამ ამით უსახსრობის გამო ვერავინ ისარგებლა თამაზ ორბელიანის გარდა; აგერ მუშები თხრიან მისი მამის საფლავს, თამაზი საფლავიდან შორიახლოს ზის. მომუშავე მუშებთან თამაზის ახლო მეგობარი დგას. გამოჩნდა კუბო, თამაზის მეგობარი გათხრილ საფლავში ჩახტება, ჩახედავს კუბოს მინიან თავს ; „Мамука, Мамука – на основании чего заключаешь что это Мамука[69] – ეკითხება თამაზი – по облику лица, по всему, что ты, Тамаз, разве я не могу узнать Мамуку?[70]“. ერთი შუახნის კაცი მიდის თამაზთან და მაგრა ართმევს ხელს მისი ქცევის მოწონების ნიშნად; აგერ, გვერდით თხრიან ლავრენტი არდაზიანისა და დანიელ ჭონქაძის საფლავებს; ჭონქაძეს თავი ბინტით აქვს შეხვეული, მიიტანეს ბავშვის კუბო, ჭონქაძის საფლავის თაღი გვერდიდან შეანგრიეს ნიჩბებით, გამოიღეს ძვლები, მიტანილ კუბოში მოათავსეს ერთად დანიელ ჭონქაძის და მისი ცოლის ძვლები და დაასაფლავეს ეხლად გათხრილ საფლავში. ელენე ციცქიშვილმა მიმართა კათალიკოს კალისტრატეს თხოვნით გა-

69 “Мамука, Мамука – на основании чего заключаешь что это Мамука? – მამუკა, მამუკა – რის საფუძველზე ასკვნი, რომ ეს მამუკაა?

70 по облику лица, по всему, что ты Тамаз, разве я не могу узнать Мамуку?– სახის იერით, ყველაფრით, რას ამბობ თამაზ, განა მე ვერ ვიცნობ მამუკას?

ეპროტესტებინა მთავრობის მოქმედება. კალისტრატემ ამ თხოვნაზე (არ ვიცი წერილობით თუ სიტყვიერად) მოსწერა მოეწყოთ ეს სასაფლაო „Аскольдова могила[71]“ – მსგავსად. კალისტრატემ წყალი მთავრობის წისქვილზე დაასხა, ფირუმოვი დარბოდა და ყველას აჩვენებდა კალისტრატეს მოწერილ ქაღალდს და ეუბნებოდა: „აი, კათალიკოსი იმასვე გვწერს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ“. ბაღის მშენებლობას ჩიოდნენ იმაზე, რომ მიცვალებულებს ყრიან საფლავებიდან ზედაპირზე და ამაზე კრინტს არა სძრავს თავის ქაღალდში, ერთხელაც არ მისულა სასაფლაოზე შესამოწმებლად იმისა, სწორია თუ არა, რასაც ჩივიან. გამახსენდა წინა კათალიკოსები კირიონი, ლეონიდე; ლეონიდეს პრეზიდენტ ჟორდანიასთან გრიგალისებური მიჭრა და განცხადება მისდამი: „გიცხადებთ სასტიკ საყვედურს და გულიწყრომას“. განა კირიონი და ლეონიდე აპატიებდნენ ვისმე საფლავების ასეთ შერყვნას და უპატიურობას. ელენე ციცქიშვილი გულსაკლავად შესჩიოდა მამას: „რა გვიყო მაგ კაცმა, განა არ სჯობდა არაფერი მოეწერა?“ კათალიკოსის ამ მოწერილობის შემდეგ ჭირისუფალთა წინააღმდეგობა თანდათან მინელდა და მერე სულ შეწყდა. სასაფლაოს ჩრდილოეთ მხარეს კარგა მოზრდილი ცარიელი, მოშანდაკებული ადგილი იყო. ადრე აქ დასაფლავებული იყო მწერალი ცირეკიძე იმ მოსაზრებით, რომ ამ ადგილას პანთეონი გაიმართებოდა. ახალგაზრდებმა ის ადგილი სავარჯიშო პოლიგონად აქციეს. ჭირისუფლებმა ამჯობინეს ცირეკიძის ნეშტის გადმოსვენება ზემოთ სასაფლაოზე. ცირეკიძის დასაფლავების დროს სიტყვა წარმოთქვა ვახტანგ კოტეტიშვილმა. სიტყვის შინაარსი აღარ მახსოვს, ჩამრჩა გონებაში ამ სიტყვის ერთი წინადადება: იგი იყო ჩვენი პროზის ბატონიშვილიო. კათალიკოს კალისტრატეს დროს მოხდა რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ოფიციალური ცნობა. ეს რასაკვირველია მოწყობილი იყო ჩეკას მიერ. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამასთან დაკავშირებით მოწყობილი ბანკეტის

71 Аскольдова могила- ლეგენდის თანახმად კიევის მთავრების: ასკოლდისა და დირის ძვალშესალაგი

თამადად იყო ჩეკისტი. ბანკეტზე დაპატიჟებული იყო თბილისის მთელი სამღვდელოება. მამას თქმით თამადამ გამოამჟღავნა საფუძვლიანი ცოდნა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურისა. რუსეთის იმპერიალიზმი ვერ იტანდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია ფორმალურად, თუნდაც ფიქტიურად, სრული დამოუკიდებელი იყო. იგი ცნობილი იყო რუსეთის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლად, მხოლოდ მისი სუვერენობა იზღუდებოდა საგარეო პოლიტიკის დარგში. მის საგარეო ურთიერთობას ამიერიდან ანხორციელებდა მისი სახელით რუსეთის ეკლესია. ამ შეთანხმებაზე ხელი უწერია კალისტრატეს. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელად იყო სტავროპოლის ეპარქიის ეპისკოპოსი. ხელმოწერის შემდეგ გამართულ წირვაზე, რომელზედაც თანამწირველი იყო კათალიკოსთან ერთად სტავროპოლის ეპისკოპოსი, უკანასკნელმა წარმოთქვა სიტყვა, სადაც მოეყვანა შეთანხმების შინაარსი და ქება-დიდებით მოეხსენიებინა კალისტრატე. ამ დროს კალისტრატეს კმაყოფილების ღიმილით შეეხედა მამასთვის და ეთქვა: „რაებს ამბობს ეს კაცი“, რაზედაც მამას (არაფერი) ეპასუხა: თქვენო უწმინდესობავ! გაიხსენეთ ქართული ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო, და კიდევ პირში მაამებელი ეშმაკის მოციქულია“, რასაც ხშირად იმეორებდა მემუარული ლიტერატურის მიხედვით დიდი ილია ჭავჭავაზე, და კიდევ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ ეს-ეს არის ხელი მოაწერეთ დოკუმენტს, რომელიც ყოველი ქართველისათვის არასასიამოვნო ფაქტს წარმოადგენსო. მამას ქაღალდებში ვნახე საქართველოს ეკლესიის ახალი წესდება, რომელიც წარმოადგენს ძველი წესდების შესწორებას მისი საბჭოთა კანონებთან შეთანხმების მიზნით, დამტკიცებული კათალიკოს კალისტრატეს და ეპისკოპოსების მიერ. თუ გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნულ შეთანხმებას, სადაც კალისტრატეს ხელი უწერია და რომლითაც საქართველოს ეკლესიის სუვერენობა იზღუდებოდა საგარეო ურთიერთობების დარგში, უნდა ითქვას, რომ „დაე“ სამღვდელოების და კათალიკოს კალისტრატეს დროს მოხდა უფლებრივად საქართველოს ეკლესიის სრული გასაბჭოება და დამონება.

[არ მახსოვს რომელი წელი იყო, ვფიქრობ ამ ხანას უნდა მიეკუთვნოს ქვემოთ მოყოლილი ამბავი, კათალიკოსი კალისტრატე მიპატიჟებული იყო რუსეთის ეკლესიის მიერ მოსკოვში, მას დიდი პატივით დახვდნენ, აწირვინეს ვსეხსვიატსკოეს ეკლესიაში, სადაც მას მიართვეს ხატი, რაც კალისტრატემ უმალ უკანვე დაუტოვა მისი იქ ყოფნისა და წირვისა სახსოვრად]

ამასთან დაკავშირებით, როგორ საეჭვოდ და ვერაგულად გამოიყურება ის ფაქტი, რომ მოსკოვის პატრიარქმა კალისტრატეს მისცა წინადადება მიეღო მთელი სომხეთის მართლმადიდებლური ეკლესიის გამგებლობა, რაც კალისტრატემ სიხარულით მიიღო. სიხარულით მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ კალისტრატეს ეთხოვა, როგორც მამამ გადმომცა, მის გამგებლობაში აზერბაიჯანის მართლმადიდებლური ეკლესიის გადაცემაც, რაზედაც მოსკოვის პატრიარქს უარი ეთქვა. [რასაკვირველია, ამას მოსკოვის პატრიარქი საქართველოს ეკლესიის განმტკიცების თვალსაზრისით არ ჩაიდენდა და კალისტრატეს სიფხიზლე და გამჭრიახობა რომ გამოეჩინა ეს წინადადება უნდა უარეყო, რადგან ეს საქართველოს ეკლესიას არაფერს მატებდა, მისი ავტოკეფალობის განმტკიცების თვალსაზრისით][72] ამ ფაქტს ძალაუნებურად ვუკავშირებ მეორე ფაქტსაც, რომელიც აგრეთვე საქართველოს ეკლესიის საწინააღმდეგო მოქმედებად მიმაჩნია. ეს არის ბერ ზინობის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის წინამძღვრად დანიშვნა წინა წინამძღვრის (მგონი სმირნოვის, თუ ლოზოვის გარდაცვალების შემდეგ) კალისტრატეს მიერ. ზინობი ბერად იყო ახალ ათონში, სასტიკი მოწინააღმდეგე საქართველოს ავტოკეფალიისა. როცა საქართველოს ავტოკეფალია გამოცხადდა, რუსები ორ ბანაკად გაიყო, მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა. ზინობი მოწინააღმდეგეთა ბანაკში მდგარა. კალისტრატეს სიკვდილის შემდეგ კათალიკოსმა მელქიდესეკმა (მიხეილ ფხალაძემ) ეპისკოპოსად აკურთხა და დასტოვა ალექსანდრე ნეველის ეკლესიის წინამძღვრად, ამ დროს ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ქართველ მორწმუნეთა შორის. აღნიშნავდნენ ზინობის მტრულ დამოკიდებუ-

72 შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმული არჩილს გადახაზული აქვს

ლებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის მიმართ, და ამის გარდა ამბობდნენ იმასაც, რომ ძველი რეჟიმის დროსაც კი ეპისკოპოსებად საქართველოში ყოველთვის ქართველები იყვნენ, არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ რუსი ყოფილიყო, ხოლო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის დროს რუსი აკურთხეს ეპისკოპოსად და ისიც მტერი საქართველოს ეკლესიისა. ზინობის ეპარქია არ ჩააბარეს, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლებოდა ყოფილიყო უეპარქიოდ, ფორმალურად მაინც, და აი, საეკლესიო კალენდარში, სადაც თავში საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსების სურათები იყო ხოლმე მოთავსებული, ზინობის სურათის ქვეშ გაჩნდა წარწერა „ეპისკოპოსი ზინობი სტეპანაველად წოდებული“. მოხდა აქაც ის, რაც ქრისტეფორეს გაკათალიკოსობის დროს, როცა ქაშვეთის ეკლესია, თბილისის შუაგულში მდებარე მანგლისის ეპარქიაში შეიყვანეს. ალექსანდრე ნეველის ეკლესიის წინამძღვარი საქართველოს ეკლესიის და საქართველოს ერთ-ერთი ეპარქიის ეპისკოპოსი კი არ იყო, არამედ სტეფანაველად წოდებული, სომხეთის ეპარქიის ეპისკოპოსი. მახსოვს, როცა კირიონი კათალიკოსად აირჩიეს, ლეონიდე თბილელი მიტროპოლიტად დატოვეს, რაც კირიონის გულისწყრომას იწვევდა. ამბობდა თბილისში მე ვარ, რა საჭიროა თბილელი მიტროპოლიტის ჩემ გვერდით ყოფნაო. ეხლა კი, საქართველოს კათალიკოსის გვერდით თბილისში დასვეს რუსი ეპისკოპოსი ზინობი ისე, რომ იგი სტეფანაველად წოდებულია და მაშასადამე სომხეთის ეპისკოპოსია. ამიტომ უნებლიეთ იბადება კითხვა, სომხეთის ეპარქიის გამგებლობის გადაცემა კალისტრატესათვის საქართველოს ეკლესიის გამგებლობაში შორს გამიზნული ქმედება ხომ არ ყოფილა, როგორ შენიღბავდნენ ზინობის ეპისკოპოსად კურთხევას? ეხლა კი არც შამფური დაიწვა და არც მწვადი; საქართველოს ეკლესიის უბოროტესი მტრის ეპისკოპოს ზინობის გარშემო, საქართველოს კათალიკოსის გვერდით თავი მოიყარეს შავრაზმელ რუს მორწმუნეთ.

დიდ ეჭვებს იწვევდა ჩემში ხარიტონ დევდარიანის კათალიკოს კალისტრატეს მიერ ქაშვეთის ეკლესიის პირველ მღვდლად

დანიშვნა ლაზრიშვილის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ქაშ-ვეთის პირველი მღვდელი იყო. დევდარიანის დანიშვნა ამ თა-ნამდებობაზე მიმაჩნია აგრეთვე, თუ არ ვცდები, საქართველოს ეკლესიისა და რელიგიის საწინააღმდეგო აქტად! რატომ? – ერთ დღეს, როდესაც ქვაშვეთის ეკლესიის პირველი მღვდელი დიმი-ტრი ლაზრიშვილი ცოცხალი იყო, ხოლო ხარიტონ დევდარიანი ქვაშვეთის ეკლესიის მორიგ მღვდლად ითვლებოდა, ჩვენთან მოვიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის, ნიკოლოზ გაბაშვილის მეუღლე ირინე ბავშვით და მამას სთხოვა ბავშვის მონათვლა იმ პირობით, თუ მამა ბავშვს ჩვენ სახლში მონათ-ლავდა. ნათლიად ერთ-ერთი თქვენთაგანი იყოსო (შოთა). არა-ვითარ შემთხვევაში ბავშვს ეკლესიაში არ მივიყვანო და ამის მიზეზი სთქვა შემდეგი. რაიკომში ჩემი ახლო მეგობარი ქალი მსახურობსო; მან გამაფრთხილა, შენი ბავშვი მოსანათლავად ქვაშვეთის ეკლესიაში არ წაიყვანოო, რადგან ამ ეკლესიის ერთ-ერთ მღვდელს (გვარი არ დაუსახელებია) რაიკომში მოაქვს სია იმ მშობლებისა (გვარები, სახელები, მისამართები), რომლებიც ბავშვებს მათთან ნათლავენ. მე სხვა ეკლესიაშიც მეშინია ბავ-შვის მონათვლა, რადგან შეიძლება იქაც იყვნენ ასეთი მღვდლე-ბიო. მამამ რასაკვირველია თხოვნა შეუსრულა, მით უმეტეს იგი და მისი ქმარი ჩვენი ახლო მეგობრები არიან. როცა შევეკითხეთ მამას, ქვაშვეთის ეკლესიის რომელი მღვდელი უნდა იყოს ასეთი საზიზღარი საქციელის ჩამდენი, მან ხელები გაასავსავა და გვი-თხრა: წარმოდგენა არა მაქვსო, ვერც ერთ იქაურ მღვდელს ასეთ საშინელ ბრალდებას ვერ წავუყენებო. მაშინ საქმე ამით ამოი-წურა. მაგრამ როცა შემდეგში, კალისტრატეს გარდაცვალების შე-მდეგ, კათალიკოს მელქისედეკმა ხარიტონ დევდარიანი ეპისკო-პოსად აკურთხა, ეპისკოპოს დავითის სახელწოდებით, ხოლო კათალიკოს ეფრემის გარდაცვალების შემდეგ, იგი გააკათალი-კოსეს, გამახსენდა ყველაფერი ეს და ვთქვი: რაიკომის აგენტი, რომელიც რაიკომს ატყობინებდა ბავშვების მომნათვლელი მშო-ბლების ვინაობას, სწორედ ეს უნდა იყოს მეთქი. როგორც ამბობ-დნენ მასზე, საშუალო განათლებაც არა ჰქონდა და ნოლი განათ-

ლებისა იყო, არავითარ დადებით ღირსებას არ ასახელებდნენ, რომელიც სხვა მღვდლებისგან გამოჰყოფდა. იგი ცოლ-შვილიანი იყო, როგორც მითხრეს (ვინ, აღარ მახსოვს) ცოლიც და შვილებიც აპროტესტებდნენ მის ეპისკოპოსად კურთხევის განზრახვას და მაინც იგი ეპისკოპოსად აკურთხეს და მერე გააკათალიკოსეს კიდეც. თუ ჩემ ვარაუდს სწორად მივიჩნევთ, მაშინ ყველაფერი გასაგები ხდება.

„დაე“ პერიოდისათვის“ დამახასიათებელი იყო ეკლესიებში შერეული წირვის შემოღება. ერთ დღეს დიდუბის ეკლესიის მახლობლად გავიარე და შევბრუნდი პანთეონის დასათვალიერებლად (დიდი ხანი იყო გასული, რაც პანთეონი არ მენახა). დათვალიერების შემდეგ ეკლესიაში შევედი. წირვა იყო, მწირველად ეპისკოპოსი მელქისედეკი იყო. ერთი ქართველი მანდილოსანი შეცბუნებული ეუბნება მეორეს: რუსულად სწირავენ, რუსულად. ერთი ახალგაზრდა სოფლელი გაუბედავად მეკითხება: ეს ეკლესიაა? ჰო, ვეუბნები, ნუ გერიდება, ახლო მიდი ხატებთან, დაათვალიერე. მელქისედეკი იწყებს ქადაგებას რუსულად. ქადაგების დასრულების შემდეგ, მოუბრუნდა ქართველებს და ეუბნება: შეუძლოდ ვარ და ნუ მათქმევინებთ იმასვე ქართულად, თქვენთვის ხომ გასაგები იყო რუსულად ნათქვამი. დასტურის შემდეგ განაგრძო წირვა. დარჩა ქადაგების გარეშე ის სოფლელი ახალგაზრდა ქართველი, რომელიც პირველად იყო თბილისში, რომელმაც პირველად ნახა ეკლესია, ხოლო ქადაგება კი ვერ მოისმინა, რადგან რუსული არ იცოდა. ეს მოგონილი არაა, ნამდვილ ამბავს ვამბობ, ცხოვრებიდან აღებულს.

მოხსენიებულ პირთა საძიებელი

აბაშიძე, კიტა – 1870-1912 წწ. მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი 51

აბაშიძე, ირაკლი – 1909-1992 წწ. პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე 93, 96

აბაშიძე, გია – კიტა აბაშიძის ვაჟი, სოციალ-ფედერალისტი, დახვრიტეს 1924 წ. აჯანყებაში მონაწილეობისათვის 51, 53

აბრამიშვილი, მიხეილ – 1892-1939 წწ. ფოლკლორისტი, კრიტიკოსი, ქართული ენისა და სიტყვიერების პედაგოგი 19

ადამია – ასეულის მეთაური 8

ამბროსი [ხელაია ამბროსი] – 1861-1927 წწ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი; რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიათან დაკავშირებით ანტანტის გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის ავტორი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისტი 39, 40, 44, 45, 99, 104, 119

ამირეჯიბი, შალვა – 1887-1943 წწ. პოეტი, ეროვნული საბჭოს წევრი 58

ანჯაფარიძე, ვერიკო – 1900-1987 წწ. მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი 93

ანუაშვილი, იაშა [იაკობ]- საგარეჯოს თეატრის დამსახურებული მუშაკი, მსახიობი, რეჟისორი 19

არდაზიანი, ლავრენტი – 1815-1870 წწ. მწერალი, ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი 123

ახალშენიშვილი, ლეო – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საინიციატივო ჯგუფის წევრი 86, 87, 88, 92

აფხაზავა, ევგენი – როტმისტრი, პირველი ქართული ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური. დაიღუპა თბილისის დაცვისას 1918 წ. 8

აღნიაშვილი, ლეო – რევოლუციური მოძრაობის წევრი საქართველოსა და ამიერკავკასიაში 60, 61

აღნიაშვილი, პეტრე/პატიკო – 1896-1937 წწ. ქართველი რევოლუციონერი, საბჭოთა სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე 35, 60

ახვლედიანი – სახალხო სახლის გამგეობის თავმჯდომარე 36

ბაქრაძე, ნინა- მსახიობი 20, 23

ბარათაშვილი, მარიკა – 1908-2008 წწ. პოეტი, დრამატურგი 51

ბარათაშვილი, ოსიკო [იოსებ] – 1874-1937 წწ. ადვოკატი, საზოგადო მოღვაწე, ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი, დახვრიტეს 1937 წ. 44

ბარათაშვილი, ვალოდია – მეტეხის ციხის პატიმარი, სამხედრო 71, 72, 73

ბერიძე – პატიმარი 59, 66

ბერიძე, იოსები – დეკანოზი 105

ბერელაშვილი, გაიოზ – ოფიცერი 18

ბერელაშვილი, ზურაბ – ოფიცერი 18

ბერელაშვილი, სოსო – გიგლა გარსიაშვილის ამხანაგი, დაიღუპა სომხეთთან ომში 18

ბერძნიშვილი, მაქსიმე – 1889-1967 წწ. ისტორიკოსი, „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“ კვლევის ავტორი 45

ბეჟანიშვილი – საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი საგარეჯოში 34

ბურთიკაშვილი, საშა [ალექსანდრე] – 1893-1965 წწ. ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი 20, 21, 23, 28

გაბაშვილი, ნიკოლოზ – 1880-1957 წწ. ქართველი მეწარმე 94

გაგუა – მეტეხის ციხის პატიმარი 72

გამრეკელი, გ. – საკათალიკოსო საბჭოს წევრი 40, 42

გარსიაშვილი, არჩილ – დავით გარსიაშვილის შვილი, ხელნაწერის ავტორი, 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით იყო დაპატიმრებული მცირე ხნით 38, 71, 87

გარსიაშვილი, ბაბილინა – დავით გარსიაშვილის ქალიშვილი 59

გარსიაშვილი, გიგლა – 1900-1924 წწ. დავით გარსიაშვილის შვილი, სტუდენტი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, მამა-

ცობისათვის დაჯილდოებულია წმ. გიორგის ჯვრის ორდენით; დახვრიტეს 1924 წ. 8, 9, 10, 13, 15, 20, 21, 23, 33, 34, 49, 52, 98

გარსიაშვილი, გიორგი – გიგლა გარსიაშვილის ბიძაშვილი 25, 35

გარსიაშვილი, დავით – 1870-1957 წწ. სხვადასხვა დროს თბილისის სხვადასხვა ეკლესიების წინამძღვარი 39, 33, 34, 42, 64, 100, 101

გარსიაშვილი, იერემია – ოფიცერი, დახვრიტეს 1937/38 წწ. 29, 33, 34

გარსიაშვილი, ი. – ზოოტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელი, დახვრიტეს 1937 წ. 80

გარსიაშვილი, მარიამ – 1872-1960 წწ. პედაგოგი, საეპარქიო სასწავლებლის მასწავლებელი 46, 47

გარსიაშვილი, კირა – მსახიობი 25

გარსიაშვილი, ნიკო – ცეიხჰაუზის უფროსი, სასულიერო სემინარიის მოწაფე 15, 25

გარსიაშვილი, შოთა – დავით გარსიაშვილის უმცროსი ვაჟი, არჩილის ძმა 47, 57, 59, 27

გაჩეჩილაძე – მეტეხის ციხის პატიმარი 1924 წ. 66

გეგეჭკორი, საშა [ალექსი] – 1887-1928 წწ. ბოლშევიკი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე 97

გედევანიშვილი, რევაზ – აგრონომი, გიორგი ლეონიძის ცოლის ძმა 61, 74

გელოვანი – სასამართლო პალატის უფროსი 21

გოთუა, ლევან – 1905-1977 წწ. მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში რამდენჯერმე დაპატიმრებული და გადასახლებული 87

გოგიშვილი – საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი საგარეჯოში 34

გომართელი, ივანე – 1875-1938 წწ. ექიმი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი 28, 67

გოროდცევი, სერგი – 1866-1956 წწ. დეკანოზი; მისიონერული საძმოს თავმჯდომარე; ავტოკეფალიის სასტიკი მოწინააღმდეგე 122

გუდიაშვილი, ვლადიმერ [ლადო] – 1896-1980 წწ. ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი 118

გულისაშვილი, ბიძინა – სცენის-მოყვარე მსახიობი 25

დავით V [დევდარიანი ხარიტონ] – 1903-1977 წწ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 127, 128

დავითაშვილი, დ. – ყოფილი პატიმარი 99

დადიანი – ზოოტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი 80

დადიანი, შალვა – 1874-1959 წწ. მწერალი, დრამატურგი 37

დგებუაძე, ნიკოლოზ – 1900-1924 წწ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მისი ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი; 1924 წ. დააპატიმრეს და დახვრიტეს 41, 85, 92

დევდარიანი, სეით – 1879-1937 წწ. ფილოსოფოსი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი; 1905-1906 წწ. სტალინი გადაარჩინა დაპატიმრებას, თუმცა ამან ვერ იხსნა დაპატიმრებისა და გადასახლებისაგან 1937წ. 85

დრო გენერალი [კანაიანი, დრასტამატ] – 1884-1956 წწ. დაშნაკცუთიუნის და სომხეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი; მეორე მსოფლიო ომის დროს ხელმძღვანელობდა ფაშისტური არმიის სომხურ ლეგიონს 19

ეფრემი II [სიდამონიძე, გრიგოლ] – 1896-1972 წწ. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 74, 121

ვაშაყმაძე, ივანე – საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი; დახვრიტეს 1937 წ. 102

ვარდიაშვილი, ანა – 1900-1978 წწ. მომღერალი, პედაგოგი 64

ვარდიაშვილი, ხარიტონ – პოეტი 23

ვაშაკიძე, ლიზა – მსახიობი 25

ზანდუკელი, მიხეილ – 1889-1968 წწ. პედაგოგი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი 48

ზინობი [მაჟუბა ზაქარია] – 1896-1985 წწ. მიტროპოლიტი 126, 127

ზუბოვი – საგანგებო კომისიის გამომძიებელი 49, 84, 85 ,87, 91, 96

თავაძე, გიორგი – 1882-1930 წწ. გენერალი 17, 18

თავდგირიძე, ნიკო – 1891-? წწ. პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე 54

თალაკვაძე, ნიკიტა – 1873-1933 წწ. დეკანოზი, საზოგადო მოღვაწე 40, 43, 100

თავზარაშვილი, გრიგოლ – თბილისის უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის პრორექტორი 102

თედეშვილი, დავით – მშენებელი, სამუშაოთა მწარმოებელი 20,

თოდრია – ჩეკისტი 61

თოთიბაძე, ანტონ – 1865-1938 წწ. დეკანოზი, სამხედრო სობოროს წინამძღვარი 40, 61, 64, 101

თოთიბაძე, ნატალია – დეკანოზ თოთიბაძის მეუღლე 40

თოიძე, ზაქარია – გასტრონომიის მფლობელი 66

თოიძე, მიშა – ზაქარია თოიძის შვილი, გიგლა გარსიაშვილის ამხანაგი 66

ივანოვა – პოლიტ. პატიმარი; დახვრიტეს 77

კალისტრატე [ცინცაძე, კალისტრატე] – 1866-1952 წწ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 100, 101, 104, 118, 119

კანდელაკი, დავით – საქართველოს განათლების სახალხო კომისარი, დიპლომატი; დახვრიტეს 1937 წ; მისი შუამდგომლობით გაათავისუფლეს დაპატიმრებული ივ. ჯავახიშვილი 63

კანდელაკი, ივანე – 1897-1938 წწ. დააპატიმრეს კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით 20

კანდელაკი ბენიამინ – 1877-1944 წწ. დეკანოზი, გადაასახლეს 1937 წ. 39, 40, 100

კანდელაკი, ლეო – გიგლა გარსიაშვილის ნაცნობი 36

კალინინი, მიხეილ – 1875-1946 წწ. საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი ლიდერი 45, 99

კარგარეთელი, ია – 1867-1933 წწ. კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, მომღერალი; ქართული საგუნდო საზოგადოების დამაარსებელი 11

კასრაძე – ნაციონალ-დემოკრატი; დალაქი, მწერალ მარიკა ბარათაშვილის ბიძა 51

კასრაძე, მიშა [მიხეილ] – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 83

კახაბერი, გოგი [გიორგი] – პატიმარი, დავით კახაბერის ვაჟი 85, 92, 97, 98

კახაბერი, დავით – მარტყოფელი მღვდელი, დახვრიტეს 1924 წ. 85

კეცხოველი, ნიკოლოზ – 1887-1982 წწ. ქართველი ბოტანიკოსი, საზოგადო მოღვაწე; საქართველოში ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი 84, 89, 93

კედია, სპირიდონ – 1884-1948 წწ. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი 30

კეკელიძე, კორნელი – 1879-1962 წწ. მღვდელი, ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი, აკადემიკოსი 48, 73

კვანტალიანი [კვანტალიანი, ეპიფანე] – 1889-1937 წწ. ბოლშევიკი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოხელე; დახვრიტეს 1937 წ. 62

კვინიტაძე, გიორგი [ჩიქოვანი, გიორგი] – 1874-1970 წწ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი 29

კიკნაძე, ირაკლი – საინიციატივო ჯგუფის წევრი 84

კირიონ II [საძაგლიშვილი, გიორგი] – 1855-1918 წწ. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი; 2002 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა სინოდმა წმინდანად შერაცხა 71, 127

კონტრიძე, ბენიამინ – თბილისის წმ. მარინეს ეკლესიის დეკანოზი, ბაქოს ქართული სკოლის მასწავლებელი 43

კოტეტიშვილი, ვახტანგ – 1893-1937 წწ. ფოლკლორისტი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, მოქანდაკე 19, 124

კოღუაშვილი მ. – ტერორისტი 16, 46

კოჭლამაზაშვილი – არალეგალური ორგანიზაციის წევრი 41, 50

კურცხალია – არალეგალური ორგანიზაციის წევრი 41, 87

ლაზრიშვილი დიმიტრი – 1870-1947 წწ. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელთმთავარი 128

ლეონიდე [ოქროპირიძე, ლონგინოზ] – 1861-1921 წწ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 119

ლეონიძე, გოგა – მოსწავლე, პატიმარი 66

ლეონტუევი, მიშა – კუკიის სასაფლაოს დარაჯი 39

მაზნიაშვილი, გიორგი – 1870-1937 წწ. ქართველი მხედართმთავარი, გენერალი; დახვრიტეს საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებით 29

მაისურაძე, დარია – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი 25

მამალაძე – მოსამართლე 83

მაღალაშვილი, ლევან [მაგალოვი] – 1879-1926 წწ. პოლკოვნიკი, „ველური დივიზიის“ მეთაური 11, 15, 17

მაღრაძე – სიონის ტაძრის გუნდის ლოტბარი 119

მელიუშენკო, ი. – მე-2 გიმნაზიის დირექტორი 32

მელქისედეკი [ფხალაძე, მიხეილ] – 1872-1960 წწ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 120

მესხი – არალეგალური ჯგუფის წევრი, პატიმრობიდან გათავისუფლებულ იქნა საშა გეგეჭკორის შუამდგომლობით 97, 98

მერაბიშვილი, ნიკო – მასწავლებელი 47

მისაბიშვილი, კალე – პოლიტიკური მოღვაწე, არალეგალური ორგანიზაციის წევრი 16, 46

მიტუშა – მეტეხის ციხის პატიმარი, 63

მჟავია, დიმიტრი – 1896-1965 წწ. მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი 20

მრევლიშვილი, მალიკო – 1900-1984 წწ. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი 20, 22, 23

მურვანოვი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული მიმართულების სალიკვიდაციო კონფერენციის დელეგატი 61

მუსხელიშვილი, ვახტანგ – 1869-1933 წწ. ოფთალმოლოგი, თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის თვალის სნეულებათა კლინიკის პირველი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი 75, 77, 78

მუხაძე, [გრიგოლ] – 1879-1948 წწ. ქირურგი, აკადემიკოსი, საქართველოში ორთოპედია-ტრავმატოლოგიის ფუძემდებელი 36

მჭედლიშვილი, ალექსანდრე/საშა – საგარეჯოს სამხედრო კომისარი 33

მჭედლიშვილი, ვანიჩკა [ივანე] – სცენის-მოყვარე, საგარეჯოს სკოლის მასწავლებელი 25

მჭედლიშვილი, სონა – სცენის-მოყვარე 25

მჭედლიშვილი, გიგა – პატიმარი საგარეჯოდან 74

მჭედლიშვილი, მიტო [დიმიტრი] – მოწაფეთა კომიტეტის წევრი, პოეტ იოსებ მჭედლიშვილის ძმა 79

მჭედლიშვილი, იოსებ – 1888-1956 წწ. მწერალი 79

მჭედლიშვილი, ნინო[ნინონი] – მსახიობი 25

მჭედლიშვილი, ვასილ – გიგა მჭედლიშვილის ძმა; დახვრიტეს 74

მჭედლიშვილი მ. – ზოოტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელი, დააპატიმრეს 1937 წ. 80

მხეიძე გ. – ექიმი, დავით გარსიაშვილის მეუღლის მკურნალი ექიმი 38

ნინიძე, კირილე – 1878-1937 წწ. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ვექილი; 1924 წლის მარტში იცავდა სამღვდელოთა ჯგუფს და პატრიარქ ამბროსი ხელაიას; დახვრიტეს 1937 წ. 44, 45, 54

ნებიერიძე – მასწავლებელი 47

ნუკრაძე, აბრამ – ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი 50

ნუკრაძე, გიორგი – რკინიგზის მოხელე, სცენის-მოყვარე მსახიობი 20

ობოლაძე – გურიის დახვრეტების ორგანიზატორი – ჯალათი 77

ოდიშელიძე, ილია – 1885-1925 წწ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდალი 28, 29

ორბელიანი, თამაზ – 1899-1936 წწ. თბილისის უნივერსიტეტის ინგლისური ენის პედაგოგი 123

ორჯონიკიძე, სერგო [გრიგოლ] – 1886-1937 წწ. საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, პოლიტიკური ლიდერი 48

პაპიაშვილი - წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გუნდის ლოტბარი 119

პოზუშკო – ასეულის მეთაური 8

პოლუმორდინოვი, ივანე – ვექილი 49, 50, 51, 81

პოპოვი – ციხის კომენდანტი 68

პოღოსოვი – გამომძიებელი 79

რაზიკაშვილი, ეთერ – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, თედო რაზიკაშვილის ქალიშვილი 47

რატიშვილი, კოტე – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი 20, 23, 25

რევაზოვი – რეჟისორი, პროფესიონალი მსახიობი 24, 25

რცხილაძე, გიგო [გრიგოლ] – 1876-1934 წწ. იურისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ფსევდონიმი „ზანგი“ 71, 81, 87, 88, 92

რცხილაძე, ირაკლი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული მიმართულების სალიკვიდაციო-საინიციატივო ჯგუფის წევრი, ექიმი 55, 57, 58, 81, 86, 87, 92

საგინაშვილი, კოლა – საგარეჯოს მკვიდრი 25

სანაძე – ზოოტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელი, დააპატიმრეს 1937 წ. 80

სარიშვილი – ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაღუპული მებრძოლი 15

საყვარელიძე, მიშა – 1891-1937 წწ. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, მწერალი, ჟურნალისტი; დახვრიტეს 1937/38 წ. 59, 61, 79

სტურუა, გიორგი – კომპარტიის ცეკას წარმომადგენელი 91

სულაქველიძე, პლატონ – მენშევიკური პარტიის წევრი, მოიჯარადრე, მშენებელ-ტექნიკოსი 12

სუმბათაშვილი, გიორგი – საქართველოსა და რუსეთში მოღვაწე თეატრალური მხატვრის, იოსებ სუმბათაშვილის მამა 70

ტაბიძე, გალაკტიონ – 1891-1959 წწ. საქართველოს სახალხო პოეტი 23

ტარასაშვილი, სერგო [მიხეილ] – 1902-1961 წწ. 1924 წ. აჯანყების მონაწილე, სტუდენტთა კომისიის თავჯდომარე, ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი; ევროპაში პირველი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტექნიკური დირექტორი; სხვა სამ ქართველთან ერთად იხდიდა ქართული საგანძურის „ბანკ დე ფრანსის“ სეიფში შენახვის თანხებს; მონაწილეობდა საგანძურის საქართველოში ტრანსპორტირების ორგანიზებაში 57, 59

ტარასაშვილი, გიორგი – 1900-1971 წწ. მეცნიერი, სოფლის მეურნეობის მუშაკი; სერგო ტარასაშვილის ძმა 83

ტიმოფეევი – ზოოტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელი, დაპატიმრებული 1937 წ. 80

უგრეხელიძე, მარიამ – 1885-1960 წწ. პირველი ქართველი პროფესორი ქალი; პედიატრი, რომელმაც რეპრესირებული მშობლების გადასასახლებლად გამზადებული ბავშვებით სავსე ვაგონი მოახსნევინა შემადგენლობიდან და ასობით ბავშვი გადაარჩინა 100

უგრეხელიძე, ნინო – ექიმი 100

ურთხმელიძე, ეკატერინე – კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის მთავრის, დავით გარსიაშვილის თანამოსამსახურის, სპირიდონ ურთხმელიძის ქალიშვილი 49, 81

ფარადაშვილი, ივანე /ვანიკო – მეტეხის ციხის ექიმი 54, 75, 76, 77

ფარესიშვლი – მღვდელი 65, 74

ფირუმოვი – სამუშაოთა მწარმოებელი 123

ფერაძე, გრიგოლი – 1899-1942 წწ. თეოლოგი, ისტორიკოსი, არქიმანდრიტი. 1955 წ. საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, 2013 წ. მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება 119, 120

ფორია – იხ. ალექსანდრე ცაგურიშვილი

ფხალაძე, მიხეილ – მღვდელი 40, 43, 64, 100, 104

ფურცელაძე, ანტონ – 1839-1913 წწ. პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი 105

ქავთარაძე, ქაიხოსრო – სოციალ-დემოკრატი, იუსტიციის კომისარი 32, 105

ქურდოვანიძე, კოლა – საგარეჯოელი სცენის მოყვარული 19, 25

ქავთარაძე, კ. პ. – ბატარეიის უფროსი 24

ქურხული, ნიკა – მსახიობი 25

ღვამიჩავა, მიშა [მიხეილ] – მოხალისე, იბრძოდა კოჯრის ფრონტზე 20, 21, 22, 28, 31

ყანდარელი ვლადიმერ/ლადო – 1898-1937 წწ. საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროს მთავარი ინჟინერი; დივერსიული საქმიანობისათვის მიესაჯა დახვრეტა ქონების კონფისკაციით 11, 12

ყანდარელი-გაბელაშვილი, კატო – გარსიაშვილების ოჯახის ახლობელი 12

ყანჩაველი, ლევან – 1900-1987 წწ. ფიტოპათოლოგი, აკადემიკოსი 93

ყარანგოზიშვილი, ვიქტორ – პატიმარი, მეტსახელი „გრაფი ბობროვსკი“ 94, 95, 96

ყიფიანი – ზოოტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელი, დაპატიმრებული 1937 წ. 80

ყიფშიძე, ივანე (ვანცა) – 1881-1959 წწ. ინჟინერი, ქართველი მეცნიერი სამთო დარგში, პროფესორი 13

ყურულაშვილი – ხათუნა ჭიჭინაძის ქმარი 20

ჩახავა – სამხედრო პირი, მეტეხის ციხის პატიმარი, დახვრიტეს 61

ჩინჩალაძე – ასეულის მეთაური 8

ჩიქოვანი – ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაღუპული მებრძოლი 15

ჩიჯავაძე, იოსებ – 1867-1929 წწ. ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესიის დეკანოზი, ავტოკეფალისტი 39, 40, 100

ჩოლოყაშვილი, ქაქუცა [ქაიხოსრო] – 1888-1930 წწ. ქართველი სამხედრო მოღვაწე, საქართველოს არმიის პოლკოვნიკი, 1922-1924 წწ. პარტიზანული ომებისა და 1924 წ. აჯანყების ხელმძღვანელი 59

ჩერქეზიშვილი – მოსამართლე 35

ჩეხოვი, ანტონ – 1860-1904 წწ. რუსი მწერალი, დრამატურგი 76

ჩორბაძე, მარიამ – მასწავლებელი 47

ჩხიკვაძე, ელიზბარ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული მიმართულების სალიკვიდაციო კონფერენციის მონაწილე 89, 90

ცაგურია, თამარ – უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე; პოეტ დიმიტრი ხოშტარიას [დუტუ მეგრელი] და მწერალ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ქალიშვილი 82, 83

ცაგურიშვილი, ალექსანდრე [ფორია] – 1881-1937 წწ. ქართველთა ლეგიონის ლეიტენანტი, ყაჩაღი, საბჭოთა ხელისუფლებამ შემოირიგა, ცხოვრობდა სოფ. ვარდგინეთში; დახვრიტეს 1937 წ. 94

ცირეკიძე, ალექსანდრე [სანდრო] – 1894-1923 წწ. მწერალი, პოეტი, ცისფერყანწელთა პოეტური ორდენის ერთ-ერთი ერთგული „რაინდი“ 122

ციციშვილი, გიორგი – ინჟინერ-მექანიკოსი, დახვრიტეს 1924 წ. 67

ციციშვილი, ივანე – პატიმარი 67

ციციშვილი, ვახტანგ – ხრამჰესის ეკონომისტი 67

ციცქიშვილი, ელენე – სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმეთა მმართველი, სანგარინის ქვრივი 123

ქრისტეფორე III [ციცქიშვილი] – 18733-1932 წწ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 39, 40, 43, 100

ციცქიშვილი – პატიმარი 16 წლის, დახვრიტეს 1924 წ. 62

ცხაკაია, მიხა [მიხეილ] – 1865-1950 წწ. კომპარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ლიდერი 31

ცხომელიძე, თედორე – 1882-1952 წწ. სტომატოლოგი, კბილის პირველი ქართველი ტექნიკოსი 78

ძოძუაშვილი, ირაკლი – თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფე 18

წერეთელი, გიორგი – მოხალისეთა ბატალიონის მებრძოლი, შემდგომში საქენერგოს ინჟინერი 16

წერეთელი, გუძიკო – მეტეხის ციხის თანამშრომელი 52

ჭავჭავაძე, ილია – 1837-1907 წწ. მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი 104, 105

ჭიჭინაძე, ხათუნა – 1902-1927 წწ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი; დააპატიმრეს ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის ორგანიზებისათვის 20, 22, 23

ჭონქაძე, დანიელ – 1830-1860 წწ. მწერალი 123

ხასია – პატიმარი 68

ხატიაშვილი – მეტეხის ციხის უფროსი 53

ხახუტაშვილი [დიმიტრი] – 1855-1937 წწ. დეკანოზი, სინოდის წევრი, თბილისში ამბროსი ხელაიას წინააღმდეგ ჩატარებული კრების ორგანიზატორი 40, 41, 42, 100

ხმალაძე – უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარის მოადგილე 82, 83

ხომუტოვ-დალი, ლეო – ექთანი, მუშაობდა ჩეკაში 59

ხორავა, აკაკი – 1895-1972 წწ. კინოსა და თეატრის მსახიობი, პედაგოგი 20, 22, 23

ხოფერია, სიმონ (ხუხუ) – ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე, კ. გამსახურდიას დისწული 14, 17, 20, 28, 57

ხოშტარია, დიმიტრი [დუტუ მეგრელი] – 1867-1938 წწ. პოეტი 82

ხოშტარია-ერისთავი, ანასტასია – 1868-1951 წწ. ნოველისტი; დუტუ მეგრელის მეუღლე 82

ჯაბადარი, რეზო – საგარეჯოს სცენის ვეტერანი 24, 25

ჯავახიშვილი, იასონ – 1887-1937 წწ. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე; დააპატიმრეს და გადაასახლეს 1925 წ. დახვრიტეს 1937 წ. 47, 48, 49, 52, 56, 80, 93, 96, 97

ჯავახიშვილი, ივანე – 1876-1940 წწ. ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მთავარი პირი 63, 101, 102

ჯავახიშვილი, მიტო – მსახიობი 20, 25

ჯავახიშვილი, მიხეილ [ადამაშვილი] – 1880-1937 წწ. მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე; დახვრიტეს 1937 წ. 85

ჯანდიერი, მანუჩარ – როტმისტრი, დახვრიტეს 1924 წ. აჯანყებაში მონაწილეობისათვის 23

ჯაფარიძე – კაპიტანი, მოხალისე მოწაფეთა ბატალიონის უფროსი 8, 11, 12, 13, 14, 15

ჯაფარიძე ნ. – ზოოტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელი, დააპატიმრეს 1937 წ. 80

ჯიქია, [ვლადიმერ] – 1893-37 წწ. ინჟინერი, ჰიგროენერგეტიკოსი, ხრამჰესმშენის სამმართველოს უფროსი 67

ჯიშკარიანი – ვაჟთა მე-5 გიმნაზიის დირექტორი, რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი 32

დავით გარსიაშვილი მეუღლესთან, სოფიო ნუკრაძესთან ერთად

გიორგი (გიგლა) გარსიაშვილი

გიორგი (გიგლა) გარსიაშვილი

გიგლა გარსიაშვილის პორტრეტი, შესრულებული ქეთევან მაღალიშვილის მიერ

მარჯვნიდან: გიგლა, არჩილ, ბაბილინა და შოთა გარსიაშვილები

და-ძმა გარსიაშვილები, სავარაუდოდ ნათესავებთან ერთად: პირველ რიგში მარჯვნიდან შოთა და ბაბილინა, მეორე რიგში მარცხნიდან: პირველი გიგლა და მეოთხე არჩილი

შოთა გარსიაშვილი

გიორგი ნუკრაძე

არჩილ გარსიაშვილი დედასთან და სავარაუდოდ, ბიძასთან, გიორგი ნუკრაძესთან ერთად

დავით გარსიაშვილი შვილებთან ერთად, მარცხნიდან: ბაბილინა, შოთა და არჩილი

მარიამ გარსიაშვილი

გიორგი საძაგლიშვილი (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II)

კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II პორტრეტი

კალისტრატე ცინცაძე (კალისტრატე) – სრულიად საქართველოს კათა-
ლიკოს პატრიარქი-ფოტო ევტიხი ჟვანიასი

მიტროპოლიტი ეფრემი (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატ-
რიარქი ეფრემ II)

დეკანოზი ანტონ თოთიბაძე

მარცხნიდან 1-ლ რიგში: გიგო გაბაშვილი (4), ჰენრიხ ჰრინევსკი (7), გიორგი ნათიძე (11); მე-2 რიგში: შალვა ამირანაშვილი (2), ნ. სერვეროვი (3), ა. კალიაგინი (4), ე. ლანსარე (5); მე-3 რიგში ვახტანგ კოტეტიშვილი (7). 1910-1920-იანი წწ.,



უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები: პირველ რიგში: მიხეილ კონიაშვილი, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე დიდებულიძე, მიხეილ თაქთაქიშვილი; მეორე რიგში: ანდრია ბენაშვილი, ნიკო ჩიგოგიძე; მესამე რიგში: ნიკო მგელაძე, სერგო გორგაძე, იასონ მოსეშვილი, ვასილ კაკაბაძე, სოლომონ ქურდიანი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი კონიაშვილი, კორნელი კეკელიძე, ევგენი ჭოღოშვილი. — 1920-1930-იანი წწ., ჟვანია ევტეხი, თბილისი

კიტა აბაშიძე

დუტუ მეგრელი-(დიმიტრი ხოშტარია)

შალვა დადიანი

სპირიდონ კედია

გიორგი კვინიტაძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

დიმიტრი ვარდიაშვილი (ტიტე), ანა ვარდიაშვილი (მომღერალი)

დიმიტრი ვარდიაშვილი

ალექსანდრე ცაგურიშვილი მეუღლესთან ერთად. მეუღლე ზის მარ-
ცხნიდან პირველი, ალექსანდრე ცაგურიშვილი დგას, მარცხნიდან მეორე